PRIME Time

N18 (319), ორშაბათი 11 მაისი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

# განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული

# პედოფილმა ბოტანიკურ ბაღში სამი არასრულწლოვანი გოგო გააუპატიურა SCANDAL



2012 წლის სისხლის სამართლის საქმე

+18

SCANDAL

„სამივე მათგანთან სექსუალური კავშირი ჯერ გაუკუღმართებული გზით დაამყარა, მოგვიანებით კი მათთან ორალური სექსით დაკავდა...“

„მამაკაცმა გვითხრა, რომ მას მოკლული ჰყავდა ბავშვები, რომლებიც მის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდნენ...“

+18

„გვემუქრებოდა მოკვლით, გვითხრა, რომ ჩაგვეხადა შარვლები და ტრუსები. ჩვენ შეგვეშინდა და ეს გავაკეთეთ...“

„აღნიშნული პიროვნება იდგა გოგონებთან სახით და გოგონები იხდიდნენ შარვლებს. მე მესმოდა მისი საუბარი. კერძოდ, ჰკითხა გოგონებს, მკერდი გაქვთო? მათ უპასუხეს, რომ არ ჰქონდათ...“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

12 მაისი ექთანთა საერთაშორისო დღეა – „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ საქართველოს ყველა ექთანს განსაკუთრებულად მიულოცავს ამ დღესასწაულს

## C ჰეპატიტის პროგრამამ დავით სერგეენკო შესაძლოა, სერიოზულ სკანდალში გახვიოს



„დიდია ცდუნება, რომ მან მკურნალობის ნაცვლად ეს ტაბლეტები გაასხვისოს, თუნდაც ნარკოტიკის შეძენის მიზნით“

„მაგრამ როგორ გაიგებ, ნამდვილად მან დალია თუ გაყიდა, ან იქნებ სხვა, იაფფასიანით ჩაანაცვლა“

## „პანორამა თბილისი“



ყველაზე მასშტაბური და საინტერესო პროექტი კავკასიაში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკოლები სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან



ნელი თორდია

**განათლების სისტემიდან უკანონოდ და პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებულთა საქმის შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა დაასრულა. კომისიის შემაჯამებელი დასკვნის გასაჯაროებისთანავე გაჩნდა მოსაზრებები, რა პრობლემები შეიძლება შექმნას განთავისუფლებულთა დაბრუნებამ და როგორ შეიძლება ამ პრობლემების თავიდან აცილება. შეგახსენებთ, რომ კომისიას, რომელშიც შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლები შედიოდნენ, საჯარო სკოლებიდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან უკანონოდ და პოლიტიკური შეხედულებების გამო განთავისუფლებულთა საქმეების შესწავლა, შეფასება და განათლების სამინისტროსთვის რეკომენდაციების მომზადება ევალებოდა. კომისიაში შესული 900-მდე განცხადებიდან 23 შემთხვევაში პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებისა და 160-ზე მეტი უკანონო განთავისუფლების ფაქტი გამოიკვეთა. პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ლიდერი „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ განათლების სამინისტროს მიერ, შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე, პედაგოგების სკოლებში დაბრუნებამ შეიძლება უამრავი პრობლემა შექმნას. მაია კობახიძე პრობლემიდან გამოსავალს პედაგოგის სრული განაკვეთის 18-დან 15 საათამდე შემცირებაში ხედავს და აპირებს, რომ შესაბამისი ინიციატივით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართოს.**

– თავის დროზე ჩვენმა ორგანიზაციამ მოიწონა კომისიის შექმნის ინიციატივა და გიორგი მარგველაშვილს პირველივე შეხვედრაზე შევთავაზეთ, რომ მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, სამინისტროს მასწავლებლის 18-საათიანი სრული განაკვეთი 15 საათამდე დაეყვანა. ეს იყო 2012 წლის ნოემბერი და მინისტრთან შეხვედრაზე ჩემთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. ჩვენი პოზიცია იყო, რომ უკანონოდ და პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებული მასწავლებლების სკოლებში დაბრუნებამ ამჟამად მოქმედი მასწავლებლების უფლებები რომ არ დაარღვიოს, სკოლაში უნდა არსებობდეს თავისუფალი საათები. ვინაიდან კომისია ახალი შექმნილი იყო და მუშაობას ის-ის იყო იწყებდა, ჩვენი ინიციატივის გაზიარება არ მომხდარა, მაგრამ ახლა ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია და სამინისტრომ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ დაბრუნებულმა პედაგოგებმა მოქმედები არ ჩაანაცვლონ და უფლებაშელახული პედაგოგების ახალი ნაკადი არ მივიღოთ.

პროფკავშირული ორგანიზაციის ლიდერი განმარტავს, რომ არც სპეციალურ კომისიას და არც განათლების სამინისტროს არ აქვთ პედაგოგის სკოლაში დაბრუნებაზე სკოლის დირექტორის დავალდებულების უფლებამოსილება და ეს მთლიანად მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლებში თავისუფალი საათების მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე დამსაქმებელმა კეთილი ნება გამოიჩინოს. მით უმეტეს, რომ ამას შეიძლება მასწავლებელთა პროტესტი და უკანონოდ განთავისუფლებული ადამიანების ახალი ნაკადი მოჰყვეს. მაია კობახიძე განათლების სამინისტროს შეახსენებს, რომ ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება მასწავლებლის პროფესიული საქმიანობისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა, რაც საათების დეფიციტს უფრო გაამწვავებს.



# ტუბერკულოზის ერ
# პაციენტებს ჩამონგრ









## ზაზა ავალიანი: „პირდაპირ ვამბობ, რომ ის რეალობა, რაც ბავშვთა განყოფილებაშია, კრიტიკას ვერ უძლებს. ვაღიარებთ, რომ, რა პირობებშიც ბავშვებს უწევთ ყოფნა, ეს მათი უფლებების დარღვევაა“

ხათუნა მგალობლიშვილი

**ჩამონგრეული კედლები, დაბზარული შენობა, ანტისანიტარია, შუაზე გადახსნილი საპირფარეშო და ფურცლებით მიმაგრებული ნიშანი, რომ ყოველდღიურად აკონტროლო, რამდენი მილიმეტრით გაფართოვდა ბზარი. იქ მოხვედრილი პაციენტები ხუმრობენ, წესით, შენობაში ჩაფხუტებსაც უნდა გვირიგებდნენო...**

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილება დანარჩენი შენობებიდან მოშორებით დგას. მაშინ როდესაც ზრდასრული პაციენტების დაწესებულებაში wifi-ც კი ხელმისაწვდომია, ბავშვებისთვის საკვები ერთი ქუჩიდან მეორეზე ექთნებს ხელით გადააქვთ...

ასეთ პირობებში მცირეწლოვან ბავშვებსა და მათ მშობლებს თვეები უწევთ ყოფნა, რადგან, როგორც წესი, მკურნალობის კურსი 9-12 თვის განმავლობაში გრძელდება, რა თქმა უნდა, თუ პირობებს გაუძლეს...

**ცენტრის ხელმძღვანელის, ზაზა ავალიანის განცხადებით, ბავშვთა დეპარტამენტს ახალი შენობა უკვე სექტემბერში ექნება და ის ყველა თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებს:**

– სამწუხაროდ, ჩვენთან ბავშვთა ავადობის პროცენტი საკმაოდ მაღალია და რაც ყველაზე პრობლემურია, საკმაოდ მძიმე ფორმებია. პრობლემაზე გამუდმებული ფიქრი და მსჯელობაა. საკითხში უშუალოდ არის ჩართული მინისტრი, დავით სერგეენკო. პირდაპირ ვამბობ, რომ ის რეალობა, რაც ბავშვთა განყოფილებაშია, კრიტიკას ვერ უძლებს. ვაღიარებთ, რომ, რა პირობებშიც ბავშვებს უწევთ ყოფნა, ეს მათი უფლებების დარღვევაა. 1928 წელს აშენებული შენობაა და მის განახლებას, უბრალოდ, აზრიც კი არ ჰქონდა

**– რატომ აქამდე არ მოხდა პრობლემის მოგვარება?**

– მე სექტემბერში მოვედი ტუბერკულოზის ეროვნულ ცე-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ოვნულ ცენტრში მცირეწლოვან ...ეულ შენობაში უწევთ მკურნალობა

EXCLUSIVE



„დაავადება იმდენად მძიმეა, რომ ადამიანის ფსიქიკას ცვლის, ამიტომ ხშირია სუიციდისადმი მიდრეკილება“

## „ძველი შენობა არანაირად ვარგისი არ არის, არათუ სამედიცინო საქმიანობისთვის, არამედ საცხოვრებლადაც“









ნტრში და მას შემდეგ ყოველდღიურად ვმუშაობთ ამ პრობლემაზე. მანამდე რატომ არ მოგვარდა შენობის პრობლემა, ამაზე მე ნამდვილად ვერ გიპასუხებთ. თუმცა ერთს გეტყვით, ბავშვთა ინტეგრირება



ზაზა ავალიანი

ზრდასრულ პაციენტებთან ერთად არ შეიძლება, რადგან პაციენტების კონტინგენტი ძალიან მძიმეა. სამწუხაროდ, პენიტენციური სისტემიდანაც ბევრი გვყავს, დაავადება იმდენად მძიმეა, რომ ადამიანის ფსიქიკას ცვლის, ამიტომ ხშირია სუიციდისადმი მიდრეკილება. შესაბამისად, წარმოუდგენელია ბავშვებისა და დიდების ერთად მოთავსება. ასევე, არ შეიძლება ბავშვთა მრავალპროფილიან საავადმყოფოში ჩვენი დეპარტამენტის გადატანა, რადგან ასეთი ნაბიჯით იქ ინფექციის საშიშროებას გავაჩენდით. შესაბამისად, ეს გზაც ავტომატურად გამოირიცხა. რჩება მხოლოდ ერთი ვარიანტი, ბავშვთა დეპარტამენტისთვის ახალი შენობის აშენება ამ ტერიტორიაზევე. პროექტი უკვე მზად არის. სავარაუდოდ, მაისის ბოლოს დაიწყება მშენებლობა და სექტემბერში უკვე მზად იქნება. ეს უშუალოდ მინისტრის დავალება იყო.

**– რა თანხებია საჭირო დეპარტამენტისთვის ახალი შენობის ასაშენებლად?**

– სამასი ათასი ლარი სამინისტროს უკვე აქვს გადადებული ბავშვთა დეპარტამენტის შენობისთვის.

**– ახალი შენობის აშენების შემთხვევაში ძველი შენობა მთლიანად გაუქმდება?**

– ძველი შენობა არანაირად ვარგისი არ არის, არათუ სამედიცინო საქმიანობისთვის, არამედ საცხოვრებლადაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# SCANDAL

# განსაკუთრებული

ირაკლი მამალაძე

**თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური უბნის სკოლის ექვსი მოსწავლე სექსუალური მანიაკის მსხვერპლი გახდა. არასრულწლოვანი სამი გოგონა და 3 ვაჟი დღემდე ფსიქოლოგების ზედამხედველობის ქვეშ არიან და პერიოდულად რეაბილიტაციის კურსებს გადიან. დანაშაული, რომელიც თბილისში მოხდა, მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. თუმცა „პრაიმტაიმს“ სკანდალური საქმის მასალები ექსკლუზიურად ჩაუვარდა ხელში. ირკვევა, რომ 27 წლის პედოფილის მიერ დანაშაული განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით არის ჩადენილი. სექსუალური მანიაკი დანაშაულის ჩადენიდან 3 თვის შემდეგ პოლიციამ ფოტორობოტის მეშვეობით დააკავა. მისი ამოცნობა კი დაზარალებულმა ბავშვებმა გარეგნული ნიშნებით შეძლეს. კერძოდ, ტატუთი, რომელიც მოძალადეს მარჯვენა ხელის მთელ სიგრძეზე აქვს გაკეთებული და არასტანდარტული კბილების განლაგებით. სექსუალური მანიაკი 2012 წლის ნოემბერში საკუთარ სახლში დააკავეს. როგორც ირკვევა, მას ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. ირკვევა, რომ 27 წლის ლ. ა. ხშირად დადიოდა ჯართის შესაგროვებლად თბილისის ბოტანიკურ ბაღში, სადაც დანაშაული ჩაიდინა.**



**დაკავებულის დედა: „ჩემმა შვილმა ისინი შეამჩნია უხერხულ სიტუაციაში და უთხრა, რომ მათ მშობლებს ეტყოდა, კიდევ თუ გააკეთებდნენ რამეს ამის მსგავსს. შემდეგ ამ ბავშვებს შეეშინდათ და ის, რასაც ერთმანეთში აკეთებდნენ, ჩემს შვილს დააბრალეს“**

# პედოფილმა ბოტანიკურ ბაღში სამი

გამოძიების ინფორმაციით, 27 წლის ლ. ა., მაშინ როცა ის ჯართის შესაგროვებლად იმყოფებოდა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ტყეში ბავშვები შენიშნა, რომლებიც ამავე ტერიტორიაზე ბაღში სასეირნოდ იმყოფებოდნენ. კერძოდ, მეექვსეკლასელი სამი გოგონა და სამი ბიჭი. ისინი თანაკლასელები არიან. დანაშაულის ჩადენამდე 27 წლის ლ. ა. მოზარდებს, როგორც ტყის მცველი, თამაზი, ისე გაეცნო. ხელში ეჭირა დიდი ზომის ჯოხი. უცნობმა მამაკაცმა არასრულწლოვნებს შეშინების მიზნით უთხრა, რომ ის მანიაკი იყო და ბავშვებს ხოცავდა. ამის შემდეგ ექვსივე მათგანს ტელეფონები გაათიშვინა და მოსთხოვა, მის მოთხოვნებს დამორჩილებოდნენ. ბიჭები ცალკე დაყენა, გოგონებისგან მოშორებით, ზურგით. ამის შემდეგ კი გოგონებს უთხრა, რომ გაშიშვლებულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დახოცავდა. გოგონები მოძალადის მოთხოვნას დასთანხმდნენ, რითიც მამაკაცმა ისარგებლა და სამივე მათგანთან სექსუალური კავშირი ჯერ გაუკუღმართებული გზით დაამყარა, მოგვიანებით კი მათთან ორალური სექსით დაკავდა. აქტის დასრულების შემდეგ 27 წლის პედოფილმა ბავშვებს მოსთხოვა, ამბავი არ გაეხმაურებინათ და ამის სანაცვლოდ მათ არ მოკლავდა. საგამოძიებო მასალების მიხედვით, მომხდარი ძალადობრივი აქტის შემდეგ ექვსივე არასრულწლოვანი აღელვებული ბრუნდება ავტობუსით სკოლის ტერიტორიაზე, სადაც იღებენ გადაწყვეტილებას, ეკლესიაში წავიდნენ და მომხდარის შესახებ მოძღვარს უამბონ. ამის შემდეგ მომხდარ ფაქტს იგებენ დაზარალებულთა მშობლები და პოლიცია.

„პრაიმტაიმმა“ ამ სულისშემძვრელი სისხლის სამართლის საქმის მასალები მოიპოვა, სადაც 12 წლის ბავშვები დეტალურად ყვებიან მათ წინააღმდეგ განხორციელებული უმძიმესი დანაშაულის შესახებ. კონფიდენციალობის დაცვის მიზნით გთავაზობთ ამონარიდებს ჩვენებებიდან, თუმცა მისი წაკითხვა არ არის რეკომენდებული 18 წლამდე ასაკისა და სუსტი ნერვების მქონე პირებისთვის.

**დაზარალებული. მამრობითი, 12 წლის, მე-6 კლასის მოსწავლე.**

– მე და ჩემა კლასელებმა გადავწყვიტეთ, ბოტანიკურ ბაღში პიკნიკზე წასვლა. შუადღის 13:00 საათზე გავედით სკოლის შენობიდან. მაღაზია „პოპულისთან“ ჩავსხედით 24 ნომერ ავტობუსში და წავედით მთაწმინდის პარკის მიმართულებით. გავიარეთ პატარა გვირაბი, რომელიც გზაზე მდებარეობს და აღნიშნულიდან დაახლოებით 300 მეტრში გავაჩერებინეთ ავტობუსი და წავედით ტყის მიმართულებით. გავიარეთ დაახლოებით 150 მეტრი და მივედით დიდ ქვასთან, სადაც გადავწყვიტეთ, რომ შეგვესვენა, დაგველია „კოკა-კოლა“ და გვეჭამა სუხარიკები, რომელიც „პოპულიში“ შევიძინეთ. ქვასთან ვიმყოფებოდით 20 წუთის განმავლობაში და ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, ტყეში უფრო ღრმად შევსულიყავით, მივედით მდინარის პირას, საიდანაც გზა აღარ გრძელდებოდა. როდესაც მოვტრიალდით და უკან წამოსვლას ვაპირებდით, მოგვიახლოვდა ჩემთვის უცნობი მამაკაცი, რომელმაც მოგვთხოვა, მივბრუნებულიყავით, თორემ მოგვკლავდა. ჩვენ შეგვეშინდა, მოვბრუნდით და დავიხიეთ უკან. აღნიშნულმა მამაკაცმა გვითხრა, რომ მას მოკლული ჰყავდა ბავშვები, რომლებიც მის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდნენ და მიგვითითა სურათზე, რომელიც დახატული იყო გზაზე და გვითხრა სურათზე, რომელზეც დახატული იყო გემი და მიწერილი იყო სახელები. მან დახოცა ის ბავშვები და მათი სახელები მიაწერა სურათზე. მე ვკითხე, ტყის მცველი ხართ? რაზეც მიპასუხა, რომ ტყის მცველი იყო. მე აგრეთვე ვკითხე სახელი, მიპასუხა, რომ ერქვა თამაზი. აღნიშნულის შემდეგ მოგვთხოვა, გამოგვერთო ტელეფონები და ბიჭები სამივე დაგვაყენა ცალკე. დაახლოებით 2 მეტრის მოშორებით გოგონები დაყენა ცალკე. ბიჭებს გვითხრა, რომ მივბრუნებულიყავით ზურგით. ჩვენ გვინდოდა გაქცევა, მაგრამ გოგონები ვერ დავტოვეთ. მე გავიგონე, როგორ უთხრა აღნიშნულმა მამაკაცმა გოგონებს, გაეხადათ შარვლები. ცოტას მოგეფერებითო. გავიხედე უკან და დავინახე შეშინებული გოგონები. მათ ჩაიწიეს მუხლებამდე შარვლები. ერთ-ერთი არ იხდიდა თავიდან. მამაკაცმა უთხრა, თუ არ გაიხდი, მოგკლავო და მაინც გახადა. ბიჭებმა ხელში ავიღეთ ქვები, მაგრამ ვერ გავბედეთ სროლა, რადგან გვეშინოდა. აღნიშნულმა მამაკაცმა მას შემდეგ, რაც გაახდევინა შარვლები გოგონებს, დააყენა ზურგით, გაიხადა შორტი, რომელიც მას ეცვა, ამოიღო სასქესო ორგანო და უკანა მხრიდან საჯდომზე ადებდა სასქესო ორგანოს. მოგვიანებით მოატრიალა გოგონები და სათითაოდ ჩაუდო პირში თავისი სასქესო ორგანო სამივე გოგონას. ისინი ვერაფერს ვერ იძახდნენ, ეშინოდათ. 15 წუთზე მეტი აკეთებდა ამას, რის შემდეგაც გვითხრა, რომ გავყოლოდით მას ერთად. მოვდიოდით გზაზე. ის გვეკითხებოდა სახელებს და მისამართებს, თან გვემუქრებოდა, რომ, თუ მშობლებს ვეტყოდით მომხდარის შესახებ, დაგვხოცავდა. გვკითხა, რითი ამოხვედითო. ჩვენ ვუთხარით, რომ ავტობუსით. ამის შემდეგ გზიდან გადაუხვია და ჩვენ გამოვედით ავტობუსის გაჩერებასთან. გოგონები ტიროდნენ. გადავწყვიტეთ, ეკლესიაში წავსულიყავით და სანთლები დაგვენთო. ასეც მოვიქეცით, წავედით ამაღლების ქუჩაზე მდებარე ეკლესიაში, სადაც ვნახეთ მოძღვარი და ყველაფერი მოვუყევით. მან გვითხრა, რომ მშობლებისთვის უნდა გვეთქვა. ავანთეთ სანთლები და წამოვედით სახლში. ვნახეთ მშობლები და არაფერი არ დაგვიმალავს, მოვუყევით ყველაფერი.

**მსხვერპლი, მდედრობითი, 12 წლის. ამონარიდი ჩვენებიდან:**

– ბიჭები დააყენა ჩვენგან ზურგით. გოგონები კი ერთად ვიდექით.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სისასტიკით ჩადენილი დანაშაული




**ჩვენება: „მას შემდეგ, რაც გააჩხდევინა შარვლები გოგონებს, დააყენა ზურგით, გაიხადა შორტი, რომელიც მას ეცვა, ამოიღო სასქესო ორგანო და უკანა მხრიდან საჯდომზე ადებდა სასქესო ორგანოს. მოგვიანებით მოატრიალა გოგონები და სათითაოდ ჩაუდო პირში თავისი სასქესო ორგანო"**

**ჩვენება: „ამყარებდა ჩვენთან სექსუალურ კავშირს უკანა ტანიდან. მოგვიანებით თავის სასქესო ორგანოს სათითაოდ პირში გვიდებდა. აღნიშნული ქმედების დროს ის იცინოდა და სასქესო ორგანოდან ღვრიდა გამოყოფილ სითხეს"**

# არასრულწლოვანი გოგო გააუპატიურა

გვემუქრებოდა მოკვლით, გვითხრა, რომ ჩაგვეხადა შარვლები და ტრუსები. ჩვენ შეგვეშინდა და ეს გავაკეთეთ. მოგვიანებით, მან ჩაიწია შორტები. მომიახლოვდა, ჯერ სასქესო ორგანოზე დამიწყო თითებით ფერება, შემდეგ კი სასქესო ორგანოზე ენას მისვამდა. ამის შემდეგ უკანა ტანზე მომადო თავისი სასქესო ორგანო. რას მიკეთებდა, ვერ ვხვდებოდი. ძალიან ვნერვიულობდი. ბოლოს ხელი მომაკიდებინა სასქესო ორგანოზე და პირში ჩამიდო. დაახლოებით 20 წუთის მანძილზე ახორციელებდა აღნიშნულ ქმედებას.

**დაზარალებული, მდედრობითი, მე-6 კლასის მოსწავლე. ამონარიდი ჩვენებიდან:**

– დაგვაყენა ბიჭებისგან მოშორებით. მოგვთხოვა შარვლების გახდა. რიგრიგობით ამყარებდა ჩვენთან სექსუალურ კავშირს უკანა ტანიდან. მოგვიანებით სათითაოდ თავის სასქესო ორგანოს პირში გვიდებდა. აღნიშნული ქმედების დროს ის იცინოდა და სასქესო ორგანოდან ღვრიდა გამოყოფილ სითხეს. მას შემდეგ კი, რაც დაასრულა, შემოატრიალა ბიჭები და გვითხრა, რომ არ მოგვკლავდა. ყველა ერთად წამოვედით. ის მოგვყვებოდა უკან და გვემუქრებოდა, თუ მომხდარის შესახებ ვიტყოდით, სადმე გვიპოვიდა და დაგვხოცავდა. მოგვიანებით მან გზიდან გადაუხვია. ჩვენ წავედით ეკლესიაში და ყველაფერი მოვუყევით მამა საბას. მან მანქანაში ჩაგვსვა და დავბრუნდით ამ პიროვნების მოსაძებნად, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. მამა საბამ გაგვაფრთხილა, ყველაფერი მშობლებისთვის გვეთქვა. პირადად მე მივედი სახლში და დედას მოვუყევი.

**დაზარალებული, მამრობითი, 12 წლის. ამონარიდი ჩვენებიდან:**

– ვიდექით 2 მეტრის დაშორებით გოგონებისგან. მე ავიღე ქვა, მინდოდა, რომ მესროლა მისთვის, მაგრამ ვერ გავბედე. რადგან შემეშინდა. აღნიშნულმა პიროვნებამ გოგოებს მოსთხოვა, გაეხადეთ შარვლები, რის შემდეგაც მე გავაპარე თვალი იქითკენ. აღნიშნული პიროვნება იდგა გოგონებთან სახით და გოგონები იხდიდნენ შარვლებს. მე მესმოდა მისი საუბარი. კერძოდ, ჰკითხა გოგონებს, მკერდი გაქვთო? მათ უპასუხეს, რომ არ ჰქონდათ. ცოტა ხანში გავიგე რაღაცის დავარდნის ხმა და ეს იყო ჯოხი, რომელიც ამ მამაკაცს ეჭირა ხელში. ამ დროს გავიხედე და დავინახე, რომ გოგონებს მუხლებამდე ჰქონდათ შარვლები ჩახდილი და იდგნენ. ცოტა ხანში ისევ გავიხედე და დავინახე, რომ მამაკაცი იხდიდა შორტებს. მე ამის შემდეგ იქით არ გამიხედავს.

საქმის მასალების მიხედვით, დანარჩენი მოზარდების ჩვენებაც იდენტურია. რაც შეეხება 27 წლის პედოფილის ჩვენებას, ის დანაშაულს არ აღიარებს და აცხადებს, რომ იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა ბოტანიკურ ბაღში.

**ამონარიდი ლ. ა.-ს ჩვენებიდან:**

– კითხვაზე: დადიხართ თუ არა ოქროყანის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეში? გპასუხობთ, რომ ჯართის შეგროვების მიზნით ხანდახან დავდივარ აღნიშნულ ტყეში. კერძოდ, იქ არის ჩანჩქერი. დავდიოდი მიმდებარე ტერიტორიაზე. ბოლოს როდის ვიყავი აღნიშნულ ტერიტორიაზე, არ მახსოვს.

ლ.ა.-ს ეს ჩვენება სასამართლო პროცესზე ეჭვქვეშ დადგა, რადგან სათვალთვალო კამერების ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 27 წლის ლ. ა. ექვს არასრულწლოვანთან ერთად მართლაც იმყოფებოდა ბოტანიკურ ბაღში და მათი მოძრაობა გამოსვლისას ვიდეოჩანაწერით დადასტურდა. ლ. ა. რომ ბოტანიკურ ბაღში იმყოფებოდა, ამ ფაქტს ადასტურებს დედამისიც და აცხადებს, რომ მისი შვილი მხოლოდ ჯართს აგროვებდა და დანაშაული არ ჩაუდენია. ბრალდებულის ოჯახი საქმის ხელახალ შესწავლას ითხოვს. „პრაიმტაიმთან" საუბარში ნ. ა. დანაშაულის საკუთარ ვერსიაზე საუბრობს:

– ჩემს შვილს პოლიცია ჰყავდა გადაკიდებული. სახლი დავკარგეთ, გამოგვასახლეს და ხელში ჩაიგდეს მოტყუებით. აუქციონზე გაგვიყიდეს ისე, რომ არც გაგვაფრთხილეს. ამის შემდეგ ვჩივივართ და უნდათ, რომ გაგვაჩუმონ და ჩემს შვილს მოუწყვეს პროვოკაცია.

**– რას გულისხმობთ, როგორ მოუწყვეს და როგორ შეიძლებოდა ამ პროვოკაციაში სკოლის მოსწავლეები ჩაერთოთ? ეს თითქმის შეუძლებელია...**

– არა, ეს ბავშვები მართლაც იყვნენ იმ ტყეში და ჩემმა შვილმა ისინი უხერხულ სიტუაციაში შეამჩნია და უთხრა, რომ მათ მშობლებს ეტყოდა, კიდევ თუ გააკეთებდნენ მსგავს რამეს. ამის შემდეგ ამ ბავშვებს შეეშინდათ და ის, რასაც ერთმანეთში აკეთებდნენ, ჩემს შვილს დაბრალეს.

**– ასე თუ იყო, რატომ არ თქვა თქვენმა შვილმა ჩვენებაში? ის ხომ საერთოდ უარყოფს ტყეში ყოფნის ფაქტს?**

– კი, უარყოფს და დაგვღუპა ადვოკატმა. მან ურჩია, ასე ეთქვა და ამიტომაც უარყო, თორემ ლ.-მა თავის მეგობარს მოუყვა, რაც თავისი თვალით ნახა ტყეში. აბა, გამაგებინეთ, ექვსი ბავშვი ასე როგორ იდგა და არ იმოქმედა. ერთი მაინც როგორ არ გაიქცა, ან არ იკივლეს ან დანაშაულიდან 3 თვის შემდეგ რატომ დააკავეს, არ გაქცეული და არ დამალულა.

**– თქვენი შვილი იყო თუ არ შემჩნეული მსგავს დანაშაულში? როგორია მისი ფსიქიკური მდგომარეობა? ჯანმრთელია?**

– არ ყოფილა არაფერში გარეული, ჯანმრთელია, ცოლი ჰყავს, 2 შვილი და ჰკითხეთ მეზობლებსაც... დადიოდა იმ ტყეში ლუკმაპურისთვის. დამიჯერეთ, ჩვენ ბევრი მტერი გვყავს, გვებრძვიან, უნდათ, ჩვენი მიწა ხელში ჩაიგდონ და ამიტომაც დაიჭირეს.

**– თქვენი ქონების წასართმევად როგორ დაგეგმავდნენ ასეთ მძიმე დანაშაულს? ვფიქრობ, აბსურდულია თქვენი განცხადებები. რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

– ზუსტად ვიცი, რომ მამაომ, რომელმაც პირველმა ნახა ეს ბავშვები, იცის სიმართლე და გამოვიდეს და თქვას. ვითხოვ, რომ ეს საქმე თავიდან იქნას შესწავლილი. მე არ მომცეს შესაძლებლობა ჟურნალისტებთან გასაუბრების, მეუბნებოდნენ, ეს ამბავი არ უნდა გახმაურდესო და ამიტომაც ვიყავი ჩუმად, მაგრამ ახლა, როცა მეტი რამ გავიგე, ამიტომაც ვსაუბრობ ღიად.

ლ. ა.-ს ოჯახმა უკვე აიყვანა ახალი ადვოკატი, რომელსაც ამ ეტაპზე არ სურს ვინაობის გამხელა. ადვოკატი „პრაიმტაიმთან" საუბარში აცხადებს, რომ საქმე უმძიმესია და ამ ეტაპზე მხოლოდ შესწავლის პროცესშია. სასამართლოს ორივე ინსტანციამ 27 წლის ლ. ა.-ს 18-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლო პროცესები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და საქმე დახურულ რეჟიმში განიხილეს, სადაც ექვსივე დაზარალებული ფსიქოლოგებისა და მშობლების ზედამხედველობის ქვეშ დაიკითხა და ყველა მათგანმა დეტალურად გაიხსენა მათ წინააღმდეგ განხორციელებული უმძიმესი ძალადობრივი ფაქტები. „პრაიმტაიმის" ინფორმაციით, დაზარალებულ მოზარდებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსები სახელმწიფოს მხრიდან გაეწია და მასში ჩართული იყვნენ კვალიფიციური ფსიქოლოგები. ამ ეტაპზე უცნობია, როგორია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# C ჰეპატიტის პროგრამამ დავით სერგეენკო



## ვალერი კვარაცხელია, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე:

## „პროგრამაში მაქსიმალურადაა გაწერილი ყველა ის რისკი, რომლის გაწერაც შესაძლებელი იყო“ EXCLUSIVE






## პოტენციურ ბენეფიცია მოქალაქეებმა მოლა

<u>მირიან ბოქოლიშვილი</u>

**C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატის, „სოფოსბუვირის“ 8 ათასი ბოთლი უკვე საქართველოში ჩამოვიდა და განბაჟებულია. აღნიშნულ პრეპარატს C ჰეპატიტით დაავადებული პირები ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე მიიღებენ. საკმაოდ ძვირადღირებული პროგრამის პირველი ბენეფიციარები კომისიამ გასულ კვირას შეარჩია. პრეპარატი, რომლის თითო აბის ღირებულება 1000 დოლარია, უსასყიდლოდ, პირველ რიგში, იმ პირებს გადაეცემათ, ვისაც სამინისტროში დოკუმენტაცია სწორად ექნებათ წარდგენილი.**

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ უცხო ქვეყნის რამდენიმე მოქალაქემ ამ პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებთან უკვე დაიწყო ფარული მოლაპარაკებები მედიკამენტის გაყიდვის, ან საკმაოდ მაღალ ფასში ინდურ პატენტში გადაცვლის თაობაზე. ადამიანი, რომელმაც ამის შესახებ გვიამბო, თავადაც მედიცინის სფეროს წარმომადგენელია და ჰეპატიტით დაავადებულ პირებთანაც ხშირი ურთიერთობა უწევს. აი, რას გვიყვება ის:

„როგორც აღმოჩნდა, ინფორმაცია, რომ საქართველო იწყებს ასეთ მასშტაბურ პროგრამას, საკმაოდ სწრაფად გავრცელდა სხვა ქვეყნებში. მითხრეს, რომ ტაჯიკეთის რამდენიმე მოქალაქე, შუამავლების მეშვეობით საქართველოში უკავშირდება ამ ვირუსის მატარებელ პირებს და პროგრამაში ჩასმის შემთხვევაში, სთავაზობს მედიკამენტის საკმაოდ მაღალ ფასში ყიდვას. ეს მეც გადმოცემით გავიგე და უშუალოდ ვინ არის ჩართული ამ საქმეში, უცნობია, მაგრამ პირადად მე არ გამოვრიცხავ, რომ „სოფოსბუვირი“ მართლაც მოხვდეს შავ ბაზარზე. საქართველოში ხალხს ისე უჭირს, რომ ასეთი გარიგებები საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზეც კი არ გამიკვირდება. მით უმეტეს, ამბობენ, რომ ეს ადამიანები, სთავაზობენ საკმაოდ მაღალ ფასში ინდური წარმოების იგივე პრეპარატში გადაცვლას, რომლის ღირებულება გაცილებით მცირეა“.

ცნობილია, რომ საქართველოში „სოფოსბუვირი“ ამერიკულმა კომპანია „გილიარდმა“ შემოიტანა. არც ისაა უცხო, რომ ეს კომპანია საქართველოსა და ეგვიპტეში ამ პრეპარატის ტესტირებას ახდენს და სწორედ ამიტომ გადმოგვეცა უსასყიდლოდ. მისი, როგორც C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატის, მთელ მსოფლიოში დანერგვა დიდწილად საქართველოში განხორციელებული პროგრამის შედეგებზე იქნება დამოკიდებული. თუკი აღნიშნული პრეპარატი მართლაც მოხვდება შავ ბაზარზე და პროგრამაში ჩართული ადამიანები მის გადაყიდვას შეძლებენ, მაშინ კომპანიისთვის ტესტირების შედეგებიც შესაძლოა არახელსაყრელი აღმოჩნდეს. არადა სატესტო პროგრამაში „გილიარდმა“, შეიძლება ითქვას, კოლოსალური თანხები გაიღო, რადგანაც მხოლოდ ერთი აბის ღირებულება 1000 დოლარია, მკურნალობის კურსი კი 80 ათასიდან 100 ათას დოლარამდე მერყეობს. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკული კომპანია მისთვის სასურველ რეზულტატს ვერ მიიღებს, შესაძლოა, დავით სერგეენკო მართლაც სერიოზულ სკანდალში გაეხვიოს. მით უმეტეს, რომ ჯანდაცვის ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძვირადღირებული პრეპარატი მართლაც შავ ბაზარზე აღმოჩნდეს. ამის თავიდან ასაცილებლად ექსპერტები ჯანდაცვის სამინისტროს პრეპარატის გაცემის წესის შეცვლისკენ მოუწოდებენ. მათი თქმით, პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარს არ უნდა ჰქონდეს რამდენიმე ათასი დოლარის ღირებულების ტაბლეტების სახლში წაღების შესაძლებლობა და პრეპარატი იმავე წესით უნდა გაიცეს, როგორც ეს „მეტადონის“ პროგრამის შემთხვევაში ხდება, როდესაც ნარკოდამოკიდებულ პაციენტს „მეტადონს“ პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებაში, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ასმევენ.



**ვანო ფოცხვერაშვილი, ჯანდაცვის ექსპერტი:**

– არსებობს „მეტადონის“ პროგრამა, მსგავსი პროგრამა მოქმედებს ტუბერკულოზის მკურნალობის შემთხვევაშიც, ე.წ. DOTS პროგრამა, როდესაც პრეპარატს სახლში არ ატანენ. პაციენტი მიდის სტაციონარში, ის ექიმის ზედამხედველობის ქვეშ სვამს იგივე „მეტადონს“. აქ რატომღაც პირველ აბს ალევინებენ და დანარჩენს სახლში ატანენ. ორ კვირაში უნდა მივიდეს და აჩვენოს, ტაბლეტები დალეული აქვს თუ არა. ასეთი ძვირადღირებული წამალი შემოგაქვს და ის სრულიად უპასუხისმგებლოდ სახლში გაატანო პაციენტს, როგორ შეიძლება?! თუკი „მეტადონს“ ადგილზე ასმევენ, რატომ არ შეიძლება იგივე გაკეთდეს ამ შემთხვევაშიც. მით უმეტეს, C ჰეპატიტით დაავადებულთა დიდი ნაწილი შეიძლება პარალელურად ნარკოდამოკიდებული იყოს და საკმაოდ დიდია ცდუნება, რომ მან მკურნალობის ნაცვლად ეს ტაბლეტები გაასხვისოს, თუნდაც ნარკოტიკის შეძენის მიზნით.

**– თუმცა ორი კვირის შემდეგ პაციენტმა კვლავ უნდა მიაკითხოს სამედიცინო დაწესებულებას, სადაც დარჩენილ რაოდენობას აჩვენებს და ამასთანავე, შეამოწმებენ, რამდენი აბი აქვს მიღებული?**

– დავუშვათ, მივიდა და უთხრა, რომ ნამდვილად დალია, როგორ დაუმტკიცებენ? კი აჩვენებს კოლოფს, რომ აკლია აბები, მაგრამ, როგორ გაიგებ, ნამდვილად მან დალია თუ გაყიდა, ან იქნებ სხვა, იაფფასიანი პრეპარატით ჩაანაცვლა. მათ შეეძლოთ, ისევე, როგორც ტუბერკულოზისა და „მეტადონის“ პროგრამაშია გათვალისწინებული, ყოველდღე მისულიყვნენ, მიეცათ თითო აბი და იქვე დაელიათ.

**– ამ შემთხვევაში, რამდენად მიიღწევა ის შედეგი, რომელსაც ამერიკული კომპანია ამ პრეპარატის უფასოდ გადმოცემის სანაცვლოდ ჩვენგან ელოდება?**

– რახან კომპანიამ 2 მილიარდი დოლარი გაიღო და საქართველოში უფასოდ გამოგზავნა ეს ყველაფერი, ცხადია, ის დადებით პასუხს ელოდება ჩვენგან. არ შეიძლება, გარისკოს და წყალში გადაყაროს ეს თანხა, თუ მას არ აქვს გარანტია, რომ კვლევის შედეგები მისთვის ხელსაყრელი იქნება. ამ სტატისტიკით კომპანია იამაყებს მთელ მსოფლიოში და გაცილებით მეტ სარგებელსაც ნახავს. ამას ისე დაატრიალებენ რეკლამის სახით, რომ არნახულ მოგებას მიიღებენ. მეორე საკითხია, ასე სახლში წაღებული წამლით რამდენად დაიდება ობიექტური შედეგი? ჩათვალეთ, რომ ადამიანს სახლში ვატანთ 27 ათასს. ვიღაცამ რომ გაცილებით მაღალი თანხა შესთავაზოს და გაყიდოს, რა ხდება შემდეგ? ცოტა გონებამახვილი პაციენტი გაყიდის, ამის სანაცვლოდ 300 დოლარად იყიდის იგივე პრეპარატს, ოღონდ ინდური წარმოებისას, რომლის გამოწერაც მარტივად შეიძლება. ფულიც დარჩება და მკურნალობაშიც ჩაეთვლება. მით უმეტეს, ეს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შესაძლოა, სერიოზულ სკანდალში გახვიოს




## ძვირადღირებული პრეპარატი შავ ბაზარზე გაიყიდება?!

**„პაციენტი თუ ამ ჭკუაზე დადგა და ეშმაკობას მიმართა, შეიძლება ფულიც შერჩეს და მკურნალობაც. ან სულაც საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე გაყიდოს პრეპარატი“**

# რეზთან უცხო ქვეყნის პარაკეზეზი დაიწყეს

აბები გარეგნულად ერთმანეთისგან არ განსხვავდება. პაციენტი თუ ამ ჭკუაზე დადგა და ეშმაკობას მიმართა, შეიძლება ფულიც შერჩეს და მკურნალობაც. ან სულაც საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე გაყიდოს პრეპარატი. შესაძლებელია ბაზარზე მოხდეს აღრევა და ჩვეულებრივი ვაჭრობა გაჩაღდეს. ორ კვირაში ერთხელ პაციენტის დაბარება არ არის სწორი მიდგომა, ეს უნდა ხდებოდეს ყოველდღე მისვლით და თითო ტაბლეტის პირში ჩადებით. გაკვირვებული ვარ, ასეთი ძვირადღირებული წამალი როგორ შეიძლება გაატანო სახლში ადამიანს და უთხრა – ორი კვირის მერე მოდი და მაჩვენე, დალიე თუ არაო.

**– ანუ არ გამორიცხავთ, რომ ამ პროგრამის შედეგები არცთუ ისე ხელსაყრელი აღმოჩნდეს ზემოხსენებული კომპანიისთვის?**

– 2 მილიარდ დოლარს არავინ დადებს ისე, რომ წინასწარ არ იყოს დარწმუნებული ფანტასტიკურ შედეგებში. ანუ ქვეყნის ჯანდაცვის უწყება მას მისცემს ისეთ შედეგებს, რომელსაც ეს კომპანია მთელ მსოფლიოში ააფრიალებს. ეს გარანტია, მას ნებისმიერ შემთხვევაში ექნება მიღებული, თუმცა რეალური შედეგი და საჩვენებელი შედეგი ერთმანეთისგან განსხვავდება. კიდევ ვიმეორებ, მაგალითად, ნარკოდამოკიდებული, C-ჰეპატიტიანი პაციენტის ცდუნება, რომელსაც ვიღაც დიდ თანხას შესთავაზებს ინდურ პატენტში გადაცვლის სანაცვლოდ, მერწმუნეთ, საკმაოდ ადვილი იქნება.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ზურაბ ჭიაბერაშვილი კი მიიჩნევს, რომ ეს პროგრამა ამ ვირუსის მატარებელი თითოეული ადამიანისთვის მართლაც მნიშვნელოვანია. მას ნაკლებსავარაუდოდ მიაჩნია, რომ ბენეფიციარმა საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე უფასოდ მიღებული პრეპარატი გაყიდოს.

**ზურაბ ჭიაბერაშვილი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი:**

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა, რადგან ძვირადღირებულ წამალს უფასოდ გვჩუქნის კომპანია „გილიარდი“. დაახლოებით 90-100 ათასი დოლარი ღირს ეს კურსი დასავლეთ ევროპაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქესთან მივიდეს ეს პრეპარატი და გადინება არ მოხდეს. რამდენადაც ვიცი, პრეპარატის გაცემის პროცესში ჩადებულია დაცვის მექანიზმები.

**– თუმცა როცა პაციენტს სახლში ატანენ ასეთ ძვირადღირებულ წამალს, შეიძლება სინამდვილეში მან ის გადაყიდოს და თქვას, რომ დალია...**

– თეორიულად ამის შანსი არსებობს. მაგალითად, ჩამოვიდეს სხვა ქვეყნის მოქალაქე, ამ ხნის განმავლობაში იცხოვროს თბილისში და რომელიმე პაციენტისგან იყიდოს ეს წამალი, თუმცა მაინც მგონია, რომ დაცვის მექანიზმი იმუშავებს, რადგან წარმოუდგენელია, ადამიანმა საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე ფულის გაკეთება გადაწყვიტოს. მე ჯანდაცვის სამინისტროს სხვა საკითხებში მწვავედ ვაკრიტიკებ, მაგრამ ეს ის საკითხია, რომელზეც წინასწარ ვერ იტყვი, რომ არ იმუშავებს.

რამდენად იმუშავებს ეს პროგრამა? კონკრეტულად დაცვის რა მექანიზმებია გათვალისწინებული და გახდება თუ არა ეს თემა მორიგი სკანდალის მიზეზი? ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან, ვალერი კვარაცხელიასთან შეეცადა.

**ვალერ კვარაცხელია, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე:**

– ხელშეკრულება იდება სამედიცინო ცენტრსა და პაციენტს შორის, სადაც გაწერილია ყველა ის ნიუანსი, რომელიც უნდა დაიცვას პაციენტმა. ის მიდის კლინიკაში, ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ იხსნება ბოთლი, პირველ აბს პაციენტი იღებს ექიმის, ვიდეოთვალისა და სოციალური სააგენტოს თანამშრომლის კონტროლის ქვეშ, ამის შემდეგ ეს ბოთლი გადაეცემა პაციენტს, რომელიც ცენტრში მოდის მე-14 დღეს, ამავე გზით მოწმდება ბოთლი, სადაც 14 აბი უნდა იყოს დარჩენილი. პაციენტს უტარდება გამოკვლევა, რაოდენობრივი თვალსაზრისით, რომლითაც ჩვენ დავადასტურებთ, რომ მან ნამდვილად მიიღო მედიკამენტი.

**– ეს საკმარისია იმისთვის, რომ პრეპარატი არ მოხვდეს შავ ბაზარზე?**

– მე მოგიყევით სქემა, რომელიც აღიარებულია თავად „გილიარდის“ მიერ, როგორც იდეალური. DOTS პროგრამაზე თვითონ „გილიარდიმ“ თქვა უარი, რადგან იქ ადამიანის უფლებების კუთხით არის გარკვეული კითხვის ნიშნები. ამ შემთხვევაში რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, თუმცა ნოლი რისკი არაფერში არ არსებობს. რაც შეეხება ღირებულებას, ამერიკაში ერთი აბი „სოფოსბუვირის“ ღირებულება 1000 დოლარია, მთლიანი კურსი 84 ათასი დოლარი ჯდება.

**– ჯანდაცვის ექსპერტებიც ამბობენ, რომ ამავე პრეპარატის ინდური პატენტის გამოწერა შესაძლებელია გაცილებით დაბალ ფასში... შესაძლებელია, რომ ბაზარზე აღრევა მოხდეს?**

– ჯანდაცვის ექსპერტებმა გამოიწერონ და იმკურნალონ თვითონ. ინდოეთს ნამდვილად აქვს პატენტის წარმოების უფლება, თუმცა იქვე განსაზღვრული აქვს იმ ქვეყნების ნუსხა, რომელსაც შეუძლია პრეპარატის გაყიდვა. ამ ქვეყნების ნუსხაში საქართველო ნამდვილად არ არის. გარდა ამისა, ჩვენ 300 დოლარად კი არა, საერთოდ უფასოდ მივიღეთ ეს პრეპარატი.

**– ანუ ხომ არ მოხდება ისე, რომ თქვენ პაციენტს გადასცეთ ძვირადღირებული აბები და მან ფულის შოვნის მიზნით, ის ინდურ პატენტში გადაცვალოს?**

– ჩვენს ტაბლეტს სხვა ფერი და სხვა წარწერა აქვს და ეს ნამდვილად არ შეიძლება მოხდეს. კიდევ გეუბნებით, ამ პროგრამაში მაქსიმალურადაა გაწერილი ყველა ის რისკი, რომლის გაწერაც შესაძლებელი იყო.



## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქესთან მივიდეს ეს პრეპარატი და გადინება არ მოხდეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა პრობლემებს შეუქმნის თბილისს ბარათაშვილის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება

## „ბარათაშვილის ხიდი თბილისის დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეების შემაერთებელი არტერიაა და ისედაც გადატვირთული საგზაო მოძრაობის პირობებში მისი დაკეტვა კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანს“







**„სამწუხაროდ, კომპანიას მარტო თავისი ბიზნესი და გეგმის შესრულება აინტერესებს და იმის ნაცვლად, რომ მძღოლის გასაჭირით დაინტერესდეს, მხოლოდ გეგმის გაზრდით არის დაინტერესებული“**

ნელი თორდია

**თბილისის მერია მდინარე მტკვარზე გზაგამტარი ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ემზადება. ჩვენამდე მოსული ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ბარათაშვილის ხიდიდან დაიწყება და რამდენიმე ხიდს მოიცავს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული ადამიანები და მძღოლთა უფლებების დამცველები მიიჩნევენ, რომ ხიდების გადაკეტვა, ალტერნატიული გზაგამტარის გახსნის გარეშე, ისედაც გაუვალ და „საცობებით“ სავსე ქალაქში კატასტროფულ შედეგებს მოიტანს.**

მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ დროული და მოსაწონი პროექტის დაწყებამდე, მერიას ალტერნატიული გზაგამტარების პრობლემა უნდა მოეგვარებინა. ნიკოლოზ კაჭკაჭურის თქმით, ბარათაშვილის ხიდი თბილისის დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეების შემაერთებელი არტერიაა და მისი ჩაკეტვა ისედაც გაუვალ გზებს საცობებით გაავსებს.

**ნიკოლოზ კაჭკაჭური:** „ბოლო წლებია, თბილისისთვის გადატვირთული გზებისა და საგზაო საცობების თემა გადაუჭრელ პრობლემად იქცა. ჯერჯერობით, პრობლემის მოგვარების არავითარი ნიშანი არ ჩანს, სამაგიეროდ, თბილისის მერია ხიდების რემონტისთვის ემზადება. ჩემი ინფორმაციით, ხიდების რეკონსტრუქცია დაახლოებით ერთ თვეში ან თვე-ნახევარში ბარათაშვილის ხიდიდან დაიწყება და კიდევ რამდენიმე ხიდს მოიცავს. რასაკვირველია, მერიის გადაწყვეტილება დროული და მოსაწონია, მაგრამ მანამდე ალტერნატიული მოძრაობის გზები უნდა გამოგვენახა. ბარათაშვილის ხიდი თბილისის დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეების შემაერთებელი არტერიაა და ისედაც გადატვირთულ საგზაო მოძრაობის პირობებში მისი დაკეტვა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიგვიყვანს. ზუსტად ვიცი, რომ საშინელი მდგომარეობა იქნება. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გორგასლის ძეგლის ქვემოთ მდებარე გვირაბების დაკეტვამ ის გამოიწვია, ისნის მიმართულებით მოძრავი მანქანები ქეთევან წამებულის გამზირს მიაწყდნენ და ყოველდღე საშინელი საცობებია. მთელი ხიდის დაკეტვას უარესი მოჰყვება. წარმოუდგენელია, მაგრამ ხშირად მძღოლები ათწუთიანი გზის გავლას საათ-ნახევარი და ორი საათი უნდებიან. ხალხს სამსახურებში აგვიანდება, მძღოლს ეჩხუბებიან, მარშრუტი შეგეცვალა და სხვა გზით წასულიყავიო და არის ერთი გაწევ-გამოწევა. მგზავრებს განსაკუთრებული მიზეზი არ სჭირდებათ, რომ ავტობუსის ან სამარშრუტო ტაქსის მძღოლი გალანძღონ და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენონ. გემახსოვრებათ, მძღოლსა და მგზავრს შორის დაწყებული კამათი ავტობუსების ბოლო გაჩერებაზე მძღოლის გარდაცვალებით რომ დამთავრდა. სამარშრუტო ტაქსის მძღოლისთვის თავის გატეხის შემთხვევებზე აღარაფერს ვიტყვი. ამას წინათ შევესწარი, სასწრაფო დახმარების მანქანა ჩართული სიგნალებით იდგა საცობში და გავლას ვერ ახერხებდა. მომაკვდავი ადამიანისთვის ეს წუთები და წამები ძალიან ძვირფასია და ერთმა წუთმა შეიძლება ყველაფერი გადაწყვიტოს. წარმოიდგინეთ, სანამ სახანძრო ზოგიერთი საცობიდან თავს დააღწევს, სახლი მთლიანად ამოიწვება და ამოიბუგება. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს გამოსავალი, რომ ვითარება უარესად არ დაიძაბოს. იქნებ, ისე მაინც მოხერხდეს, რომ ხიდის ჯერ ერთი ნახევარი გაარემონტონ და მერე – მეორე. შესაბამისად, მთელი ხიდის ნაცვლად, ნახევარი დაკეტონ და ნახევარზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაატარონ“.

მძღოლთა უფლებების დამცველი ყურადღებას სხვა პრობლემებზეც ამახვილებს. მისი თქმით, გაუვალი გზები და საცობები სამარშრუტო ტაქსის მძღოლებისთვის დაკისრებული დღიური გეგმის შესრულებას შეუძლებელს ხდის. ნორმალური მოძრაობის პირობებში, მძღოლი დღეში, პირობითად, 8 წრის გავლას თუ ახერხებდა, ახლა, „საცობებში“ დაკარგული დროის გამო, გავლილი წრეების რაოდენობა და, შესაბამისად, მგზავრთა რაოდენობა მცირდება.

**ნიკოლოზ კაჭკაჭური:** „გაუვალი გზებისა და საცობების წყალობით, სულ უფრო ძნელი შესასრულებელი ხდება კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ სამარშრუტო ტაქსის მძღოლებისთვის დაკისრებული დღიური გეგმა. საქმე ის გახლავთ, რომ ნორმალური გზის პირობებში, თითოეული მძღოლი დღეში 200 კილომეტრს თუ გადიოდა, ახლა მხოლოდ 150-160 კილომეტრის გავლას ახერხებს. საჭირო რაოდენობის წრე თუ ვერ გაიარა და საკმარისი ოდენობის მგზავრი ვერ გადაიყვანა, რომელი გეგმის მომატებაზეა საუბარი? სამწუხაროდ, კომპანიას მარტო თავისი ბიზნესი და გეგმის შესრულება აინტერესებს და იმის ნაცვლად, რომ მძღოლის გასაჭირით დაინტერესდეს, მხოლოდ გეგმის გაზრდით არის დაინტერესებული“.

გზების გაუვალობისა და „საცობების“ შექმნის მიზეზებზე საუბრისას, ნიკოლოზ კაჭკაჭურმა ყურადღება არასწორ პარკინგზე, საგზაო პატრულის არარსებობასა და მძღოლების უდისციპლინობაზე გაამახვილა. მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში გამეფებული უმუშევრობა. სწორედ ამ ფაქტორიდან გამომდინარე, უამრავი ადამიანისთვის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ „ტაქსაობა“ იქცა. კაჭკაჭური მდგომარეობიდან გამოსავალს სპეციალური კომისიის შექმნაში ხედავს.

**ნიკოლოზ კაჭკაჭური:** „უკვე წლებია, რაც გზების გაუვალობის მიზეზებზე ვსაუბრობთ, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება, ამიტომ კიდევ ერთხელ მომიწევს ვთქვა, რომ პრობლემის მიზეზებია არასწორი პარკინგის სისტემა, საგზაო პატრულის არარსებობა, მოუწესრიგებელი შუქნიშნები, დამრღვევი მძღოლები, მასიური უმუშევრობა, რომელმაც ყველას „ტაქსაობა“ დააწყებინა და ა.შ. „სითი პარკს“ ჩვენი პრობლემები ნაკლებად ადარდებს, მაგრამ მერია რას ფიქრობს იმაზე, რომ ორმხრივი პარკინგი ისეთ ვიწრო ქუჩაზე, როგორიც აღმაშენებელია, მანქანას გასავლელ გზა აღარ უტოვებს? პარკინგის ადგილებმა ავტობუსებს თითქმის გაჩერება არ დაუტოვეს და მძღოლებს ავტობუსის გაჩერება შუა გზაზე უწევთ. არასწორი პარკირება მძღოლებში ხელჩართული დაპირისპირების მიზეზი გახდა. კონკრეტული ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, გეტყვით, რომ შეიძლება რამე უბედურებაც მოხდეს. წინა ხელისუფლებამ თუ ვიღაცას რაღაც არასწორად მიჰყიდა, ახალმა მერიამ მდგომარეობა უნდა გამოასწოროს. უნდა შეიქმნას პროფესიონალებისგან შემდგარი კომისია, რომელიც გზების გაუვალობის მიზეზებს შეისწავლის და არასწორი პარკირების ადგილებს შეცვლის. გზების გაფართოება ხომ საერთოდ, შეუძლებელია. მშენებლები პირდაპირ ტროტუარებზე არიან გადმოსულები და სახლებს ლამის შუა გზაზე აშენებენ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ქუჩები დამრღვევი და ნასვამი მძღოლებით გაივსო და დარღვევებზე ჯარიმები უნდა გამკაცრდეს.

კომუნისტებს ჰქონდათ გეგმა, რომ ვახუშტის ხიდი პირდაპირ დიდუბე-ნაძალადევში გადასულიყო. ვფიქრობ, ამ გეგმის განხორციელება სრულიად შესაძლებელია. ვეფხვისა და მოყმის ძეგლი რომ არის, იქიდანაც შეიძლება ერთი ხიდის აგება, თორემ მტკვარზე ძალიან დიდი მონაკვეთია ხიდის გარეშე დარჩენილი. გაგარინის ქუჩა ველარ ატარებს მანქანებს, იმიტომ, რომ კორპუსები აშენდა და ქუჩები ველარ გაფართოვდა. შემიძლია, უამრავი ასეთი ქუჩა ჩამოგითვალოთ, მაგრამ უკეთესია, თუ ამას პროფესიონალებისგან და არა მსახიობებისგან შემდგარი კომისია გააკეთებს. სხვა შემთხვევაში მალე ძალიან რთულ ვითარებაში აღმოვჩნდებით“.

**ნამდვილად იგეგმება თუ არა თბილისში არსებული გზაგამტარი ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები და რა ღონისძიებებია შემუშავებული საგზაო პრობლემების თავიდან ასაცილებლად? ჩვენს კითხვებზე მერიისგან წერილობითი პასუხი მივიღეთ, რომელსაც უცვლელად შემოგთავაზებთ:**

„უახლოეს პერიოდში დაიწყება ბარათაშვილის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოების წარმოების პერიოდში მონაცვლეობით დაიკეტება ხიდის ერთი მიმართულება, რათა არ მოხდეს საავტომობილო მიმოსვლის შეფერხება, ასევე, ნაკადები გადაერთვება სხვადასხვა ქუჩებზე და გამოინახება ალტერნატიული გზები. ასევე, მაისის თვეში დაიწყება აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდისკენ გზაგამტარის (ე.წ მუხათგვერდის ხიდის) კაპიტალური რეაბილიტაცია, რომელიც წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებს. ამჟამად მიმდინარეობს ზაჰესის დასახლებაში მდებარე ხიდი-აკვედუკისა და ხიდი-გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული ხიდების რეაბილიტაციის პერიოდში, იმისთვის, რომ დედაქალაქში არ მოხდეს საავტომობილო მიმოსვლის შეფერხება, ნაკადები გადაერთვება ალტერნატიულ ქუჩებზე“.



ნიკოლოზ კაჭკაჭური

## განმარტება

„პრაიმტაიმის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „სკანდალურ და შოკისმომგვრელ საქმეში ბრალდებული სამი მაღალჩინოსანი თავისუფალია“. გვერდში მოხვდა ადვოკატ ირმა ჭკადუას სურათი. რედაქცია თავს ვალდებულად მიიჩნევს, განმარტოს, რომ აღნიშნულ სტატიასთან ქალბატონ ირმას არანაირი შეხება არ აქვს, მასალაში არც მისი კომენტარია გამოყენებული.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 12 მაისი ექთანთა საერთაშორისო დღეა – „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ საქართველოს ყველა ექთანს განსაკუთრებულად მიულოცავს ამ დღესასწაულს

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია




<u>**გიორგი ურუშაძე**</u>

**12 მაისს მსოფლიო ექთნების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ბუნებრივია, იმ ადამიანების საერთაშორისო დღეს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ჩვენი ჯანმრთელობა აბარიათ, საქართველოც უერთდება. „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ მთელი საქართველოს ექთნების ულოცავს ამ დღესასწაულს.**

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ საექთნო სამსახურის უფროსი თამარ დაუსი მათ ჯანმრთელობას, უკეთეს სამუშაო პირობებსა და კარიერულ წინსვლას უსურვებს.

**თამარ დაუსი:** „ამ განსაკუთრებულ, ექთანთა საერთაშორისო დღეს მინდა დიდი პატივისცემა გამოვხატო ექთნების მიმართ, რომლებიც მუშაობენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურაში და მადლობა გადავუხადო იმ უზარმაზარი შრომისთვის, რასაც ისინი სამედიცინო დაწესებულებებში, ბინაზე მოვლისა თუ კერძო პრაქტიკის დროს ეწევიან. მინდა მივულოცო, ვუსურვო ჯანმრთელობა, უკეთესი სამუშაო პირობები და კარიერული ზრდა“.

„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ ექთნებს სპეციალურ მისალოც ბარათებს გაუგზავნის და სხვადასხვა სიურპრიზსაც მოუწყობს. ამით კომპანია შეეცდება, საზოგადოებას და თავად ექთნებსაც დაანახოს, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მათ სამედიცინო სფეროში.

თუმცა, კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ექთნების გადამზადება და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებაა. სწორედ ამისთვის, სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ბაზაზე შექმნილია ტრენინგცენტრები, სადაც ექთნების პოსტდიპლომური სწავლება მიმდინარეობს, რაც მათი ცოდნის, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული განხრით, ამაღლებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ კორპორაციაში 2000-მდე ექთანია დასაქმებული.

**თამარ დაუსი:** „ერთი წლის წინათ დაიწყო ექთან-ტრენერების გადამზადება და, საბოლოო ჯამში, ქსელში გაჩნდა 21 ექთან-ტრენერი. ზოგადად, ტრენინგთან დაკავშირებით, 4 მოდულია შექმნილი. ეს არის პირველი – ანატომია-ფიზიოლოგია, მეორე – მედიკამენტის დოზირება, მესამე – საექთნო პროცედურები და მეოთხე – საექთნო მენეჯმენტი. ეს 21 ექთანი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს ქსელის დანარჩენი ექთნების გადამზადებას, რადგანაც კორპორაციას, გარდა თბილისისა, 5 რეგიონებში აქვს ჰოსპიტალები. ტრენინგები დაფუძნებულია საერთაშორისო პრინციპებზე, თვითონ მოძიებული მასალა და, ასევე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაც ექთნებში საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით მიმდინარეობს. სწავლება კი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსს“.




გარდა ქუთაისში არსებული სასწავლო ცენტრისა, არსებობს ფილიალი ბათუმშიც და უახლოეს მომავალში თბილისისა და ზუგდიდის ცენტრების გახსნაც იგეგმება. ყველა ეს ცენტრი თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი, ისევე როგორც ეს ქუთაისშია.

**თამარ დაუსი:** „ქუთაისში არსებობს სასწავლო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია როგორც აუდიტორიებით, ასევე კომპიუტერული ტექნიკით, სიმულაციური ოთახებით (ვგულისხმობ რეანიმაციის ოთახს), სადაც რეანიმაციაში არსებული აპარატურაა დუბლირებული და კოპირებული. არსებობს მონიტორი, რომელსაც აქვს რიტმის სიმულატორი და შესაძლებელია მივიღოთ პაციენტის სასიცოცხლო მაჩვენებლები, ეს იქნება პულსი, სუნთქვა, რიტმი და წნევა. აქ ექთნები იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეჩვევიან, რომელიც ძალიან ახლოს დგას რეალობასთან.

სასწავლო ცენტრი ასევე, არსებობს ბათუმში და ამჟამად იგეგმება ზუგდიდისა და თბილისის ფილიალების გახსნა. თბილისში ცენტრი სამედიცინო ინსტიტუტ „აიეტის“ ბაზაზე გაიხსნება. ახლა მიმდინარეობს თბილისის ცენტრის სიმულაციური ოთახებით აღჭურვის პროცესი“.



ექთნებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ სამედიცინო კოლეჯი, თავისუფლად შეუძლიათ მიმართონ „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ სასწავლო ცენტრებს და გაიარონ შესაბამისი გადამზადება. რაც მთავარია, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ კორპორაციის 39 კლინიკიდან ერთ-ერთში დასაქმების რეალური შანსი ეძლევათ.

**თამარ დაუსი:** „ჩვენი სწავლება დაფუძნებულია პოსტდიპლომურ სწავლებაზე და არა პრედიპლომურზე. ვისაც დამთავრებული აქვს სამედიცინო კოლეჯი, შეუძლია მოგვმართოს. ქუთაისში სადღაც 120 ექთანი მოვიდა და მათთან უკვე დავიწყეთ მუშაობა. გავდივართ როგორც თეორიულ კურსს, ასევე პრაქტიკულს, როგორც სიმულაციურ ოთახებში, ისე ქუთაისში არსებულ ჰოსპიტალებში. შემდეგ უკვე, როდესაც ეს ადამიანები მზად იქნებიან და რიგ ტესტირებას გაივლიან, როგორც ზეპირს, ასევე პრაქტიკულს, და ასევე წერითს, შემდეგ მოხდება მათი დასაქმება, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში. დასაქმების მხრივ, ეს ადამიანები უკვე პრიორიტეტულები ხდებიან“.



„სამედიცინო კომპანია ევექსის“ საექთნო სამსახურის უფროსი თამარ დაუსი, ექთნების გადამზადების როლსა და, ზოგადად, იმ ტენდენციებზეც საუბრობს, რაც ბოლო პერიოდში შეინიშნება ქართულ სამედიცინო ბაზარზე.

„ექთნების გადამზადება ძალიან მნიშვნელოვანია და არამარტო, პოსტდიპლომური. კარგი იქნება, თუ ექთნების მომზადება საერთაშორისო სტანდარტებს დაეფუძნება და იქნება იმ საფეხურიდან, როდესაც ისინი კოლეჯებში შედიან. ვხედავ იმ ტენდენციას, რომ თუნდაც საქართველოში ექთნის საქმე იმდენად მნიშვნელოვანია და იმდენად ექთანზე დგას ჰოსპიტალი, რომ მისი განვითარება და მისი წინ წამოწევა ცოდნის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ტენდენცია ჰოსპიტალებიდან, რომ მათ ჰყავდეთ კარგი ექთანი, უკვე წამოვიდა. შემიძლია ვთქვა, რომ ის ექთნები, რომლებიც ჩვენთან გაივლიან კურსს და წარმატებით ჩააბარებენ გამოცდებს, ძალიან კარგი და დასაფასებელი ექთნები იქნებიან. მე პირადად შემიძლია ვიამაყო ამით. ამჟამად, პროფესიულ საექთნო კურსებზე დაწყებულია სწავლის მსურველთა საბუთების მიღება ბათუმსა და ზუგდიდში. სწავლა ივნისში დაიწყება, 6-8-თვიანი კურსის წარჩინებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტები ჩვენი ქსელის კლინიკებში დასაქმდებიან “.

## თამარ დაუსი: „საქართველოში ჰოსპიტალი ექთანზე დგას“

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პანორამა თბილისი“ ყველაზე მაშსტაბუ

ქეთი ხატიაშვილი

**რატომ იქცა „პანორამა თბილისი“ კრიტიკის საგანი? რატომ არიან ცალკეული ჯგუფები ამ პროექტის განხორციელების წინააღმდეგი? მიზეზები პოლიტიკურია თუ არსებობს სიახლის მიმართ გარკვეული შიშიც? შეიძლება ორივე ერთად.**

ნუ, პოლიტიკური ნიშნით რაიმეს წინააღმდეგ გალაშქრებას მიჩვეულები ვართ. ისტორიულადაც შეიძლება ბევრი მაგალითის მოყვანა. თუმცა, მხოლოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ალბათ, გახსოვთ, როგორ იდგა პოლიტიკოსი გურამ შარაძე შოთა რუსთაველის ძეგლთან რუსთაველის მეტროსთან და იქ „მაკდონალდსის“ მშენებლობას აპროტესტებდა. მას სხვებიც უბამდნენ მხარს, რა თქმა უნდა, ოპოზიციიდან. შარაძე და მისი პოლიტიკური მომხრეები ირწმუნებოდნენ, რომ „მაკდონალდსი“ წაგვართმევს ქართველობას, შეურაცხყოფს ჩვენს უკვდავ მწერალ კლასიკოსს რუსთაველს და ბოლოს მოგვწამლავს გენეტიკურად.

დაახლოებით ასეთივე ფრაზები გვესმის ახლაც ოპოზიციისგან. მართალია, ოპოზიცია უკვე სხვაა, თუმცა, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით დიდი არაფერი შეცვლილა. შეიძლება ითქვას, ოპოზიცია ყველა ხელისუფლებას ფეხს უდებდა ყველა წამოწყებაში.

თუმცა არსებობს შიშის ფაქტორიც. სიახლე ზოგიერთებში დაბნეულობას იწვევს. სხვათა შორის, ეიფელის მშენებლობასაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა პარიზში. პოლიტიკური თუ საზოგადოო მოღვაწეები მაშინაც ცდილობდნენ, ყველანაირად შეეშალათ ხელი მშენებლობისთვის. ცნობილია, რომ მწერალი ალფონს დოდე განსაკუთრებული ფობიით გამოირჩეოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეიფელი ჩამოინგრეოდა და მთელ ქალაქს ქვეშ მოიყოლებდა, როცა ეიფელის მშენებლობა დაიწყო, ის იმ ადგილს ახლოსაც არ ეკარებოდა ხოლმე.

ხშირად პოლიტიკური თუ სხვა პირადი ინტერესების გამო ცალკეული ჯგუფები ცდილობენ, ხალხში პანიკა და შიში დათესონ. ახლაც „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ გაუგებარი ფრაზები ისმის, მაგალითად: „ჩვენ ვკარგავთ ისტორიულ ქალაქს“, „ეს კატასტროფა იქნება“, „ეს პროექტი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის შენდება“ და ასე შემდეგ. მითები და ლეგენდები ძალიან მალე იქმნება ხოლმე. ჩვენ მიერ ზემომოყვანილი მაგალითები, „მაკდონალდისა“ თუ ეიფელის შესახებ, ამის კლასიკური მაგალითია.

მაგრამ როგორია რეალობა „პანორამა თბილისის“ შესახებ? ასეთი მასშტაბური პროექტი საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. ეს არა მხოლოდ მასშტაბური პროექტია, არამედ თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციებითაც გამორჩეულია. აქ პროექტში ერთმანეთს ნამდვილად ერწყმის ტრადიციული თბილისისა და თანამედროვე ევროპული სტილი.

სხვათა შორის, როცა ეიფელის მშენებლობა დაიწყეს, მას რკინის საფრთხობელას ეძახდნენ და მაშინ ძალიან ცოტა თუ გრძნობდა, რა ფუნქციასა და დატვირთვას შეიძენდა ის საბოლოოდ. ახლა ეიფელის კოშკი ტურისტების ერთ-ერთ უსაყვარლესი ღირსშესანიშნაობაა, ის ტურისტებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს.







# როგორია რეალობა „პანორამა თბილისის“ შესახებ?

„პანორამა თბილისიც“, დარწმუნებული ვარ, თითოეული ჩვენგანისთვის, ტურისტებისა და საქმიანი ადამიანებისთვის უჩვეულო ადგილი იქნება.

ჩვენ არ მოგვისმენია არც ერთი სერიოზული არგუმენტი, რატომ არ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი. ძირითადი პრეტენზიები პირადად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არის მიმართული, რაც კამპანიას პოლიტიკურ ელფერს სძენს. ოპონენტები გვაჯერებენ, რომ პროექტი სარგებელს მხოლოდ ერთ ადამიანს მოუტანს.

**როგორია რეალობა:** პროექტის განხორციელებისთვის ერთი მილიარდი ლარი დაიხარჯება, თანხებს ბიუჯეტი არ გამოყოფს, პროექტს თანაინვესტირების ფონდი დააფინანსებს, ანუ ეს კერძო ინვესტიციაა, რომელსაც ივანიშვილის მიერ დაარსებული ფონდი გაიღებს. პროექტი 6 ათას ადამიანს დაასაქმებს.

**პროექტის აღწერილობა:** „პანორამა“ სოლოლაკში უნდა აშენდეს. მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი ორ ობიექტს აერთიანებს – სოლოლაკის ფერდობსა და სოლოლაკის მაღლობს. ტერასული განაშენიანებით ფერდობზე ერთ და ორსართულიანი სასტუმრო აპარტამენტები განთავსდება. აქ იქნება კავკასიაში საუკეთესოდ აღჭურვილი ათასკაციანი საკონფერენციო დარბაზი, მაღალი კლასის სასტუმრო ნომრები, მიწისქვეშა ავტოსადგომები, სავაჭრო ფართობები, ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ფეხბურთის დარბაზები, ღია და დახურული აუზები, კაფე-ბარები და რესტორნები, საგანმანათლებლო და ტურისტული ინტერესის ადგილები, პლანეტარიუმი, აკვარიუმი და სხვა დანიშნულებისა თუ ფუნქციებით დატვირთული ობიექტები. პროექტი 4 ნაწილისგან შედგება – სოლოლაკის ბაღები, სოლოლაკის მთები, ერეკლეს მოედანი და თავისუფლების მოედანი. ცეკავშირის შენობის ადგილას 241-ადგილიანი, 7-ვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება, რომელიც საბაგირო გზით დაუკავშირდება სოლოლაკის მთებს.

**ირაკლი ქარსელაძე, პროექტის დირექტორი:** „სტუმრები ქალაქის ცენტრიდან საბაგირო



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...რი და საინტერესო პროექტი კავკასიაში







**აქ იქნება კავკასიაში საუკეთესოდ აღჭურვილი ათასკაციანი საკონფერენციო დარბაზი, მაღალი კლასის სასტუმრო ნომრები, მიწისქვეშა ავტოსადგომები, სავაჭრო ფართობები, ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ფეხბურთის დარბაზები, ღია და დახურული აუზები, კაფე-ბარები და რესტორნები**

გზით, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით, სამ წუთზე ნაკლებ დროში შეიძლება ხელუხლებელ ბუნებაში აღმოჩნდნენ. ჩვენი კონცეფცია მიზნად ისახავს იმას, რომ მოეწყოს ადგილი, რომელიც ბევრმა თბილისელმა შესაძლოა არც კი იცის. ამ პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება, რომ თბილისელები, დედაქალაქის სტუმრები, ოჯახებთან ერთად, სასეირნოდ, სარბენად, ველოსიპედითა და სხვა რეკრეაციული დანიშნულებით ამოვიდნენ აქ და დრო გაატარონ“.

ყველა უცხოელი ექსპერტი, რომელიც ამ პროექტს იცნობს, მას მაღალ შეფასებას აძლევს და ასკვნის, რომ ის ბუნებრივად ერწყმის გარემოს ლანდშაფტს.

თუმცა, საქართველოში, სავარაუდოდ, უფრო პოლიტიკურად დაინტერესებული ჯგუფები დარწმუნებულები არიან, რომ „პანორამა თბილისი“ მთლიანად ამოვარდნილია ლანდშაფტიდან და ის ანგრევს პარკებს და ჩეხს ბუნებას. პარკებსა და ბუნებას კი არ ანგრევს, არამედ ამწვანებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 30 ათასი ხის დარგვა.

კიდევ ერთხელ გავიხსენებ „მაკდონალდსის“ ისტორიას, ისიც ამოვარდნილი იყო ყველაფრიდან და მთლიანად ანგრევდა ყველაფერ ქართულს, ტრადიციულს, წმინდას და ასე შემდეგ.

საქართველოში ოპონენტები ირწმუნებოდნენ, რომ პროექტი არღვევს ყველა კანონს, თუმცა, იგივე ელისაშვილმა ვერც ჟურნალისტთან საუბარში დაასახელა, კონკრეტულად რომელ კანონს არღვევს „პანორამა“. მან აქცენტი მხოლოდ იმაზე გააკეთა, რომ პროექტის ფართო განხილვა უნდა მოხდეს. რეალურად, „პანორამა თბილისის“ პროექტის განხილვა მხოლოდ 10 თვის განმავლობაში ასჯერ მაინც შედგა.

პოლიტიკური ოპონენტები, ერთი მხრივ, აცხადებენ, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ხარჯავს ფინანსებს, არ აშენებს არაფერს, არ ქმნის სამუშაო ადგილებს და არაფერს აკეთებს ვითარების გასაუმჯობესებლად, მეორე მხრივ კი, ყველაფერს აკეთებენ, რომ დაუპირისპირდნენ და ჩააგდონ პროექტი, რომელიც 6 ათასს ადამიანს დაასაქმებს, ტურისტებს მოიზიდავს და ბიუჯეტს სერიოზულად შეავსებს.

„პანორამა თბილისი“ უჩვეულო და ორიგინალური პროექტია, რომელიც კეთდება იქ, სადაც ახლა ძველი შენობების ნანგრევები და ნაგავია. სოლოლაკში არაჩვეულებრივი ადგილებია, რომელიც ტურისტებისთვის და თითოეული ჩვენგანისთვისაც მართლაც არაჩვეულებრივი დასვენების ადგილად შეიძლება იქცეს. ეს მსოფლიოს მასშტაბით უნიკალური კომპლექსია და მართლაც გაუგებარია, თუნდაც პოლიტიკური ან რაიმე სახის შიშით, მისი დაბლოკვა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ იმატა არასრულწლოვნებში სუიციდის ფაქტებმა



## ზურაბ მხეიძე: „მიპასუხეთ, საიდან უნდა აიღოს ბავშვმა სწორი ღირებულებები – „კომედი შოუდან“?

ხათუნა მგალობლიშვილი

**მსოფლიოს 28 ქვეყნის მიზანი უახლოეს ხუთ წელიწადში ახალგაზრდებში თვითმკვლელობის 10-პროცენტიანი შემცირების მიღწევაა. ამ 28 ქვეყანაში საქართველო არ არის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკით, გარდაცვალების მიზეზებს შორის სუიციდი 15-დან 29 წლამდე ახალგაზრდებში მეორე ადგილს იკავებს. საქართველოში სუიციდისადმი მიდრეკილი ასაკი გაცილებით დაბალი და როგორც ფსიქოლოგები აცხადებენ, საგანგაშოა. მარტო ბოლო ორი კვირის განმავლობაში სუიციდის ოთხი შემთხვევა დაფიქსირდა, ასაკი – 11-დან 16 წლამდე.**

**16 წლის მარიანა ხაჩატურიანი** – მოზარდმა თავი საკუთარი სასკოლო ჩანთის ქამრით ჩამოიხრჩო. მარიანა 98-ე სკოლაში სექტემბერში გადავიდა, მანამდე ის 142-ე საჯარო სკოლაში სწავლობდა. ახალ სკოლაში, როგორც მასწავლებლები აცხადებენ, პრობლემები არ ჰქონია, თუმცა ახალ გარემოსთან შეგუება გაუჭირდა. შესაბამისად, ის ნაკლებად აქტიური და ნაკლებად კონტაქტური იყო. როგორც მისი ძველი კლასელი აცხადებს, გოგოს ოჯახში პრობლემა შეყვარებულის გამო ჰქონდა. დედა ბიჭთან დაშორებას აიძულებდა: „ვიცი, რომ შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ მშობლების გამო დაშორდა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მარიანას მშობლებმა მასთან დაშორება აიძულეს“.

ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**14 წლის გიორგი შაქარაშვილი** – თინეიჯერი თვითმკვლელობის მიზნით მერვე სართულიდან გადმოხტა. შემთხვევა მუხიანის დასახლებაში მოხდა. სუიციდის მიზეზად მამა-შვილს შორის მომხდარი შელაპარაკება დასახელდა. შვილის თვითმკვლელობის ცდიდან წამებში მამამ ორლულიანი თოფით სასიკვდილო ჭრილობა მიიყენა და ადგილზევე გარდაიცვალა, თუმცა მოზარდი სიკვდილს გადაურჩა და ის უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ოჯახის ახლობლები ამბობენ, შელაპარაკება უმნიშვნელო შენიშვნას მოჰყვა... გამოძიება ამ შემთხვევაშიც 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

**16 წლის მალხაზი** – თვითმკვლელობამდე წუთებით ადრე დედას დაურეკა და გადაწყვეტილების შესახებ უთხრა, რის შემდეგაც მეექვსე სართულიდან გადმოხტა. შემთხვევა თბილისში, ცაბაძის ქუჩაზე მოხდა. თავად გარდაცვლილი კი დიღომში, დედასთან და დასთან ერთად, ცხოვრობდა. სუიციდის მიზეზად ორი ვერსია დასახელდა. გარდაცვლილის ბიძამ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა, რომ შენობაში, საიდანაც მალხაზი გადმოხტა, მისი შეყვარებული ცხოვრობდა, შესაბამისად, შესაძლოა, თვითმკვლელობაც მეგობარ გოგონასთან პრობლემების გამო გადაწყვიტა: „ვიცოდი, რომ შეყვარებული ჰყავდა. ჯერჯერობით არაფერი ვიცი, მაგრამ შეიძლება ეს უბედურება შეყვარებულთან კამათსაც მოჰყვა. აბა, რაღა მაინცდამაინც აქ მოვიდა? რა უნდოდა ამ კორპუსში? ალბათ, ის გოგო აქ ცხოვრობს. თვითონ დიღომში ცხოვრობდა“. მეორე ვერსიით, მალხაზს პრობლემები ჰქონდა მშობლებთან, რომლებიც განქორწინებულები იყვნენ. გარდაცვლილის მეგობარი: „გარდაცვალებამდე დედას ესაუბრა. უთქვამს, თავი უნდა მოვიკლაო. საკმაოდ შეძლებული ოჯახია და წარმოდგენა არ მაქვს, ეს რატომ გააკეთა. დედა ძირითადად ყველაფერს უსრულებდა, თუ რაღაცაზე უარი უთხრა, როგორ, ამის გამო როგორ გაიმეტა საკუთარი თავი, ან ოჯახი“...

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქმეს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აწარმოებს...

**11 წლის ნიკა** – მცირეწლოვანმა თავი სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, მეზობლის ეზოში ჩამოიხრჩო. ნიკას ბებია და ბაბუა ზრდიდნენ, რადგან ბიჭს მამა ორი წლის წინათ დაეღუპა, ხოლო დედა საბერძნეთში სამუშაოდ იყო წასული და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იქ ცხოვრობდა. ოჯახის ახლობლის განცხადებით, ნიკა ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ბავშვი იყო, არასოდეს ჰქონდა კონფლიქტი მეგობრებთან და მათ შორის არც კლასელებთან. ბოლო დღეს, ნიკამ თავის კლასელებს საკუთარი, ყველაზე საყვარელი ნივთები დაურიგა და სკოლიდან მარტო წამოვიდა. სახლში მოსვლიდან დაახლოებით ერთ საათში კი თავი მოიკლა...

გამოძიება 115-ე მუხლით არის დაწყებული...

მანამდე იყო შემთხვევა ძველ ანაგაში, გარდაცვლილი 12 წლის მოსაზრია. კიდევ უფრო ადრე თბილისში 16 წლის გოგო მერვე სართულიდან გადმოხტა...

**ზურა მხეიძე ფსიქოლოგია და თავის დროზე თვეების განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგულ ნინო გვასალიას ოჯახთან მუშაობდა. მისი განცხადებით, სკოლებშიც და ოჯახშიც ბავშვებს საჭირო ყურადღებას მხოლოდ მაშინ აქცევენ, როცა ძალადობა უკვე შედეგს გამოიღებს... უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მოზარდი მარტო ებრძვის ძალადობას მშობლისა და ფსიქოლოგის დახმარების გარეშე და სწორედ ასეთ დროს ჩნდება სუიციდისკენ მიდრეკილებაც:**

– ზოგადად, 11-12 წლიდან დაახლოებით 15-16 წლამდე ძალიან კრიტიკული და მგრძნობიარე ასაკია. ამ პედიოდში მოზარდის მომწიფების, მათ შორის სექსუალური მომწიფების პროცესი მიმდინარეობს და ესეც გარკვეულ გავლენას ახდენს ფსიქიკაზე. ისეთი უმნიშვნელო საკითხების მიმართ შეიძლება გახდეს ბავშვი მგრძნობიარე, რომელსაც გაცილებით დიდი ან, პირიქით, გაცილებით პატარა მხედველობაშიც კი არ მიიღებს. ასეთ დროს ბავშვს შესაძლოა, მშობლის მსუბუქმა შენიშვნამ, კლასში მომხდარმა თითქოს უმნიშვნელო შემთხვევამ, ან რაიმე სიტყვამ უბიძგოს თვითმკვლელობისკენ. თუ მოზარდების თვითმკვლელობის სტატისტიკა გაზრდილია, ვფიქრობ, ეს ყველაზე მეტად უყურადღებობის ბრალია. სკოლაში უნდა მოხდეს გარკვეული ღირებულებების ფორმირება, თანაც პატარა ასაკიდანვე, რომ ბავშვს არ გაუჩნდეს მეორე ბავშვის დაჩაგვრის სურვილი. აქ ოჯახი გადამწყვეტ როლს ასრულებს. დღეს ამაზე არავინ მუშაობს, ამ პროცესს ყურადღებას არავინ უთმობს. მიპასუხეთ, საიდან უნდა აიღოს ბავშვმა სწორი ღირებულებები – „კომედი შოუდან“?

**– მედიის მიმართ ბრალდება ისედაც მუდამ არის, განათლების სფეროს წარმომადგენლები თვითმკვლელობების გაშუქებას სუიციდის შემთხვევების გაზრდას უკავშირებენ...**

– მედიის ბრალია უგემოვნება, არაესთეტიკურობა. მედია მოქმედებს ბუნებრივ ინსტინქტებზე, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც სუიციდის ფაქტები ხვდება პირველ გვერდებზე, გამხსნელ სიუჟეტებად, ბუნებრივია, ეს მოქმედებს და გარდა ამისა, მსგავსი ინფორმაციები არც გემოვნებას აყალიბებს და არც სწორ ღირებულებებს. რაც შეეხება ფაქტების გაშუქებას, არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ არ უნდა გაშუქდეს, რადგან მე ვიცი შემთხვევა, როდესაც ბავშვმა ინტერნეტში, საძიებო სისტემაში შეისწავლა თვითმკვლელობების გზები და შემდეგ ერთ-ერთი მათგანი აირჩია... ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ, თუ მოზარდს ინფორმაციის მიღება უნდა, მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები არ არსებებს. უბრალოდ, შეიძლება შემთხვევით გადარჩეს, თუ, ვთქვათ, წამლის მიღების დროს პრეპარატი შეეშლება და ასეთი ფაქტიც ბევრი ყოფილა...

> **„ვიცი შემთხვევა, როდესაც ბავშვმა ინტერნეტში, საძიებო სისტემაში შეისწავლა თვითმკვლელობების გზები და შემდეგ ერთ-ერთი მათგანი აირჩია“**

**საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, მანანა შარაშიძე ამბობს, რომ თვითმკვლელობის ფრთხილი და კვალიფიციური გაშუქება სუიციდის შემცირებაში დიდ როლს ითამაშებს:** „მაგალითად, ავსტრიაში ძალიან ხშირად ხდებოდა თვითმკვლელობა მეტროში და მედია ყოველ ასეთ შემთხვევას დეტალურად აღწერდა. მოგვიანებით ვენის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ავსტრიელი ჟურნალისტები დაარწმუნეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ სუიციდის გაშუქებისას არ იტყოდნენ, რომ თვითმკვლელობა მეტროში მოხდა. მედიისთვის დაწესებული რეგულაციების მიხედვით, სუიციდის შესახებ მომზადებულ მასალას არ უნდა ჰქონოდა მყვირალა სათაური, არ უნდა აღეწერათ თვითმკვლელობის მეთოდი, არ გამოეყენებინათ ძალადობის გამომსახველი ფოტო და ვიდეომასალა. გარდა ამისა, ასეთი სტატია არ უნდა განთავსებულიყო გაზეთის პირველ და ბოლო გვერდზე. შედეგად, მომდევნო 5 წლის განმავლობაში სუიციდის რაოდენობამ იკლო, მეტროში თვითმკვლელობების შემთხვევები კი 75%-ით შემცირდა. ამჟამად ასეთი რეგულაციები უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს“.



მანანა შარაშიძე



ზურაბ მხეიძე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 17 მაისს რუსთაველზე მასშტაბური მსვლელობა იგეგმება

## გია კორკოტაშვილი: „საკმაოდ დიდი აღლუმი და სახალხო დღესასწაული იქნება. 17 მაისს „ლგბტ“ საზოგადოებაც გეგმავს ღონისძიებას“



მირიან ბოქოლიშვილი

**17 მაისის მოახლოებასთან ერთად კვლავ აქტუალური გახდა კითხვა – გამოვლენ თუ არა ქუჩაში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად? იქნება თუ არა მათი უსაფრთხოება დაცული და კვლავაც ხომ არ ვიხილავთ ქუჩაში მასობრივ დაპირისპირებას, როგორც ეს 2013 წლის 17 მაისს მოხდა?**

ორგანიზაცია „იდენტობაში“, რომელიც სექსუალური უმცირესობის უფლებებს იცავს, განმარტავენ, რომ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღე წელსაც ვერ აღინიშნება. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ „ლგბტ“ თემის წარმომადგენლებმა სახელმწიფოსგან უსაფრთხოების გარანტიები ვერ მიიღეს. თუმცა ამის მიუხედავად, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „ლგბტ“ თემი ამ დღესთან დაკავშირებით საჯარო შეკრებას მაინც გეგმავს, თუმცა კონკრეტულ დეტალებს არ ახმაურებენ. „რა და როგორ იქნება, ამას უშუალოდ 17 მაისს შეიტყობთ“, – გვითხრა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. მისი თქმით, არ სურს ეს თემა მედიისთვის მორიგი სკანდალის საფუძველი გახდეს, ამიტომაც ამ ეტაპზე დეტალებზე საუბარს ერიდებიან.

ორგანიზაცია „იდენტობაში“ განმარტავენ, რომ 17 მაისს საჯარო სივრცეს მართლმადიდებელი ეკლესია მთლიანად დაიკავებს.

„ეკლესია უკვე დიდი ხანია, მოითხოვს „იდენტობის“ საქმიანობის რუსეთში არსებული „პროპაგანდის კანონის“ მსგავსი კანონმდებლობით აღკვეთას. ვშიშობთ, ამის შესაძლებლობას მას „შუღლის გაღვივების შესახებ“ საეჭვო სისწრაფით ინიცირებული კანონპროექტი მისცემს“, – აცხადებენ „იდენტობაში“.

17 მაისს საპატრიარქოს ორგანიზებით დედაქალაქის ცენტრში მართლაც იგეგმება სა-

**„უმცირესობის წარმომადგენლებმა უსაფრთხოების გარანტიები ვერ მიიღეს“**

# რიგის სამიტი – რატომ ვერ მიიღებს თბილისი უვი




ბრიუსელთან დაახლოებული წყაროებიდან „პრაიმტაიმმა“ იმ მთავარი მიზეზების შესახებ შეიტყო, რატომაც საქართველო რიგის სამიტზე უვიზო რეჟიმს ვერ მიიღებს. როგორც დიპლომატიური წყაროები მიანიშნებენ, ევროკავშირი არ აპირებს, შექმნას პრეცედენტი და ევროპის გეოგრაფიული საზღვრები აზიისკენ გაარღვიოს. ანუ საქართველო, როგორც კავკასიაში მდებარე ქვეყანა, მათთვის მაინც აზიაა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, შესაბამისად, თბილისთან უვიზო რეჟიმის შემოღება აზიის სხვა ქვეყნებისთვის პრეცედენტი იქნება და მომავალში ბაქო ან ერევანი ან კიდევ სხვა რომელიმე ქვეყანა მოითხოვს უვიზო რეჟიმს.

ეს დაახლოებით ისეთივე საკითხია, რაც თურქეთის ევროკავშირში მიღება. ანკარამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, იმაზე მეტიც კი გააკეთა, რასაც ბრიუსელისგან მიცემული დავალებები ითვალისწინებდა, მაგრამ ევროკავშირის წევრი მაინც ვერ გახდა.

საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, ბრიუსელში გეოგრაფიულ და რელიგიურ თემებს ძალიან ფრთხილად ეპყრობიან და პრეცედენტებს არ ქმნიან. რეალურ მიზეზებს არ ასახელებენ, თუმცა, იგივე ანკარას შემთხვევაში, თურქეთში პირდაპირ მიანიშნებდნენ, რომ ბრიუსელი მათ სწორედ რელიგიური ნიშნით უკეტავდა ევროკავშირის კარს.

საქართველოს შემთხვევაში კი, ექსპერტების მინიშნებით, წითელი ხაზები გეოგრაფიულ მდებარეობაზე გადის.

ევროპის სივრცეში, იუგოსლავიის შემდეგ, უკვე სამი მცირე მუსლიმანური ქვეყანა გაჩნდა: ალბანეთი, ბოსნია და კოსოვო.

სხვა ყველაფერი პოლიტიკური სპეკულაციაა. ოპოზიცია ცდილობს, ყველაფერი ხელისუფლების უუნარობასა და უმოქმედობას დააბრალოს, თუმცა თავად ნაციონალებმა გეოგრაფიული ფაქტორის შესახებ კარგად იციან. ამიტომაც მიხეილ სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საქართველო შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის მიება და არა ამიერკავკასიისთვის. სხვათა შორის, სტრასბურგში საქართველოს გაწევრიანების საკითხს სწორედ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხალხო მსვლელობა, აწყურის ღვთისმშობლის ხატისა და ოჯახის დღესასწაულის აღსანიშნავად. ამის შესახებ ამ შეკრების ერთ-ერთი მხარდამჭერი, გია კორკოტაშვილი გვესაუბრა.

**გია კორკოტაშვილი:**

– 16-17 მაისი საპატრიარქომ დაადგინა აწყურის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულად და ოჯახის დღესასწაულად გამოაცხადა პატრიარქმა. საკმაოდ დიდი აღლუმი და სახალხო დღესასწაული იგეგმება. 17 მაისს „ლგბტ“-ებიც გეგმავენ ღონისძიებას. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო საზოგადოებას – ჩემო უძვირფასესებო, არჩევანი თქვენზეა, ან აწყურის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული, ან „ლგბტ“-ის დღესასწაული. ვისაც რა სულიერება აქვს, ისე აღნიშნოს ეს დღე.

**– პირადად თქვენ რომელ დღესასწაულზე აპირებთ მისვლას?**

– რომ გითხრათ, „ლგბტ“-ების დღესასწაულზე წავალ-მეთქი, დამიჯერებთ? გენიალური რამ მოხდა ღვთის წყალობით. ეს დღესასწაული წლების წინათაც აღინიშნებოდა, სხვადასხვა ქვეყნებიდან ეპისკოპოსები იყვნენ მოწვეულნი. უბრალოდ, პატრიარქმა აღადგინა ეს დღესასწაული. ახალი კი არ მოიგონა ვინმესთან დასაპირისპირებლად, არამედ ძველი ტრადიცია აღადგინა. ერმა უნდა განსაზღვროს, არჩევანი მასზეა.

**– კონკრეტულად სად გაიმართება საპატრიარქოს ორგანიზებული ღონისძიება?**

– სვეტიცხოვლიდან 16 მაისს დაიწყება მსვლელობა, კოლონები წამოვლენ მცხეთიდან, და მოვლენ თბილისში სამების საკათედრო ტაძარში, მეორე დღეს, ანუ 17 მაისს, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილები, დიდი და პატარა შეიკრიბება „ვარდების მოედანზე“, გამოვივლით რუსთაველზე, მივესალმებით მთელ ქალაქს, მოვესიყვარულებით ერთმანეთს და მთელი ეს ხალხი აბრძანდება სამებაში, სადაც მიაბრძანებენ აწყურის ღვთისმშობლის ხატს, რომელსაც პატრიარქი დახვდება სამებაში. მოკლედ, ძალიან დიდი სახალხო დღესასწაული იქნება. ვისთვისაც ეს მნიშვნელოვანია, მობრძანდეს, ვისთვისაც „ლგბტ“ არის სულიერება, მათთან წავიდეს.

**– რაიმე დაპირისპირებას ხომ არ ელოდებით?**

– არავითარ შემთხვევაში. ეს ისეთი დღესასწაულია, დაპირისპირებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. არჩევანი თავისუფალია – ბარაბას გზა, ან ღვთის გზა.

# ...ზო რეჟიმს

ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად განიხილავდნენ. მაშინ საქართველო დაწინაურდა და ერევანთან და ბაქოსთან შედარებით უფრო ადრე მიიღო სტრასბურგში დროშის აღმართვის უფლება. მაშინ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებმა ამ საკითხზე უკმაყოფილება არამხოლოდ სტრასბურგში, თბილისშიც დააფიქსირეს.

ასე რომ, ექსპერტების შეფასებით, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან უვიზო რეჟიმის გაფორმება პრეცედენტი იქნება აზიური ქვეყნებისთვისაც.



# გიორგი ქადაგიძეს ზოგი პოლიტიკაში ჩართვას უწინასწარმეტყველებს, ზოგიც – სასამართლო პროცესს

# „ეს არის პიარი, რომელიც მთავრობის ცუდი მუშაობის გადასაფარად სჭირდებათ“



ქეთი ხატიაშვილი

**ფინანსური კრიზისის შესასწავლად საგამოძიებო კომისია შესაძლოა, პარლამენტში შეიქმნას. უმრავლესობა ლარის დაცემას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის თემად განიხილავს. კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ მათ ქადაგიძესთან კითხვები აქვთ.**

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, ექსპერტებისგან განსხვავებით, შეფასებებში ფრთხილია, თამაზ მეჭიაური არა მხოლოდ ეროვნული ბანკის, მინისტრების პასუხისმგებლობის შესახებ საუბრობს: „შესაძლოა, ამის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, დადგეს საკითხი საგამოძიებო კომისიის შექმნისა. ყველაფერი შესაძლებელია, თუ რომელიმეს ბრალეულობას დაადგენს კომისია. ამისგან არავინაა დაზღვეული, არც მინისტრები და არც ეროვნული ბანკი“.

ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ საგამოძიებო კომისიის მუშაობა ჩიხში შევა, რადგანაც მთავრობის ბრალეულობა იმდენად აშკარაა, რომ სხვა დასკვნას, უბრალოდ, ვერ გააკეთებენ.

**რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით „მთავრობა ცდილობს, საკუთარი ცუდი მუშაობა გადაფაროს.**

– ეს არის პიარი, რომელიც მთავრობის ცუდი მუშაობის გადასაფარად სჭირდებათ. მთავრობა კრიზისში შევიდა და ახლა უნდა, ყველაფერი ეროვნულ ბანკს გადააბრალოს. არადა, ეროვნულმა ბანკმა, რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გახარჯა – 260 მილიონის ინტერვენცია მოხდა 6 თვის განმავლობაში. მალე ეროვნულ ბანკს მოუწევს, საგარეო ვალიც გაისტუმროს, რაც დაახლოებით 400 მილიონი დოლარია და ესეც რეზერვებს დააკლდება. ასე რომ, რეზერვები კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. პარალელურად მთავრობამ არ გადადგა შემხვედრი ნაბიჯები: არ განახორციელა ბიუჯეტის კორექტირება, არადა სავალუტო ფონდის რეკომენდაციებში ეს იყო, არ დააჩქარა პრივატიზაციის პროცესი, არ შემოდის ინვესტიციები...

**საზოგადოება „2030“-ის წევრის მიხეილ დუნდუას განმარტებით კი, ფინანსურ კრიზისში ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა იკვეთება და სერიოზული კითხვებიც არსებობს:**

– მან გვერდი აუარა ყველა მწვავე შეკითხვას. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ეროვნული ბანკის დესტრუქციულ ქმედებებზე – 2 წლის განმავლობაში დოლარის დიდი მასა ამოიღო ეკონომიკიდან. შესაბამისად, მან დოლარის დეფიციტის გამოწვევას ხელი შეუწყო, განსხვავებით 2009-2010 წლების პერიოდისგან, მაშინ მან მიაწოდა 300 მილიონზე მეტი დოლარი ეკონომიკას, მაშინ ასე თვლიდა საჭიროდ. მაშინ, როდესაც რთული პერიოდია, დოლარი ორი წლის განმავლობაში ამოღებულია ეკონომიკიდან, დოლარის დეფიციტია შექმნილი. ასეთი ქმედებები არის კონტრპროდუქტიული, ხელს უწყობს დოლარის დეფიციტის გაღრმავებას... არავინ არ ეუბნება ქადაგიძეს სავალუტო რეზერვების გამოცარიელებას, საერთაშორისო რეზერვები უნდა გვქონდეს იმ დონეზე, რაც საკმარისი იქნება ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

**„2 წლის განმავლობაში დოლარის დიდი მასა ამოიღო ეკონომიკიდან. შესაბამისად, მან დოლარის დეფიციტის გამოწვევას ხელი შეუწყო, განსხვავებით 2009-2010 წლების პერიოდისგან“**

პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობას ექსპერტების დიდი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს. ლევან ალაფიშვილი ასეთ შესაძლებლობას თითქმის გამორიცხავს.

**კომისიასთან დაკავშირებით პოზიცია თავად გიორგი ქადაგიძემაც დააფიქსირა. მისი განმარტებით:**




„ყველასთვის ცხადია, ეს არის ზეწოლა ეროვნულ ბანკზე, რომ დახარჯოს სავალუტო რეზერვი. მე გავუმარტივებ ამოცანას ამ იდეის ავტორებს და ვიტყვი, რომ ჩვენ არ ვაპირებთ სავალუტო რეზერვების განიავებას, გაფლანგვას. ეს არის არასწორი გადაწყვეტილება. ის, რომ ეს გადაწყვეტილება არასწორია და ხშირ შემთხვევაში დამღუპველი, მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში არაერთხელ დადასტურებულა. მარტივად კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ სავალუტო რეზერვი არ არის ჩვენი ან ეროვნული ბანკის საკუთრება. ჩვენი ქვეყნის სავალუტო რეზერვი არის თითოეული ჩვენი მოქალაქის, ჩვენი შვილების მატერიალური დოვლათი, გარანტი იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურად ფუნქციონირებას არაფერი ემუქრება. ეს არის გარანტი იმისა, რომ ამ ქვეყანაში 90-იანი წლები არ განმეორდება არასდროს... რეზერვების ხარჯვა, არ არის პრობლემების გადაჭრის გზა. პრობლემების გადაჭრა არის სხვაგან და ამაზე და სხვა ყველა დეტალზე მექნება საუბარი წლიური ანაგრიშის დროს, როდესაც პარლამენტში წარვდგები”.

ქადაგიძეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილება 8 თვეში ეწურება. კულისებში უკვე მის შემცვლელზე საუბრობენ. ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ქადაგიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. ხშირად ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მის წარსულსაც ახსენებენ – ის ჯერ ბადრი პატარკაციშვილის, შემდეგ კი ბიძინა ივანიშვილის ბანკების გაკოტრებაში უშუალოდ მონაწილეობდა საარჩევნო მარათონის პერიოდში.

ახლა ექსპერტებს სხვა კითხვა უფრო აინტერესებთ: რას იზამს გიორგი ქადაგიძე, როცა მას ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის ვადა ამოეწურება. კულუარული ინფორმაციით, ქადაგიძე პოლიტიკაში ჩართვისთვის ემზადება. ლევან ალაფიშვილის განმარტებით, მსგავსი საკვანძო და მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავება ახალგაზრდებისთვის სწორედ იმიტომაც არის სარისკო, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ ისეთივე ფუნქციისა და მნიშვნელობის შეძენა უწევთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი




ნინუცა მაყაშვილი




მარიშა მაისურაძე



ნინა წკრიალაშვილი




ქრისტინე იმედაძე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# paparazzi





თათია შარანგია და სანდრო შელია



თაკო გაჩეჩილაძე



მაკა ჩიჩუა, გიგი ჩიჩუა და ანა მარგველაშვილი



სტეფანე და თაკო გაჩეჩილაძე



ბახვა ბრეგვაძე



მაკა შალიკაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




# ზურაბ აზმაიფარაშვილი სინგაპურის მოქალაქეობას მალავს?



ევროპის საჭადრაკო გაერთიანების ქართველი ხელმძღვანელი, ერთ-ერთი ინფორმაციით, ორმაგ მოქალაქეობას ფლობს.

ამბობენ, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილი საქართველოსთან ერთად, სინგაპურის მოქალაქეცაა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში აცხადებენ, რომ აზმაიფარაშვილი წლების განმავლობაში ცხოვრობდა სინგაპურში და იქაური ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტიც იყო, თუმცა სინგაპურის მოქალაქე არ არის.

თუმცა, ჩნდება ეჭვები, რომ სინგაპურის ჭადრაკის ფედერაციას რატომ ჩააბარებდნენ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სინგაპურის პასპორტი არ აქვს?

კიდევ ერთი სკანდალი, რომელიც აზმაიფარაშვილს მოელის, ფიდე-სთან დადებული ხელშეკრულებაა. ვიდრე აზმაიფარაშვილის ევროპის საჭადრაკო გაერთიანების პრეზიდენტად აირჩევდნენ, ის სპორტის ყოფილმა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა მოადგილის პოსტზე დააწინაურა, თუმცა 10 მარტს, აზმაიფარაშვილმა პოსტი დატოვა. როგორც ცნობილია, საქართველოს ბიუჯეტიდან, ჭადრაკი 3 წლის განმავლობაში 38 მილიონ ლარზე მეტს მიიღებს, აქედან - 30 მსოფლიოს 2018 წლის ოლიმპიადას მოხმარდება, რომელიც ბათუმში გაიმართება და 180 ქვეყნის 2000-ზე მეტი წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის წევრები ბოლო დღეებია აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ფიდე-სთან ხელშეკრულებაზე ხელი ლევან ყიფიანს უნდა მოეწერა, მან კი ეს აზმაიფარაშვილს დაავალა. ხელშეკრულება ფიდე-სთან ორი კვირის წინ გაფორმდა, აზმაიფარაშვილი კი იმ მომენტში მინისტრის მოადგილე აღარ იყო. მან ხელმოწერა, როგორც ევროპის საჭადრაკო გაერთიანების ხელმძღვანელმა, ისე დააფიქსირა, ამიტომ ჩნდება კითხვა - ჰქონდა თუ არა მას ამის უფლება.

ჩინეთში, დოკუმენტზე ხელმოწერის ცერემონიალზე, იმყოფებოდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, გია გიორგაძე, თუმცა, ის მთავრობის წევრი არ არის და შესაბამისად, დოკუმენტზე ხელს ის ვერ მოაწერდა.

აზმაიფარაშვილის ხელმოწერა კი აჩენს ეჭვებს და ეს ეჭვები სპორტის კომიტეტშიც აწუხებთ, რომ ფიდეს ხარკი უნდა გადაუხადოს ქართველმა ხალხმა, იმისთვის, რომ აზმაიფარაშვილი ამ პოსტზე იყოს, მისი ფედერაცია კი სწორედ ჭადრაკის უმაღლეს მმართველ ორგანოს ექვემდებარება.



# საეჭვო გარიგე

მირიან ბოქოლიშვილი

**საქართველოს პარლამენტმა, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა ეკონომიკურ გუნდს, მათ შორის ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს, რომლის მიმართაც ბოლო პერიოდში ყველაზე უფრო მეტი კრიტიკა ისმის. მართალია, საკანონმდებლო ორგანოში ხადურს საკუთარ წარმატებებზე საუბრისას თავი არ დაუზოგავს, მაგრამ სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მის ამ რიტორიკას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აუდიტის დასკვნა, სადაც საბიუჯეტო სახსრების უყაირათო ხარჯვას საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. არ არის გამორიცხული, აუდიტის შემდეგ ამ საქმეებით პროკურატურაც დაინტერესდეს. მაგალითად, ძვირადღირებული ავტომობილების ჩანაცვლების გაურკვეველი პროცესით, რომელიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დაინერგა და ეს პრაქტიკა „წარმატებით“ განაგრძო ხადურის უწყებამ.**

ლაშა თორდიას უწყების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელებულია ავტომანქანების მიზანშეუწონელი ჩანაცვლებები. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში ჩანაცვლებულია პრაქტიკულად სრულიად ახალი ავტომანქანები, სხვა შემთხვევებში ეფექტიანობის თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნებოდა ტენდერებით შესყიდვა. შედეგად, აუდიტი ასკვნის, რომ არაეკონომიურად გახარჯულია დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები.

მაგალითად, საშუამავლო კომპანია „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი“-ის მიერ 2 ერთეული ავტომანქანა „Toyota Land Cruiser Prado“ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისისგან“ შეძენილ იქნა 95.1 და 119.0 ათას ლარად, რომლებიც 2013 წლის 21 აგვისტოს #278 ხელშეკრულების საფუძველზე სამინისტროს მიეწოდა, შესაბამისად, 101.1 და 124.5 ათას ლარად (11.5 ათასი ლარის ფასნამატებით). ამასთანავე, ზემოაღნიშნული ავტომანქანების სანაცვლოდ მისთვის გადაცემულია 2 ერთეული ავტომანქანა (ღირებულებით 71.5 ათასი ლარი) და, საერთო ჯამში, ჩანაცვლების შედეგად, გადახდილია 154 ათასი ლარი. ხადურის უწყების მიერ ჩანაცვლებული ავტომანქანიდან ერთ-ერთია 2011 წლის გამოშვების „Toyota Land Cruiser 200“, შესაბამისად, გაურკვეველია, რა აუცილებლობას წარმოადგენდა გამართულ მდგომარეობაში მყოფი მაღალი გამავლობის ავტომანქანის (გარბენი 49503 კმ) ჩანაცვლება დაახლოებით იმავე კლასის მქონე ახალი ავტომანქანით, რის შედეგადაც არააუცილებელი საჭიროებისთვის გაიხარჯა საბიუჯეტო სახსრები.

საინტერესოა კიდევ ერთი ჩანაცვლების პროცესი, რომლის ღირებულება ნახევარ მილიონს აჭარბებს. მას შემდეგ, რაც ხადურის უწყებამ ავტოპარკის განახლება გადაწყვიტა, 25 ავტომობილის ღირებულების 15-პროცენტიანი ფასდაკლება მოახდინა, რის შემდეგაც ჩამოფასებული ავტომობილები გადაცვალა საკმაოდ ძვირადღირებულ 25 ერთეულ „ჰიუნდაის“ ავტომობილზე, რომლის ღირებულება, საერთო ჯამში, 583 ათას ლარს აჭარბებს. ხადურის მიერ ჩამოფასებული ავტომობილების ძვირადღირებულ ავტომობილებში გადაცვლის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით 343 ათასი ლარის გადახდა მოუწია. აუდიტორებისთვის გაუგებარია, რატომ გაკეთდა ასეთი ფასდაკლება სამინისტროს მიერ, როდესაც უწყებამ იცოდა, რომ ამ შემთხვევაში ბიუჯეტიდან გაცილებით მეტი თანხის დამატება დასჭირდებოდათ. თუმცა ეს არ ყოფილა გამონაკლისი. ანალოგიურად შეამცირეს ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულებები სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად: 2013 წლის 26 ივნისს შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ გაფორმებული #223 ხელშეკრულების ფარგლებში ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულებები ჯამში შემცირებულია 9.7 ათასი ლარით. ფიზიკურ პირ გიორგი ქოქოსაძესთან 2013 წლის 25 მარტს გაფორმებული #100 ხელშეკრულების ფარგლებში ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულება შემცირებულია 6.3 ათასი ლარით. ხოლო 2013 წლის 29 მარტს შპს „სენა მოტორსთან“ გაფორმებული #119 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანების ღირებულება შემცირებულია 11.0 ათასი ლარით.

„მიზანშეწონილი იქნება, არ განხორციელდეს ახალი და ვარგის მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანების ჩანაცვლება; ძველი ექსპლუატირებული ავტომანქანების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს ეფექტიანობის კვლევა ჩანაცვლებასა და ტენდერებით შესყიდვის განხორციელებასთან მიმართებით და დასაბუთებულად იქნას მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევასთან დაკავშირებით; გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებისას შესყიდვები განხორციელდეს უშუალოდ იმპორტიორი კომპანიების საშუალებით და არა შუამავალი კომპანიების მეშვეობით, რაც განაპირობებს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას“, – ნათქვამია აუდიტის დასკვნაში.

ავტომობილების თემა არ გახლავთ ერთადერთი საეჭვო გარიგება, რომელიც აუდიტმა ხადურის უწყებაში გამოავლინა. კითხვებს აჩენს ქურთუკებისა და პალტოების შესყიდვაზე გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერიც. ამ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 60 ათასი ლარი გახლდათ. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, ტენდერი უარყოფითი შედეგით იმ მოტივით დასრულდა, რომ მასში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის (შპს „მოდელების სახლი მატერია“) მიერ წარმოდგენილი ქართული წარმოების საქონლის ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საფუძვლად მოტანილია ფინანსთა სამინისტროს




## „შესყიდვები განხორციელდეს უშუალოდ იმპორტიორი კომპანიების საშუალებით და არა შუამავალი კომპანიების მეშვეობით, რაც განაპირობებს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბეში ხადურის უწყებაში





„მიზანშეწონილი იქნება, არ განხორციელდეს ახალი და ვარგის მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანების ჩანაცვლება“



რესტორანი „გუჯარი“

აუდიტი: „არსებობს გონივრული ეჭვი, რომ წინასწარ გამიზნული იყო კონკრეტული მომწოდებლისგან უცხოური წარმოშობის საქონლის შეძენა, ნაცვლად ადგილობრივი წარმოებისა, რაც გაუმართლებელია“




- რა პრინციპით იცვლის ავტომობილებს ფინანსთა სამინისტრო?
- ვისგან იყიდა უწყებამ ქურთუკები და პალტოები?
- რა დაჯდა 380-კაციანი კორპორაციული წვეულება ბუბუტეიშვილის რესტორანში?

საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ოქტომბრის წერილი, რომელსაც ახლავს საგამოძიებო სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსის მოადგილის პატაკი. პატაკში აღნიშნულია, რომ საქონლის ნიმუშები არც ვიზუალურად და არც ხარისხობრივად არ შეესაბამებოდა მათ მიერ მიწოდებულსა და ტენდერში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საქონლის ნიმუშები. სატენდერო კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო რაზმის უფროსის მოადგილის ზოგადი დაუსაბუთებელი არგუმენტის საფუძველზე. კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელი იყო, სატენდერო კომისიაში ჩართული ყოფილიყო ექსპერტი და ჩატარებულიყო საქონლის ექსპერტიზა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა ობიექტური დასკვნის გამოტანა. ამის სანაცვლოდ კი რამდენიმე დღეში ზუსტად იმავე ოდენობისა და დასახელების საქონლის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ორი ტენდერი (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 52.5 ათასი და 44.5 ათასი ლარი). ტენდერებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა – შპს „დიანამ“ და ორივეში გამარჯვებულად გამოცხადდა. მასთან გაფორმდა ხელშეკრულებები 97 ათასი ლარის მოცულობით, რაც 37.2 ათასი ლარით აღემატებოდა უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერის სავარაუდო ღირებულებას.

„ზემოაღნიშნული გარემოებები და, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ გაურკვეველი მიზეზით ახალი ტენდერების გამოცხადებისას გაზრდილ იქნა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, წარმოშობს გონივრულ ეჭვს, რომ წინასწარ გამიზნული იყო კონკრეტული მომწოდებლისგან კონკრეტული უცხოური წარმოშობის საქონლის შეძენა (ჰონდურასი, დომინიკის რესპუბლიკა, ჩინეთი, აშშ) ნაცვლად ადგილობრივი წარმოებისა, რაც გაუმართლებელია. მიზანშეწონილი იქნება, სატენდერო კომისიამ პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული საქონლის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღოს კომპეტენტური ექსპერტების დახმარებით და არა კონკრეტული ხელმძღვანელი პირების სუბიექტური გემოვნების მიხედვით“, – განმარტავენ აუდიტის სამსახურში.

აუდიტის დასკვნაში მოხვდა მივლინებებისა და სარესტორნე მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები. ჩვენს მკითხველს ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელოდაც კი მოეჩვენოს, თუმცა ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსანთა მადას ეს მცირე დეტალიც კი კარგად ასახავს, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. საუბარია მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეზე, რომელიც 10-დღიანი სამუშაო ვიზიტით აშშ-ში იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროს სადღეღამისო ნომერში კვების ხარჯები ისედაც გათვალისწინებულია, ბიუჯეტმა დამატებითი ხარჯები გაიღო სასტუმროს ნომერში შეკვეთილ სადილში, რაც, აუდიტორთა თქმით, კანონდარღვევას წარმოადგენს. ხადურის უწყებას თანხები არ დაუზოგავს ბუდაპეშტში თანამშრომელთა გასეირნებაზე. კერძოდ, 9-დღიანი ოფიციალური მივლინების შემდეგ მათ დამატებით ორდღიანი მოგზაურობის ხარჯებიც აუნაზღაურდათ.

საინტერესოა ხადურის უწყების წარჩინებული თანამშრომლების დაჯილდოების საქმეც, რომელიც, ასევე, მოხვდა აუდიტის დასკვნაში. სამინისტროს ბრძანებით, ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა სამინისტროს წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოებასთან დაკავშირებით წვეულების ორგანიზება და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება 380 პირზე. აღნიშნული წვეულების გამართვისთვის შპს „გუჯარს“ (ე.წ. ბუბუტეიშვილის რესტორანი) გადაერიცხა 14.0 ათასი ლარი.

სამინისტროს აპარატის იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც დანიშნული ჰქონდათ დანამატები (19 პირი), წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ, ჯამურად, 1 მილიონ 370 ათასი ლარი, მათ შორის თანამდებობრივი სარგო – 466.8 ათასი ლარი, პრემია – 183.5 ათასი ლარი, დანამატი – 720.4 ათასი ლარი. მინისტრის დანამატი დანიშნულია პრემიერ-მინისტრის მიერ. დანარჩენი დანამატები დანიშნულია უშუალოდ ნოდარ ხადურის ბრძანებით ყოველთვიურად მხოლოდ ხელმძღვანელ პირებზე (მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და მათი მოადგილეები). ხელმძღვანელ პირებზე დანამატის სახით გაცემულმა თანხამ საშუალოდ მათი თანამდებობრივი სარგოს 154% შეადგინა. გარდა ამისა, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თანამშრომელთა წახალისების მიზნით, მინისტრის ბრძანებით, სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის ფასიანი საჩუქრით (მობილური ტელეფონით „IPhone-5“) დაჯილდოვდნენ სამინისტროს სისტემის ხელმძღვანელი პირები – მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტებისა და სამსახურების უფროსები (სულ 19 პირი).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა უნდა ვიცოდეთ ციფრუ

**2015 წლიდან, თანამედროვე მსოფლიოს მსგავსად, საქართველო ანალოგიურიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადადის. რეფორმას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყება „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“ ახორციელებს.**

მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით, მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებში:

· ამუშავდა ცხელი ხაზი (ტელ 1480) და ოპერატორები 24საათიან რეჟიმში პასუხობენ შემოსულ შეკითხვებს;

· ფუნქციონირებს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ვებ და სოციალური გვერდები, სადაც ასევე ყოველდღიურ რეჟიმში ხდება კითხვებზე პასუხების გაცემა;

· დაიბეჭდა 4 მლნ საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც მოსახლეობას ხელმეორედ მაისში მიეწოდება;

· ეთნიკური უმცირესობების ინტერესების გათვალისწინებით მომზადდა საცნობარო მასალა, რომელიც მოსახლეობას გადაეცა სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების სამხარეო ადმინისტრაციების და სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრთა დახმარებით;

· მომზადდა სტატიების სერია, რომელთა განთავსება ეტაპობრივად მიმდინარეობს გაზეთებში;

· 2015 წლის იანვრიდან ტელევიზიებში (საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხები, აჭარის ტელევიზია, „იმედი“, „რუსთავი 2“, „მაესტრო“, „ერთსულოვნება“, „ტაბულა“, „პალიტრა TV“, „TV-3“, „GDS“) გადის სააგენტოს მიერ მომზადებული ვიდეო მასალები (საინფორმაციო კლიპები);

· ვიდეო მასალები განთავსებულია 24 ადგილობრივ ტელევიზიაში;

· ციფრული მაუწყებლობის სააგენტო აქტიურად მონაწილეობს მაუწყებლების მიერ მომზადებულ სატელევიზიო და რადიო გადაცემებში;

· საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით სააგენტო პერიოდულად აწყობს შეხვედრებს და მონაწილეობს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ თემატურ ღონისძიებებში.

დღეს მოსახლეობა მეტნაკლებად ინფორმირებულია რეფორმის შესახებ. სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია კიდევ ერთხელ და ამჯერად, პრესის საშუალებით, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მათი მხრიდან ცხელ ხაზსა და სააგენტოს სოციალურ გვერდზე შემოსული ხშირად დასმული კითხვების მიხედვით.

ხშირად დასმული კითხვები:

**რატომ გადავდივართ ციფრულ მაუწყებლობაზე?**

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოს აჩვენა, რომ არსებობდა სიხშირული რესურსის გამოყენების უფრო ეფექტიანი შესაძლებლობები, სწორედ ამიტომ, დღეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ანალოგურის ნაცვლად ციფრული მაუწყებლობით სარგებლობს. ჟენევის 2006 წლის ხელშეკრულების (GE-06) ფარგლებში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის - საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება.

**რა სარგებელი აქვს ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლას?**

ციფრული ტელევიზია იძლევა უფრო მეტი პროგრამის გადაცემის საშუალებას: დაახლოებით თხუთმეტი სტანდარტული გარჩევადობის პროგრამა სიხშირეთა იმ არხში, რომელიც ამჟამად გამოიყენება მხოლოდ ერთი ანალოგური პროგრამისთვის. მომხმარებელთათვის მიწისზედა ტელემაუწყებლობის გაციფრულება უზრუნველყოფს ხმისა და გამოსახულების გაუმჯობესებულ ხარისხს, უფრო მეტი სატელევიზიო პროგრამების ხელმისაწვდომობას, მომსახურებას, პორტაბელური პროგრამების მიღების საშუალებას. მაუწყებლებისათვის ციფრულ პლატფორმაზე გადასვლა უზრუნველყოფს უფრო მეტ შესაძლებლობას პროგრამის შექმნისათვის, სხვადასხვა აუდიტორიის საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით. აგრეთვე, გრძელვადიან პერსპექტივაში, იგი ამცირებს სამაუწყებლო ხარჯებს და უზრუნველყოფს მოქნილობას ეროვნულ თუ ადგილობრივ მაუწყებლობის დონეებზე. სახელმწიფოსთვის სარგებელი ჩნდება ციფრულ პლატფორმაზე გამოყენებულ რადიო სიხშირეთა რიცხვის შემცირებისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის გამო. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამაუწყებლო სიხშირეთა ნაწილი გამოყენებული იქნება ( 800 მჰც დიაპაზონი 2014 წლიდან, ხოლო 700 მჰც დიაპაზონი 2015 წლის შემდგომ) უსადენო ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების დასანერგად, რაც ხელს შეუწყობს მთელი საქართველოს მასშტაბით ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას და შემდგომ განვითარებას.

**როგორია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ვადები და ეტაპები?**

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU)პირველი რეგიონისთვის (სადაც საქართველოსთან ერთად შედის ევროპა, აფრიკა და აზიის დიდი ნაწილი) - 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე მიგრაციის ვადად; მოცემული გულისხმობს, რომ აღნიშნული თარიღის შემდეგ ქვეყნების ფარგლებში მოქმედი ანალოგური სატელევიზიო სიგნალები, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, აღარ იქნება დაცული მეზობელი ქვეყნების მხრიდან წარმოქმნილი ხელშეშლებისგან. 17 მარტიდან 17 ივნისამდე, პარალელური მაუწყებლობის რეჟიმში, სატელევიზიო გადაცემები ანალოგური და ციფრული სიგნალების მეშვეობით გავრცელდება. აღნიშნულ პერიოდში თქვენ უკვე შეგიძლიათ ისარგებლოთ სეთ-თოფბოქსებით.

**ვის ეხება აღნიშნული პროცესი?**

რეფორმა თანაბრად ეხება ყველა ოჯახს, გამონაკლისს მხოლოდ საკაბელო, თანამგზავრული და ინტერნეტ ტელევიზიების მომხმარებლები წარმოადგენენ.

რომელი პროგრამების ყურებას შევძლებთ ციფრული მიწისზედა ტელემაუწყებლობის ფორმატში?

დღეს უკვე შეგიძლიათ იხილოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები, „აჭარა ტელევიზია“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კომედი არხი“, „ტაბულა“და „GDS“.

**მოგვიწევს თუ არა ტელევიზორის გამოცვლა?**

ყველა ტელევიზორი გამოსადეგია, რომელსაც უერთდება აუდიო-ვიდეო (ე.წ. RCA, ტულპანი, ფერადი კაბელი) ან SCART კაბელი.

რა არის ის პარამეტრები, რომლებზეც უნდა გადააწყონ მაყურებლებმა თავიანთი თანამედროვე DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორები?

ყველა თანამედროვე DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორის მფლობელმა ციფრული საეთერო სამაუწყებლო სიგნალის მისაღებად ტელევიზორის მენიუში შეარჩიოს ავტომატური ძებნის (AutoSearch) რეჟიმი. ტელევიზორი იპოვის ეთერში არსებულ ყველა ციფრულ არხს და მოათავსებს მათ არხების სიაში. იგივე შედეგს მივიღებთ, თუ გავააქტიურებთ ხელით ძებნის რეჟიმს (Manual Search), რასაც წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი პარამეტრების შერჩევა: მენიუს შესაბამის პუნქტში უნდა შევარჩიოთ DTV რეჟიმი, გატარების ზოლი 8 მჰც. (OIRT System D), არხის ნომერი ან სიხშირე, მაგალითად, თბილისისთვის 23 არხი, 490 მჰც. ამის შემდეგ საჭიროა ხელით ძებნის რეჟიმის გააქტიურება, რის შედეგადაც ტელევიზორი იპოვის ამ ერთი კონკრეტული არხის შესაბამისი მულტიპლექსის ყველა პროგრამას და მოათავსებს მათ არხების სიაში. შემდგომში, საჭიროა ამ მანიპულაციის გამეორება ყველა დანარჩენი მულტიპლექსპლატფორმებისთვის.

**გამომადგება თუ არა DVB-T სტანდარტის მქონე ტელევიზორი?**

დიახ, გამოგადგებათ. DVB-T სტანდარტის მქონე ტელევიზორს ციფრული ღია საეთერო სიგნალის მისაღებად დასჭირდება სეთ-თოფ ბოქსი.

**რა არის სეთ-თოფბოქსი და სად შეიძლება მისი შეძენა?**



სეთ-თოფბოქსი - ციფრული სიგნალის მისაღებად საჭირო სპეციალური აღჭურვილობაა, რომელიც თქვენს ტელევიზორს ანტენიდან შემოსულ სტანდარტულ ან მაღალი გარჩევადობის სიგნალს მიაწვდის. სეთ-თო-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლი მაუწყებლობის შესახებ?

ფბოქსის შეძენა შესაძლებელია სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში.







**რომელი ანტენით უნდა მივიღოთ ციფრული სიგნალი?**

ციფრული სატელევიზიო სიგნალი შეიძლება იმავე მეტრული და დეციმეტრული ანტენით მივიღოთ, რომლითაც ვსარგებლობდით ანალოგური სიგნალის მიღებისას. ეს შეიძლება იყოს შენობის სახურავზე დამონტაჟებული სატელევიზიო გადამცემისკენ მიმართული ანტენა დიაპაზონით 174-230 მჰც სიხშირეები მეტრულ (VHF) სიხშირულ ზოლში და 470-694 მჰც სიხშირეები დეციმეტრულ (UHF) სიხშირულ ზოლში. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია სახლის ანტენის გამოყენებაც.

**რა ტიპის კაბელი დაგვჭირდება ციფრული ტელევიზიისთვის და გამოგვადგება თუ არა ძველი კოაქსიალური (სპილენძის) სატელევიზიო კაბელი?**

ციფრული სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ: სტანდარტული 75 ომიტალღური წინა ღობის მქონე კოაქსიალური, ე.წ. „სატელევიზიო კაბელი".

და აუდიო-ვიდეო, ე.წ. RCA შემაერთებელი კაბელები. ანტენიდან შემომავალი კოაქსიალური კაბელი უერთდება სეთ-თოფბოქსს, თავად სეთ-თოფბოქსი კი ტელევიზორს უკავშირდება RCA ან SCART შემაერთებელი კაბელით. თუკი თქვენ გაქვთ თანამედროვე ტელევიზორი, მაშინ შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც RCA ან SCART ასევე HDMI შემაერთებელი კაბელიც.

**სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიაში ვიყიდე სეთ-თოფბოქსი, რომელსაც არა აქვს RCA შემაერთებელი კაბელის პორტი. როგორ მივუერთო ეს სეთ-თოფბოქსი ტელევიზორს?**

სეთ-თოფბოქსს, რომელიც თქვენ შეისყიდეთ, უნდა ჰქონდეს HDMI ან SCART კაბელების შესაერთებელი პორტი. SCART კაბელი, RCA კაბელის მსგავსად, გამოიყენება აუდიო-ვიზუალური აპარატურის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

**ვარ სოციალურად დაუცველი, მეკუთვნის თუ არა შეღავათი?**

რეფორმის პროცესში სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით 70 000 დანაკლებია, მთავრობამ სერტიფიცირებული სეთ-თოფბოქსები შეისყიდა. აპარატურა ხელმისაწვდომი იქნება არაუგვიანეს მიმდინარე წლის მაისისა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებისთვის კი სახელმწიფომ სეთ-თოფბოქსების საცხოვრებელ ადგილზე მიტანა უზრუნველყო.

**ვარ სოციალურად დაუცველი შშმ პირი, აპარატურის მოტანისას ადგილზე არ ვიმყოფებოდი, როგორ უნდა მოვიქცე?**

იმ შემთხვევაში თუ სეთ-თოფბოქსის ჩაბარება ვერ მოხერხდა მიმღების საცხოვრებელ მისამართზე არყოფნის გამო, საქართველოს ფოსტის კურიერი 5 სამუშაო დღის ვადაში ხელმეორედ შეეცდება ამანათის იმავე მისამართზე ჩაბარებას. ხოლო თუ კვლავ ვერ მოხერხდა აპარატურის მიმღებისთვის გადაცემა, ფოსტის თანამშრომელი უტოვებს მას შეტყობინებას, რის საფუძველზეც მიეცემა შესაძლებლობა შემდგომში მიიღოს კუთვნილი სეთ-თოფბოქსი.










მიმღები აპარატის ჩაბარების (როგორც მისამართზე, ასევე სერვის-ცენტრში) უფლება აქვთ, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან და ბაზაში რეგისტრირებულ პირს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის მზრუნველს/ მეურვეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და მზრუნველობის/ მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

სოციალურად დაუცველმა პირებმა, შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, უნდა მიაკითხოთ საქართველოს ფოსტის რაიონულ სერვის ცენტრებს, სადაც პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე გადმოგეცემათ კუთვნილი სეთ-თოფბოქსი.

**სოციალურად დაუცველის სტატუსი მომენიჭა 2014 წლის დეკემბერში. მეკუთვნის თუ არა სეთ-თოფბოქსი?**

ამ ეტაპზე სუბსიდირება გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით, 70 000 და ნაკლებია.

**ვარ სოციალურად დაუცველი. შევიცვალე საცხოვრებელი მისამართი. არ მიმიღია შეტყობინება და, შესაბამისად, არც ჩემი კუთვნილი სეთ-თოფ ბოქსი. როგორ მოვიქცე?**

თქვენ უნდა მიაკითხოთ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს და დაადგინოთ თქვენ მიერ სოციალური სტატუსის მიღებისას დაფიქსირებული საცხოვრებელი მისამართი.

**მივიღე სეთ-თოფ ბოქსი, მაგრამ არ მუშაობს, ვის მივმართო?**

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შეძენილი სეთ-თოფბოქსი წუნდებული აღმოჩნდა, მიმღები აპარატი უნდა მიიტანოთ ან გააგზავნოთ შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0114, ფუნიკულიორის ზედა პლატო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო.

რამდენად უსაფრთხოა სახელმწიფოს მიერ შესყიდული სეთ-თოფბოქსები?

სახელმწიფოს მიერ შესყიდულ საქონელს თან ახლავს RoHS და CE სერტიფიკატები იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დადგენილ მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

**რა ღირს, სეთ-თოფბოქსი?**

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახელმწიფოს მიერ შესყიდული სეთ-თოფბოქსების საცალო ფასი 19 აშშ დოლარს და 85 აშშ ცენტს შეადგენს. ხოლო სეთ-თოფბოქსები, რომლებიც სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში იყიდება, არის სხვადასხვა ფუნქციის მქონე და შესაბამისად, ფასებიც განსხვავებული იქნება.

**რატომ არ არის გათვალისწინებული მონტაჟი სოციალურად დაუცველებისთვის?**

ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს აქტივობა შეზღუდულია და დამოკიდებულია მის ბიუჯეტზე. სააგენტოს 2015 წლის ბიუჯეტში, სამწუხაროდ, მონტაჟისათვის გათვალისწინებული ხარჯები დამტკიცებული არ არის. თუმცა მონტაჟთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ყველა საინფორმაციო მასალაში.

**ციფრული მიწისზედა ღია საეთერო მაუწყებლობისთვის გამოგვადგება თუ არა თანამგზავრული თეფში ან რისივერი?**

თანამგზავრული თეფში ან რისივერი არ გამოგადგებათ. თქვენ დაგჭირდებათ DVB-T2 სტანდარტის ციფრული სიგნალის მიმღები მოწყობილობა სეთ-თოფ ბოქსი და სახლის სახურავზე დამონტაჟებული ანტენა (იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია სახლის ანტენის გამოყენებაც).

ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია, რომ საეთერო მიწის ზედა ციფრული და საკაბელო ტელევიზია ერთდროულად მიეწოდებოდეს მომხმარებელს ერთ ტელევიზორში.

დიახ, ზოგადად ეს შესაძლებელია. ამ ორი სიგნალის შესაკრებად საჭიროა სატელევიზიო სიგნალის სპლიტერი/კომბაინერი, (ანუ გამყოფი/ შემკრები) აღნიშნული მოწყობილობის შეძენა შესაძლებელია შესაბამისი პროფილის მაღაზიებში. საკაბელო ტელევიზიის კაბელი უნდა მიუერთდეს სპლიტერის ერთ რომელიმე შესასვლელს, ანტენიდან გამომავალი კაბელი კი მეორე შესასვლელს. სპლიტერის გამოსასვლელი მიუერთდება ტელევიზორის საანტენო შესასვლელს.

**შეიძლება თუ არა საკაბელო და მიწისზედა საეთერო, ან თანამგზავრული და მიწისზედა საეთერო მაუწყებლობა ერთდროულად მივიღოთ?**

შეიძლება, თუ სეთ-თოფბოქსი ორივე ტექნოლოგიურ პლატფორმასთან თავსებადია.

**რითი განსხვავდება სტანდარტული გარჩევადობის პროგრამა მაღალი გარჩევადობის პროგრამისგან?**

სტანდარტული გარჩევადობის პროგრამის საშუალო სიჩქარე 2.16 მბ/წმ-შია, ხოლო მაღალი გარჩევადობის პროგრამის სიჩქარე 5-დან 8 მბ/წმ-მდეა, იმის მიხედვით თუ რა ტიპის პროგრამა გადაიცემა. ჩვეულებრივად, მაღალი გარჩევადობის სპორტული პროგრამების ტრანსლირებისას უფრო მაღალი სიჩქარეები გამოიყენება.

**რა საშუალებებით შემიძლია მივიღო ციფრულ მიწისზედა ღია საეთერო მაუწყებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია?**

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სააგენტოს მიერ მომზადებული და ეროვნულ და ადგილობრივ ტელევიზიებში განთავსებული ვიდეორგოლებით; ბუკლეტების (დარიგების 2 ეტაპით მარტსა და მაისში) პრესაში განთავსებული სტატიების, სააგენტოს ვებ (www.digitaltv.ge) და სოციალური (www.facebook.com/Digitaltv.ge) გვერდების, ასევე, ქართულენოვანი სამომხმარებლო ინსტრუქციის საშუალებით, რომელიც თან ახლავს მთავრობის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შეძენილ სეთ-თოფბოქსებს; რეფორმასთან დაკავშირებული მასალა განთავსებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდებზე. 24 საათიან რეჟიმში მუშაობს ცხელი ხაზი (ტელ 1480), შესაბამისად, მოსახლეობას დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლია სასურველი და დეტალური ინფორმაციის მიღება.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „გვაქვს ნეპოტიზმის კონკრეტუ
# პირდაპირ კავშირშია ბაგა-ბა


თემურ თორდინავა და დავით ნარმანია

ხათუნა მგალობლიშვილი

**ბაგა-ბაღებში უხარისხო კვებასთან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ უკვე წერდა. მშობლების მოთხოვნით, კონკრეტულ ბაღებში „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი კვების ბლოკებს ამოწმებდა და შედეგიც სახეზე იყო – მოწამლული ბავშვები და მაქსიმალურ ფასად გასაღებული უხარისხო, ხშირ შემთხვევაში კი გაფუჭებული ხორცი. გია ბურჯანაძის განცხადებით, კონკრეტული ფაქტების, კონკრეტული ბაღების გამოაშკარავების შემდეგ ფინანსური სამინისტროს შესაბამისი უწყება გააქტიურდა და ექვსი ვეტერინარი უკვე დაკავებულია, ორზე კი სერიოზული ეჭვი არსებობს და არ არის გამორიცხული, მათი გამოვლენა და დაკავებაც უახლოეს დღეებში მოხდეს.**

მიუხედავად კონკრეტული დამნაშავეების გამოვლენისა, ბურჯანაძის განცხადებით, ბაღებში დღესაც შედის უხარისხო საკვები და არასამთავრობო ორგანიზაცია პრობლემის მოუგვარებლობას მერიასა და ბაგა-ბაღების სააგენტოს სამსახურს აბრალებს. მისი განცხადებით, ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა და მის თანამშრომლები ბაღების დირექტორებს მითითებებს აძლევენ, რომელ კომპანიასთან უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება და ვისგან უნდა მოხდეს საკვები პროდუქტების შეძენა. აღნიშნული კომპანიები კი სკოლამდელ დაწესებულებებს უხარისხო პროდუქტებს სთავაზობენ.

დღესდღეობით დედაქალაქში არსებული ბაღების უმრავლესობა ორი კომპანიის მიერ მარაგდება: შპს „კვება“ და შპს „იმპექსპრო“. გია ბურჯანაძის განცხადებით, ორივე კომპანიის უკან ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი და მისი თანამშრომელი, თამთა ამნიაშვილი დგანან.

> **გია ბურჯანაძე: „ექვსი ვეტერინარი უკვე დაკავებულია. მაქვს ინფორმაცია, რომ მიმდინარე კვირაში კიდევ ორ ვეტერინარს დააკავებენ“**

**გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი:**

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომელი კომპანიების უკან ვინ დგას და ვისი მითითებით შეაქვთ ბაგა-ბაღებში საკვები, მათ შორის უვარგისი ან კამეჩის ხორცი. შპს „კვება“, შპს „იმპექსპრო“ და კიდევ რამდენიმე კომპანიაა. რატომღაც ბაგა-ბაღების სააგენტოს მხრიდან მითითება ხდება, რომ მხოლოდ ამ ორ კომპანიაზე იყოს „მოთხოვნა“. კანონმდებლობით ამას კომერციული მოსყიდვა ჰქვია და ისჯება კანონით. ჩვენ არ მივცემთ ბაღების მართვის სააგენტოს და სხვა, დაინტერესებულ პირებს იმის საშუალებას, რომ პირადი ბიზნესინტერესები განახორციელონ და სხვა კერძო მეწარმეები ბაზრიდან განდევნონ.

**– რაც შეეხება თქვენ მიერ დასახელებულ კომპანიებს, თუ შეისწავლეთ და თუ გაქვთ ინფორმაცია, ვინ დგას ამ კომპანიების უკან, ან ვის ეკუთვნის ისინი?**

– რა თქმა უნდა, მოხდა მათი შესწავლა და გეტყვით, რომ იკვეთება ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელობის ინტერესები. მაგალითისთვის გეტყვით, რომ „იმპექსპროს“ ბაღებში ხორცი შეაქვს 12,50 ლარად, ხოლო „კვებას“ – 14 ლარად. თორდინავამ ბაღების დირექტორებს მითითება მისცა, რომ ხორცის არჩევისას ორიენტირი უნდა მოხდეს პროდუქტის ფასზე და თავად ამ ფასებსაც თორდინავა არეგულირებს. ამის გამო ბაგა-ბაღების სააგენტოში შიდა არეულობაც კი არის. პირდაპირ გეტყვით, რომ „იმპექსპროს“ უკან თემურ თორდინავა დგას, ხოლო „კვების“ უკან – თამთა ამნიაშვილი. ბაგა-ბაღების დირექტორები პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ სწორედ თამთა ამნიაშვილის რეკომენდაციითა და მითითებით ხდება „კვებასთან“ დაკავშირება. არის, ასევე, შპს „წიქარა“, რომლის უკანაც სურსათის უვნებლობის სააგენტოს თანამშრომლები დგანან. უფრო კონკრეტულად კი ალეკო ოდიშვილი, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, სურსათის უვნებლობის სააგენტოში მუშაობს, ხოლო მისი მეუღლე, თამარ ხახნელიძე, ბაგა-ბაღების სააგენტოში კვების ბლოკს კურირებს. ჩვენი ინფორმაციით, „კვებისა“ და „იმპექსპროს“ მიერ მიწოდებული ხორცი ხარისხიანი არ არის, ის საკმაოდ იაფიან პროდუქტს ყიდულობს და მაქსიმალურად მაღალ ფასს მიუთითებს. მინდა გითხრათ, რომ 158 ბაღიდან მხოლოდ 16 ბაღში შეაქვს ერთადერთ კომპანიას, რომლის უკან მაღალჩინოსანი არ დგას. დანარჩენი ბაღები კი იძულებითი წესით აფორმებენ ხელშეკრულებას იმ კომპანიებთან, რომელსაც ბაგა-


თემურ თორდინავა და დავით ნარმანია

# „მე ვიტყოდი, რომ სპორტი ჩვენი ქვეყნის წარმოჩენის ერთ-

## ლუკა კურტანიძე: „თუ წარმატებული დეპუტატი ხარ, რა თქმა უნდა, პარლამენტში დარჩენის ამბიცია უნდა გქონდეს“

ხათუნა მგალობლიშვილი

**საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატის რანგში მოხვედრილ სპორტსმენს მიაჩნია, რომ მოქმედი პარლამენტი ყველაზე ქმედითია. ლუკა კურტანიძეს ასეთი დასკვნის საფუძველს იქ მოღვაწე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ერთობლიობა აძლევს.**



რაც შეეხება გაყიდულ თამაშებსა და ბოლო დღეებში განხორციელებულ სკანდალურ დაკავებებს, კურტანიძე მაინც თვლის, რომ საქართველომ მსოფლიოს წინაშე საკუთარი თავი სწორედ სპორტის მეშვეობით უნდა წარადგინოს... მიზნის მისაღწევად დეპუტატი სპორტის სამინისტროს გააქტიურებასა და მათგან ბევრ ახალ ინიციატივას ელოდება, რომ შემდეგ პარლამენტში მოხვედრილმა დეპუტატებმა ის უკვე რეალობაში განახორციელონ. თუმცა აქამდე პირიქით იყო, პარლამენტი ნებისმიერი სამინისტროს მოღვაწეობას აკონტროლებდა და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ინიციატივებითაც მიმართავდა...

**ლუკა კურტანიძე, პარლამენტის წევრი:**

– სპორტი ჩვენი ქვეყნის წარმოჩენის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა. პოლიტიკურად რომ წარმოაჩინო საქართველო მსოფლიოში, მე ვიტყოდი, რომ სპორტი ჩვენი ქვეყნის წარმოჩენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. რაკი ჩვენ საკანონმდებლო ხელისუფლებაში ვართ, გვინდა, რომ ბევრი სიახლე შევიტანოთ სპორტში, თუნდაც ბიზნესი რომ შემოვიდეს და სახელმწიფოს სპორტის დაფინანსებაში დაეხმაროს. ამისთვის საჭიროა ინიცირება, კანონებში ცვლილებები. ამ ცვლილებებისთვის დღეს მზად არის საკანონმდებლო ხელისუფლება.


ლევან ყიფიანი

**– რატომ არ გატარდა აქამდე ცვლილებები?**

– საკანონმდებლო საფუძველი უნდა შეიცვალოს და განახლდეს. ინიცირება, პირველ რიგში, სამინისტროდან უნდა წამოვიდეს. ორი წელი გავიდა და არანაირი ინიცირება არ მომხდარა, დროა უკვე.


ტარიელ ხეჩიკაშვილი

**– არ ფიქრობთ, რომ ინიციატორი სწორედ პარლამენტი უნდა ყოფილიყო?**

– საპარლამენტო კომიტეტი ყოველთვის ვერ ჩაერევა სპორტის სამინისტროს მუშაობაში. ის არის აღმასრულებელი და მან უნდა გააკეთოს ინიცირება. ჩვენ შეგვიძლია რეკომენდაცია, შენიშვნები მივცეთ. რა თქმა უნდა, ორივე იყო, შენიშვნებიც და რეკომენდაციაც. ჯანსაღი


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლი ფაქტები მერიაში, რომელიც ღებში უხარისხო კვებასთან“

## „იმპექსპროს“ უკან თემურ თორდინავა დგას, ხოლო „კვების“ უკან – თამთა ამნიაშვილი. ბაგა-ბაღების დირექტორები პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ სწორედ თამთა ამნიაშვილის რეკომენდაციითა და მითითებით ხდება „კვებასთან“ დაკავშირება“

ევა, ბავშვები მხოლოდ საქონლის ხორცით არ იკვებებიან ბაღებში. ე.წ. „ფორმა 2“-ში მითითებულია, რომ ბაღები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცით უნდა მომარაგდეს. რადგან დაკონკრეტება არ არსებობს, მიმწოდებელი კომპანიები კამეჩის ხორცით ამარაგებენ მათ და ბავშვებიც კამეჩის ხორცით იკვებებიან, მიუხედავად იმისა, რომ ბაგა-ბაღების სააგენტოს, სურსათის უვნებლობის სააგენტოსა და „ანტიკორუფციული კავშირის“ მიერ გამართულ ერთობლივ სხდომაზე ითქვა, რომ ბაღებში საქონლის ხორხი უნდა შევიდეს. გია ბურჯანაძის განცხადებით, მისი ორგანიზაცია აღნიშნული დარღვევების გამოსავლენად ყოველკვირეულ მონიტორინგს განახორციელებს, რომლის შედეგებიც ყოველი კვირის ბოლოს გასაჯაროვდება და დასახელდება, რომელი კომპანია როგორი პროდუქტით ამარაგებდა კონკრეტულ ბაღებს.

ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობას დაუკავშირდა, ნეპოტიზმის ფაქტებისა და მომმარაგებელი კომპანიების შესახებ პოზიციის დასაფიქსირებლად, თუმცა თემურ თორდინავამ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელობა უთითებს. მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, სადაც კომპეტენტური ადამიანები გაწევრიანდებიან და მონიტორინგს გაუწევენ ხორცის ტრანსპორტირებასა და ადგილზე მიტანას. ნეპოტიზმის სხვა ფაქტებიც არსებობს, რომლის შესახებ ადრეც ხმამაღლა ვსაუბრობდით. მაგალითად, ჯაბა სამუშიას მეუღლე ბაგა-ბაღების სააგენტოს თანამშრომელია.

**– ბაღების დირექტორები ხმამაღლა საუბრობენ ამ პრობლემაზე?**

– ბუნებრივია, ისინი ამას ხმამაღლა ვერ იტყვიან, პირიქით, იძულებულები არიან, კმაყოფილება გამოხატონ და აღნიშნონ, რომ კონკრეტული ფირმები და შპს-ები საუკეთესო პროდუქტს აწვდიან.

**– მითითებები კონკრეტულად ვისგან მოდის?**

– მაგალითად, რამდენიმე ბაღის დირექტორთან ვიზიტის დროს პირად საუბრებში პირდაპირ აღნიშნეს, რომ ქალბატონ თამთასთან გაიარეს „კონსულტაცია“. გამოდის, თამთა წყვეტს, რომელმა ბაღმა რომელი კომპანიისგან უნდა მიიღოს ხორცი, კარტოფილი და ნებისმიერი სხვა პროდუქტი. მოვუწოდებ თამთა ამნიაშვილს, რომ მისი ასეთი ქმედება კანონსაწინააღმდეგოა და საკმაოდ ხშირი ინფორმაცია მოდის მისი ბიზნესინტერესების შესახებ. ბაღებს ძირითადად 4-5 მომწოდებელი კომპანია ამარაგებს. ბაღების გამგეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, თავად აირჩიონ, საიდან და ვისგან შემოიტანონ ხორცი. მათ კი ამის საშუალება არ აქვთ, რადგან ბაღების დირექტორებს პირდაპირ უთითებენ, კონკრეტულად რომელი ფირმებიდან და რომელი შპს-ის მეშვეობით უნდა შემოიტანონ საკვები. წლებია, ვამბობთ, რომ გაბა-ბაღები უვარგისი ხორცით მარაგდებიან. მას შემდეგ, რაც თქვენი გაზეთისა და, ზოგადად, მედიის საშუალებით გავახმაურეთ კონკრეტული ფაქტები, პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა, ყოველ შემთხვევაში დღეს პირადად ჩვენს ორგანიზაციას ბაღებში შესვლის საშუალება აქვს და წინ არავინ გვიდგება. შედეგად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფი ძალიან გააქტიურდა და ექვსი ვეტერინარი უკვე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მაქვს ინფორმაცია, რომ მიმდინარე კვირაში კიდევ ორ ვეტერინარს დააკავებენ. თუმცა ეს არ არის პრობლემის მოგვარება. კიდევ გვაქვს პრობლემები და ნეპოტიზმის კონკრეტული ფაქტები მერიაში, რომელიც პირდაპირ კავშირშია ბაგა-ბაღებში უხარისხო კვებასთან. სკოლამდელი ბავშვების კვების სფერო აბსოლუტურად უკონტროლოდაა მიტოვებული. სურსათის უვნებლობის სააგენტო მეუბნება, ჩვენ პასუხისმგებლები მხოლოდ ხორცის ვარგისიანობაზე ვართო.

ვარგისიანობის გარდა, ბუნებრივია, ბაღები ხორცის ხარისხითაც უნდა დაინტერესდნენ, რადგან, როგორც ირკვ-




## ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია“




ურთიერთობაა საჭირო, კამათი არავის არ უნდა გაუკვირდეს. სამინისტროს ის ხელმძღვანელი, ვინც მოვალეობებს ვერ ასრულებდა, წავიდა, მოვიდა ახალი მინისტრი, რომელიც ძალიან კომუნიკაბელურია და თანამშრომლობისთვის მზად არის.

**– მიგაჩნიათ, რომ სპორტსმენები და შოუბიზნესის წარმომადგენლები პოლიტიკაში უნდა იყვნენ?**

– სპორტსმენი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება საკუთარ ქვეყანას ემსახურება და თუ მას იმის შნო და განათლებაც აქვს, რომ პოლიტიკაში იყოს, რატომაც არა? სპორტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. ვინც არ უნდა იყო პროფესიით, ჯანსაღი ცხოვრების რეკლამირებას თუ ეწევი და სხვასაც მოუწოდებ ამისკენ, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს, რომ იყო თუნდაც პარლამენტში ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში? ამიტომაც არის პარლამენტი საინტერესო, ის არის სხვადასხვა ადამიანების კრებული. ვფიქრობ, რომ დღეს პარლამენტი ყველაზე ქმედითია. ბუნებრივია, ხარვეზი ყველა სფეროში შეიძლება იყოს, რადგან იზრდება ქვეყნის როგორც განათლების, ეკონომიკის, ასევე, სახელმწიფოებრივი პოტენციალი. ჩვენ მშენებლობის პროცესში ვართ.

**– ანუ მიგაჩნიათ, რომ მომდევნო პარლამენტშიც უნდა დარჩნენ სპორტისა და შოუბიზნესის წარმომადგენლები?**

– ვინც დღეს კანონმდებელია, ხვალ-ზეგ შეიძლება აღმასრულებელ ხელისუფლებაში აღმოჩნდეს, შეიძლება სულაც სახლში წავიდეს, ეს დამოკიდებულია როგორც მოსახლეობაზე, ასევე ამ კონკრეტული დეპუტატის ქმედითობაზე.

**– თუმცა ცნობილია, რომ, ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, სპორტსმენების პარლამენტში შეყვანამ არ გაამართლა...**

– მე ძალიან კარგად თუ არა, კარგად ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს. ყოველთვის მინდა, რომ მისგან მივიღო რჩევა და როგორც კი ამის საშუალება მეძლევა, ვიყენებ. ბიძინა ივანიშვილი ძალიან აფასებს თითოეულ ამ ადამიანს, მაგრამ ყველამ, და პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილმა, ვიცით, რომ ცხოვრება იცვლება. დღეს თუ ვართ პარლამენტში საჭირო, დროთა განმავლობაში შესაძლოა, სხვადასხვა ადგილებში გადავინაცვლოთ. ეს ჯანსაღი პროცესია. თუმცა, პირველ რიგში, თავად დეპუტატი უნდა დაფიქრდეს და დაასკვნას იმ კონსტიტუციურ ვადაში, რაც საკანონმდებლო ორგანოში იყო, როგორ შეასრულა საკუთარი უფლებამოსილება. ამ კითხვაზე პასუხი თავად უნდა გასცეს დეპუტატმა, ვიდრე სხვა აგრძნობინებს. თუ წარმატებული დეპუტატი ხარ, რა თქმა უნდა, პარლამენტში დარჩენის ამბიცია უნდა გქონდეს, თუ არ არის წარმატებული, მაშინ იმ სფეროში უნდა გადადგას ნაბიჯი, სადაც წარმატების იმედი ექნება.

## SPORTBAZ

### „ოლიმპიაკოსი“ და ლორია შეთანხმდნენ - ქართველი წელიწადში 400 ათას ევროს მიიღებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარემ, გიორგი ლორიამ, საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსთან“ კონტრაქტის დეტალები შეათანხმა.

პირეოსელებმა წელს 42-ედ იზეიმეს ქვეყნის ჩემპიონობა, ლორიასთან კი კონტრაქტი ორწლიანი იქნება, სურვილის და შეთანხმების შემთხვევაში კი კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება.

როგორც ცნობილი გახდა, ბერძნები ქართველ მეკარეს, რომელიც პირეოსულ კლუბში უნგრელ მეიერსს შეცვლის, წელიწადში 400 ათას ევროს გადაუხდიან.

გიორგი ლორია ბოლოს კრეტის „ოფში“ ირიცხებოდა, რომელიც ფინანსური კრიზისის გამო დაიშალა და გათამაშებიდან მოიხსნა. მიუხედავად ამისა, ლორიამ მაინც შეძლო სხვა გუნდების დაინტერესება და ტრანსფერმაც არ დაახანა.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



მაგდა კლდიაშვილი

# უჩა ლობჟანიძე მომავალი ცოლის ვინაობას მალავს





ეროვნული ნაკრებისა და კვიპროსული „ომონიას“ განაპირა მცველს, უჩა ლობჟანიძეს ცოლი მოჰყავს.

ფეხბურთელი მეგობრებს მომავალი ცოლის ვინაობას უმალავს, თუმცა, ცნობილია, რომ ფეხბურთელი უკვე დაინიშნა მომავალ მეუღლეზე, ქორწილი კი 26 მაისს იქნება. ქორწილის ადგილი მცხეთაა, ფეხბურთელი ჯვარს სვეტიცხოველში დაიწერს, ქორწილს კი ბუბუტეიშვილების ცნობილ რესტორანში გადაიხდის. ფეხბურთელის მეჯვარე, მისი მეგობარი და ასევე ფეხბურთელი, ნიკოლოზ გელაშვილი იქნება.

სამაგიეროდ, „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ პატარძალს მარი ჰქვია და 19 წლისაა. ის უჩა ლობჟანიძემ შანხაის უბანში, ესთეტიკის ცენტრ „გიგი“-ში გაიცნო, სადაც მისი მომავალი ცოლის და მუშაობს. საპატარძლოს, კაბას ვიცე-პრემიერ, კახი კალაძის დიზაინერი ცოლი, ანუკი არეშიძე შეუკერავს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მომავალ პატარძალს ფეხსაცმლის დიზაინსაც არეშიძის სალონი შეუკერავს.

საქორწინო მოგზაურობაში უჩა ლობჟანიძე მალდივებზე გაემგზავრება.

SPORT bazarr

# ნიკა ბერაძემ TVS დატოვა



**სპორტული ტელევიზია TVS-ის საღამოს საინფორმაციო გადაცემის ეთერში აღარ ჩანს წამყვანი ნიკა ბერაძე. მოარული ხმებით, ბერაძეს ტელევიზიიდან წამოსვლა სურდა, მას კი დაასწრეს და გამოუშვეს, წამყვანი კი კონტრაქტის პირობების შესრულებას სასამართლოში აპირებსო.**

როგორც თავად ბერაძესთან გავარკვიეთ, მან ტელეკომპანია საკუთარი სურვილით დატოვა, რადგან არხზე უმეტესად არაპროფესიონალები მუშაობენ და ინტრიგაზე არიან ორიენტებულები.

**ნიკა ბერაძე, წამყვანი:**

- ჩემი სურვილით წამოვედი. ძალიან სხვა რაღაც მეგონა და სხვა აღმოჩნდა. იმედები არ გამიმართლა ამ ტელევიზიამ, მარტივად რომ ვთქვა, ადამიანებმაც, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ძალიან არაპროფესიული და ინტრიგებით სავსე გარემო იყო, რაც ჩემთვის მიუღებელია. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, წამოვსულიყავი. რაც შეეხება სარჩელს, მათ რომ გავეშვი, აუცილებლად მოვითხოვდი კომპენსაციას, მაგრამ ჩემი სურვილით წამოვედი.

# თბილისის „დინამომ“ გია გეგუჩაძე გადაწყვიტა

**საქართველოს ჩემპიონი, თბილისის „დინამო“, როგორც ჩანს, მწვრთნელის შეცვლას აპირებს.**

ხმები, იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისურ კლუბს მთავარ მწვრთნელად გია გეგუჩაძე სურს, დიდი ხანია ვრცელდება. ახალი მწვრთნელის ძიებაში რომ იყოს გუნდი, ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან, კლუბის ხელმძღვანელობა კახი გოგიჩაიშვილის მუშაობით და ნაჩვენები ფეხბურთით კმაყოფილი არ არის.

არც ისაა მოულოდნელი, რომ თბილისელებს ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში, 50 ქულით მესამე ადგილი უკავია და 4 ქულით ჩამორჩება ლიდერ „დილას“. დიდი შანსია, რომ ქვეყნის ფლაგმანად წოდებულმა „დინამომ“ წელს ტიტულის დაცვა ვერ შეძლოს და ვერც თასის ფინალში იხეიროს ვიცე-პრემიერ კახი კალაძის სახელთან დაკავშირებულ „სამტრედიას“ წინააღმდეგ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მოულოდნელი არ არის ხმები გეგუჩაძესთან დაკავშირებით, თანაც, დღემდე ყველას ახსოვს, რომ ბოლო წლებში, „დინამოს“ ერთადერთი წარმატება, რომელიც ევროსარბიელზე მის ჯგუფში მოხვედრას ეხება, გია გეგუჩაძის სახელს უკავშირდება.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



თამარ გონგაძე

# „ავთანდილის“ როკერი და თავისუფალი ქალი



**„ავთანდილმა“ „მერსედეს ბენცის“ მოდის კვირეული ღირსეულად დახურა. ჩვენება რიტუალების სასახლეში მოაწყო. ამჯერად დიზაინერმა გადაწყვიტა თავისი ხელწერის დაცვით, თუმცა მაინც რადიკალურად განსხვავებული ქალი წარმოედგინა.**

**ავთანდილ ცქვიტინიძე:**

- ამ ქალს ყველაფერი უყვარს, არ ემორჩილება არანაირ კანონებს. შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში იყოს ლიდერი. უყვარს როკი და თავისუფლება, არის ბედნიერი, ფანკი ქალია, მასთან ურთიერთობა ყველას უნდა, ძალიან საინტერესო და ჭკვიანია.

აი, ასე ახასიათებს თავად დიზაინერი იმ ქალს, რომელიც სულ 30 სახით ვიხილეთ კვირეულის ფინალში. პრაქტიკული სამოსი შემოდგომა-ზამთრის კოლექცია გახლდათ.

„იაპონელ ბაერებს მოეწონათ კოლექცია, ჩვენება ყველა ჟურნალისტმა გააშუქა და, რაც მთავარია, სექტემბერში ბერლინის „მერსედეს ბენცის“ მოდის კვირეულზე ვარ მიწვეული. ახალი კოლექცია უნდა შევქმნა არამხოლოდ ბერლინის კვირეულისთვის, მილანის, პარიზის, ნიუ-იორკის შოურუმებისთვისაც“.








# საქველმოქმედო საღამო კოტე თოლორდავას ოჯახის დასახმარებლად






**11 მაისს 20 საათზე მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენაზე მეგობრები და კოლეგები კოტე თოლორდავას გაიხსენებენ. ფირზე ნაჩვენები იქნება სტუდენტობიდან მოყოლებული უცნობ-ნაცნობი კადრები. იქნება სპექტაკლებიდან ნაწყვეტები და მოგონებები. საღამოს ორგანიზებას თეატრის ხელმძღვანელი და კოტეს პედაგოგი დიმიტრი ხვთისიაშვილი უწევს, საღამოსაც ის წაუძღვება. 13 მაისს კოტე 36 წლის გახდებოდა.**

**დიმიტრი ხვთისიაშვილი:**

- 13 მაისს სხვა ღონისძიება დაიგეგმა და არ გვინდოდა მას დავჯახებოდით. ამიტომ ზუსტად ერთი თვის თავზე ვიხსენებთ მას. იმდენად ახალია ეს ტრაგედია თეატრალიზებულ სანახაობას ვერ შევპირდებით მაყურებელს. საამისოდ საქმე არ გვაქვს. წმინდა საქველმოქმედო საღამოა, რომლის შემოსავალი მთლიანად შევა კოტე თოლორდავას ოჯახში. ჩვენ კოტეს ვიხსენებთ როგორც თეატრის მსახიობს. კოტემ საკმაოდ სერიოზული რეპერტუარი შექმნა თეატრისთვის და 14 იანვარს „რომეო და ჯულიეტადან“ კაპულეტის როლისთვის წლის საუკეთესო სცენიური ნაწარმოების შესრულებისთვის დაჯილდოვდა კიდეც.

**- ოჯახის წევრები დაესწრებიან საღამოს?**

- კოტეს დედამ მოსვლის სურვილი გამოთქვა. განოსაც ვესაუბრე და დამპირდა, ვეცდები თავს ვძლიო და მოვიდეო.

# თაკო ნაცვლიშვილი არმანიმ თავის საღამოზე გამოიყვანა



30 აპრილს, მილანში, ჯორჯო არმანის მოდის სფეროში მოღვაწეობის 40 წლის საიუბილეო საღამოზე, სხვა მოდელებთან ერთად, ქართველი მოდელი, თაკო ნაცვლიშვილი გამოვიდა. დიზაინერმა ამ დღეს თავისი მუზეუმიც გახსნა. ღონისძიებას ჰოლივუდის ვარსკვლავები ესწრებოდნენ. საზოგადოებამ დიზაინერის 140 კოსტიუმი იხილა.

**ნინო ცქიტიშვილი (მოდელი, თაკო ნაცვლიშვილის დედა):**

- თაკოს ეცვა შავი კაბა, დიდი ოქროსფერი აქსესუარით. საოცარ ემოციებში იყო. არმანის ძალიან მოსწონს თაკო, 85 წლის კაცია და თაკოს სახელი კარგად ახსოვს. კულისებში ლეონარდო დი კაპრიო გაიცნო, ყოველთვის დი კაპრიოს ფანი იყო და ამ ფაქტით დაიშოკა. სამწუხაროდ, ლეონარდოს დაცვის გამო ფოტოს გადაღება ვერ მოახერხა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თბილისის „დინამოს“ ვალი 31 მილიონს აჭარბებს

მაგდა კლდიაშვილი

**ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელმა გუნდის ბიუჯეტი მილიონამდე დაიყვანა, დახურა „დინამო 2“, ახლა კი საფეხბურთო სკოლა, მაისის ბოლოს, ოფიციალურად შეწყვეტს არსებობას. როგორც კლუბში განმარტავენ, ამის მიზეზი თანხების დაზოგვაა, სინამდვილეში კი მის მფლობელს, რომან ფიფიას, იმაზე გაცილებით დიდი პრობლემები აქვს, ვიდრე საზოგადოებას წარმოედგინა. ბოლო ნომერში „პრაიმტაიმმა“ „დინამოს“ გაყიდვაზეც დაწერა, რაც კლუბში კატეგორიულად უარყვეს. რეალურად, რა ხდება კლუბში და რატომ აქვს გუნდს რვანიშნა ვალი.**




საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“, რომ იტყვიან, ყელამდე ვალებშია ჩაფლული.

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, კლუბს მიმდინარე



ვალდებულებებში 31 მილიონ ლარზე მეტი აქვს. უფრო კონკრეტულად კი კლუბის ანგარიშზე 23 მილიონ 636 ათას 430 ლარი დავალიანება ირიცხება, რომელიც, როგორც ჩანს, სესხის სახით აქვს კლუბს აღებული. ეჭვი არსებობს, რომ ეს თანხები თბილისის „დინამოს“ მფლობელმა ოფშორული ზონებიდან ისესხა.

თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები 19 ათას ლარს აღემატება, გადასახადებსა და სოცანარიცხებში კი გუნდს 3 მილიონ 314 ათას 107 ლარი აწერია.

კლუბს, გრძელვადიან ვალდებულებებში, ერთ-ერთი ბანკის მიმართ 7 მილიონ 670 ათას 19 ლარი აქვს დავალიანება.

საწესდებო კაპიტალში გუნდს 16 მილიონ 464 ათას 710 ლარი აქვს ჩადებული, მთლიანი საკუთარი კაპიტანი და მთლიანი ვალდებულებები კი 32 მილიონ 590 ათას 198 ლარს შეადგენს.

არსებული ვალების ფონზე, ნათელი ხდება კლუბის მფლობელის, რომან ფიფიას გადაწყვეტილებები „დინამო 2“-სა და საფეხბურთო სკოლის გაკეთებასთან დაკავშირებით. მოარული ხმებით, ფიფია „დინამოს“ გაყიდვასაც აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხმები თავად მფლობელმა კატეგორიულად უარყო, არსებული ვალების ფონზე, მისთვის კლუბის ყოლა საკმაოდ არარენტაბელურია. თუ ამას იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ მარტო გასულ წელს, თბილისის „დინამომ“ ხელფასებში 12 მილიონი დახარჯა, ხოლო „აზოტისგან“ რვა მილიონი მიიღო, ნათელი გახდება, რომ გუნდი წაგებაზეა.

ასე რომ, ხმები გუნდის გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ისე საფუძველს არის მოკლებული, მეორე საკითხი კი ის არის, ვინ იყიდის გუნდს, რომელსაც ვალად 32 მილიონი აქვს.

**„თუ ამას იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ მარტო გასულ წელს, თბილისის „დინამომ“ ხელფასებში 12 მილიონი დახარჯა, ხოლო „აზოტისგან“ რვა მილიონი მიიღო, ნათელი გახდება, რომ გუნდი წაგებაზეა“**

# მარიამ ხაჭვანი: „ჩემს სვა

დეა თავბერიძე

**„ვხუმრობ, მთელი უშგული უნდა ჩაგიყვანოთ კანში მეთქი“, - ამბობს „პრაიმტაიმთან“ ახალგაზრდა რეჟისორი მარიამ ხაჭვანი. სანამ მარიამი ამ სურვილს აისრულებს, მანამდე გიორგი ბაბლუანი საფრანგეთიდან უშგულში ჩამოდის სათამაშოდ.**

მარიამს წარმატება და უამრავი პრიზი პირველივე ფილმმა „დინოლამ“ მოუტანა, ამჯერად კი ახალ ფილმზე მუშაობს, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი „დედე“ სანდენსის სცენარისტების ლაბის საბოლოო სელექციაში მოხვდა. ფილმის პროდიუსერი და მარიამ




ხაჭვანი ამერიკაში დეტალების დასაზუსტებლად 19-26 ივნისს მიემგზავრებიან.

მანამდე რეჟისორი სცენარისტთან ერთად სცენარსა და მსახიობების განაწილებაზე მუშაობს. მამაკაცის მთავარ როლს, როგორც ვთქვით, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მსახიობი გიორგი ბაბლუანი ითამაშებს. ხოლო ქალის როლზე სოციალურ ქსელში შემთხვევით ნაპოვნი გოგონა დაამტკიცეს. ფილმს უშგულში გადაიღებენ. მარიამ ხაჭვანი „პრაიმტაიმთან“ ფილმზე, მთავარი როლის შემსრულებლებსა და ზღაპრული უშგულის საინტერსო თავგადასავლებზე საუბრობს.

**მარიამ ხაჭვანი:** - ფილმი ტრადიციებზეა, ბევრი რამით არის გამორჩეული, ძალიან განსხვავებული იქნება და ძალიან მინდა, რომ კარგი და ღირებული ფილმი გადავიღო. უშგულში ძალიან უხარიათ, ჯერ ერთი მთელი უშგული მონაწილეობს ამ ფილმში, სხვათა შორის არ უჭირთ თამაში, თავისუფლები არაინ, და რასაც ეტყვი იმწამსვე აკეთებენ. ძალიან ადვილია მათთან მუშაობა.

### მსახიობები

ცნობილ მსახიობებს, სიმართლე რომ გითხრათ, არ ვეძებდი და ბაბლუანიც იმიტომ არ აგვირჩევია, რომ ცნობილია,



ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. პირველ რიგში, გადავწყვიტე ყველა არაპროფესიონალი ყოფილიყო, თავიანთი თავი უნდა ითამაშონ მსახიობებმა ფილმში. მთავარ როლში ცოტა განსხვავებული გმირი გვყავს, იმ სამყაროდან ამოვარდნილი, რომელშიც ცხოვრობს. გიორგი ბაბლუანიც, შემთხვევით, ხოფერიას გადაცემით აღმოვაჩინე და მივხვდი, რომ სწორედ ის მჭირდებოდა.

ფილმი სვანურ ენაზე იქნება და შესაბამისად, გადავწყვიტე, რომ ყველა სვანი ყოფილიყო. სვანეთში ხშირად ავდიოდი, ვეძებდი, ვაკვირდებოდი როგორ ცხოვრობენ, როგორ ფიქრობენ, როგორ მოქმედებენ და ამის მიხედვით, ძალიან დიდი დაკვირვების შემდეგ, შევარჩიეთ მსახიობები. მთელი სვანეთი იყო საქმის კურსში. მთავარი როლის შემსრულებელი გოგო კი ჩემმა დამ იპოვა „ფეისბუქზე“.

როცა მოვიდა, იმდენად ისეთი იყო, თავისუფალი, თამამი, ლამაზი და მთის განსხვავებული

**„ოპერატორი მექახდა, - შენ ხარ სადისტი და ჰიტლერიო... მე კი მინდოდა სწორედ ის ემოცია წამოსულიყო, რასაც ვგრძნობდი და რასაც ბებია მიყვებოდა“**

გარეგნობით, ძალიან მომეწონა. შესრულებაც არ გაუჭირდა, თავიდანვე უკომპლექსო იყო, ძალიან გამიხარდა, მაშინვე გმირი ვიცანი და არ მიფიქრია ბევრი, ისე დავამტკიცეთ.

### გადაღებები „სამოთხეში“

გადაღებები უშგულში ორ თვეში დაიწყება, გვაქვს ოთხი სეზონი ფილმში, მოქმედება სულ სვანეთში ხდება.

მე დაბადებული და გაზრდილი ვარ სვანეთში, ჩემი სამყარო იყო ძალიან განსხვავებული დანარჩენი სამყაროსგან, რომელსაც მე სამოთხეს ვეძახი, ძალიან სხვა არის სვანეთი, ყოველთვის მინდოდა, რომ მაყურებელსაც იგივე ეგრძნო, რასაც მე ვგრძნობდი... მინდა, რომ საათ-ნახევარი ვაცხოვრო სვანეთში მაყურებელი.

### სვანეთი და ტრადიციები

საინტერესო და ძლიერი ადამიანები არიან ჩემთვის სვანები. უშგულში 8 თუ 9 თვეა ზამთარი, თოვლია... ამ ყველაფერს რომ გაუძლოს ადამიანმა ძალიან ძლიერი უნდა იყოს, სიყვარ-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ...ნებს ძალიან კარგი და დადებითი კუთხით გავაცნობ მსოფლიოს“

ული უნდა გქონდეს ძალიან, შენი კუთხის, სვანებს გვაქვს ეს... მე იმდენად მიყვარს ჩემი სოფელი, რომ თვეში ერთხელ ავდივარ, ვახერხებ ზამთარშიც...

**რისკი და ორი ისტორია**

ცხენზე ჯირითი ძალიან მიყვარს, კარგადაც ვიცი, იმდენად კარგად, რომ შემიძლია ვაფრინო კიდეც ცხენი. ძალიან მიყვარს მთებში სიარული, შხარაზეც ასული ვარ, მართალია ბოლომდე არა, მაგრამ დასამახსოვრებელი ისტორიით...

ერთხელ ბიძაჩემმაც წამიყვანა მთებში სანადიროდ, მერე თვითონ დარჩა, მე სახლში ცხენით გამომიშვა. 9 კმ-ია მთიდან უშგული, გზაში დამიღამდა და ცხენი ზვავში ჩაეფლო, მთელი ერთი საათი ვეწვალე, ვერ ვაყენებდი, ვტიროდი, მეშინოდა, ფეხით ვერ წავიდოდი, მაშინ არც ტელეფონი იყო. ბევრი ვიტირე, ბოლოს ცხენი გამწარდა და გაუმკლავდა.

მეორე ისტორიაც მთას უკავშირდება, მე და ჩემმა ახლობელმა შხარაზე გადავწყვიტეთ ასვლა. ისე ახლოს ჩანს, აქვეა თითქოს, რამდენიმე გორა გადავიარეთ და დაგვიღამდა. ბოლოს უკან ვერ ჩამოვდიოდით. ბევრი ვიწვალეთ. დარეკეს მესტიაში და გააგებინეს, რომ შხარაზე დავიკარგეთ. ბოლოს მდინარეზე უნდა გადმოვსულიყავით, ფეხით ვერ შევდიოდი ძალიან ჩქარი იყო, ახლაც მახსოვს, როგორ გადმოვაფრინდი ენგურს. გამწარებული ყველაფრის გამკეთებელი ხარ, მართლა გადმოვახტი ოღონდ. დედაჩემს მკვდარი ვეგონე, ახლაც არ მავიწყდება ის წუთები როცა დამინახა. ატირდა და ცუდად გახდა. მაშინ ვიფიქრე, ასე არასოდეს ვიხეტიალებ-მეთქი.



# მთავარ როლზე გიორგი ბაბლუანი და გადაღებები უშგულში

EXCLUSIVE



**სვანური ხასიათი**

სვანური ხასიათი მაქვს, მკაცრი ვარ, გადაღებაზე მომთხოვნი და რისკიანი. შეიძლება რაღაცებში არ გაგიმართლოს, მაგრამ პროფესია ისეთი მაქვს, თუ არ გარისკე ვერაფერს გააკეთებ.

გავრისკე, პატარა ბავშვი მყავდა ფილმში მთავარ როლზე, 3 წლის. ეს ბავშვი მართლა რისკი იყო, რადგან შეიძლება საერთოდ არ ამოეღო ხმა. სამი სიტყვა აქვს სულ სათქმელი მეტი არა და მართლაც ოთხი საათი ველოდებოდით რომ ხმა ამოეღო და ეს სამი სიტყვა ეთქვა. ვიცოდი, რომ შეიძლება ასე გაეკეთებინა, მაგრამ მაინც გავრისკე და წავიყვანე. მერე თოვლშიც გავატარე სიცივეში... ოპერატორი მეძახდა შენ ხარ სადისტი და ჰიტლერიო. მე კი მინდოდა სწორედ ის ემოცია წამოსულიყო, რასაც ვგრძნობდი და რასაც ბებია მიყვებოდა.

**რატომ გადავწყვიტე რეჟისორობა?**

- უშგულში იმდენად საინტერესო ისტორიებს მიყვებოდნენ, რომ ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო. იქ აკვანში დანიშვნა, იქ მახვშები წყვეტდნენ რაღაცებს შენს მაგივრად, ქვრივებს ათხოვებდნენ უშგულში.

მოკლემეტრაჟიანი ფილმი სწორედ ამაზეა, ქვრივი თუ დაქვრივდებოდა, თუ მთხოვნელები



ჰყავდა უნდა გათხოვილიყო და ბავშვი გარდაცვლილი ქმრის ოჯახში დაეტოვებინა. თუ არ გათხოვდებოდა ამას მოჰყვებოდა სისხლის აღება, არეულობა... ეს ტრადიცია ძალიან დიდხანს გრძელდებოდა.

ბებიაჩემს გადახდა თავს, როგორ დატოვა დედამ, როგორ დასდევდა თოვლში ფეხშიშველი, დამეწებაო ფეხები თოვლში, - მიყვებოდა ბებია. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან დიდი ემოციური დარტყმა იყო. თან ვარკვევდი რატომ ათხოვებდნენ მეორედ, რადგან სვანებს სხვა მენტალიტეტი გვაქვს, ამ თემაზე ძალიან ბევრს ვფიქრობდი...

ქვრივი უნდა ყოფილიყო ლამაზი, ძლიერი, მეოჯახე... ჩემი დიდი ბებია ფიზიკურადაც ლამაზი ყოფილა და ისეც ძალიან მაგარი. ერთ კაბის ნაჭერში ერთ ძროხას აძლევდა თურმე. ფეხსაცმელებში თხებს იხდიდა. ამ დროს ერთ ოჯახს შეიძლებოდა ერთი ძროხა ჰყოლოდა მხოლოდ... ყველას მოსწონდა ასეთი ქალები. ეს ქალი ხუთჯერ გათხოვდა. ოთხჯერ უარი უთხრა და ძალიან ბევრი რამ გადაიხადეს სანაცვლოდ, მიწები, საქონლები... როცა თეატრალურზე ჩავაბარე ამ ქალის შვილმა მითხრა, - არ მომწონს შენი პროფესია, მსახიობები ბევრჯერ თხოვდებიანო, მე გამეცინა და ვუთხარი, - დედაშენი რომელი მსახიობი იყო-მეთქი. მერე სულ მეხუმრებოდნენ ამ თემაზე.

**ოცნება**

„ოქროს პალმის რტო... „ოსკარი“... ღმერთის წყალობით ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სერიოზულ წარმატებებს მივაღწევ კინემატოგრაფიაში და ჩემს სვანებს ძალიან კარგი და დადებითი კუთხით გავაცნობ მსოფლიოს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE „ცხინვალის“ ფე






**მაგდა კლდიაშვილი**

**გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი აქციის ფარგლებში, რიგით 23-ე შეხვედრას ტოტალიზატორის კოსტავას ფილიალმა უმასპინძლა, სადაც სტუმრად ცხინვალის „ცხინვალის“ ფეხბურთელები, დავით იმედაშვილი და გიორგი ივანიშვილი იმყოფებოდნენ. იმედაშვილს საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური ბევრჯერ აქვს მორგებული, ივანიშვილმა კი თავი ქართველ გულშემატკივარს 21-წლამდელთა ნაკრებიდან დაამახსოვრა, შემდეგ კი მცირე პაუზა ჰქონდა, ახლა კი „ცხინვალის“ რიგებში დაბრუნდა და საკმაოდ კარგ ფორმაშიც იმყოფება.**

შეხვედრას, „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალში, საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი დაესწრო. იმედაშვილის და ივანიშვილის გუნდი მეოთხე ადგილზე იმყოფება ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში, ევროსაგზურის მოპოვებაც შეუძლია მეოთხე საფეხურიდან, თუკი თასის ფინალში თბილისის „დინამო“, სამტრედიის „სამტრედიას“ დაამარცხებს.

თავად ცხინვალელებმა თასის ნახევარფინალური მატჩი მოქმედ ჩემპიონ „დინამოსთან“ საკმაოდ მძიმე ბრძოლაში დათმეს და გათამაშებას გამოეთიშნენ, სამაგიეროდ, იმავე „დინამოს“ ჩემპიონატის მატჩი მოუგეს და სხვაობა ახლა გუნდებს შორის 5 ქულას შეადგენს. ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი, კახა კაჭარავს შეგირდებს კი აქვთ შანსი აღმოფხვრან ჩემპიონთან ხუთქულიანი ჰანდიკაპი და პირდაპირ მესამე ადგილით მოხვდნენ ევროსარბიელზე.

გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს თავდამსხმელ გიორგი ივანიშვილს, რომელსაც გარკვეული პერიოდი ფეხბურთისთვის თავიც კი ჰქონდა დანებებული. შვეიცარიული საფეხბურთო განათლება და მაღალი სათამაშო კლასი ადვილად შესამჩნევია ივანიშვილისთვის, ის მოედნიდან თითქმის უგოლოდ არ გადის და ასისტენტობასაც ითავსებს. თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ მისთვის ჯერ „ცხინვალია“ მთავარი, გუნდს ევროსარბიელზე გასვლა აქვს დასახული, პირადი გეგმები კი გვერდზე აქვს გადადებული.

ევროსაგზურს რომ მოიპოვებენ, ამაში დარწმუნებულია დავით იმედაშვილი. გამოცდილი მცველი ამბობს, რომ მათ მესამე ადგილის დაკავებაც თავისუფლად შეუძლიათ და ამ მიზნისთვის ბოლომდე იბრძოლებენ.

**დავით იმედაშვილი:**

- ჯერ ჩემპიონატი მიდის და გადაწყვეტილი არაფერია. თავისუფლად შეგვიძლია, რომ მესამე ადგილზეც გავიდეთ. შანსი გვაქვს. გვინდა, რომ ევროტურნირებზე ვითამაშოთ, თუ მოხერხდება. ეს მიზანი სეზონის წინ დავისახეთ, მზად ვიყავით და ყველა ის ნაბიჯი, რაც გაკეთდა და საერთოდ ყველაფერი, კეთდება იმისთვის, რომ ევროსარბიელზე გავიდეთ და ვიასპარეზოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ცხინვალელთა შანსები მართლაც რეალურია, თუმცა ჯერ ყველაფერი წინ არის და ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევა.

რაც შეეხება აქციას, კოსტავას ფილიალში, გათამაშდა ბურთები, რომლებზეც ავტოგრაფები სტუმრებმა მოაწერეს და ისე გააჩუქეს გულშემატკივრებისთვის. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოებიც და „ევროპაბეთის“ მიერ სპეციალურად მათთვის დამზადებული სიმბოლური ბილეთებიც შეავსეს.

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი აქციის ფარგლებში, ეს რიგით 23-ე შეხვედრაა, სულ კი, პროექტის ფარგლებში, „ევროპაბეთის“ სხვადასხვა ფილიალებს, საქართველოს მასშტაბით შემდეგი ფეხბურთელები ესტუმრნენ:

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე, დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, ლაშა თოთაძე, ერეკლე კილაძე, კობა შალამბერიძე, მირზა მერლანი,

„ევროპაბეთის“ მიერ ფეხბუთელებისთვის დამზადებულ სპეციალურ ბილეთებზე, სტუმრებმა არჩევანი ესპანური გრანდების სასარგებლოდ გააკეთეს.

გიორგი ივანიშვილი „ბარსელონას“ გულშემატკივარი აღმოჩნდა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ფავორიტი გუნდი ლიგას მოიგებს. კატალონიელებმა მიუნხენის „ბაიერნს“ საკუთარ მოედანზე 3:0 სძლიეს და ცალი ფეხით ფინალში არიან.

დავით იმედაშვილი კი „რეალის“ გულშემატკივარია. იმედაშვილს იმედი აქვს, რომ მისი ფავორიტი გუნდი ზედიზედ მეორედ მოახერხებს ტიტულის მოგებას.

**გიორგი ივანიშვილი:**

- ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“, იმიტომ, რომ ასეთი თავდასხმა ჯერ არ მინახავს ფეხბურთის ისტორიაში - მესი, სუარესი, ნეიმარი, მაგრამ იმ ოთხეულს, რომელიც გასულია

**„ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“, იმიტომ, რომ ასეთი თავდასხმა ჯერ არ მინახავს ფეხბურთის ისტორიაში - მესი, სუარესი, ნეიმარი, მაგრამ იმ ოთხეულს, რომელიც გასულია ნახევარფინალში, თანაბარი გამარჯვების შანსი აქვს“**

**„ასეთი აქციები ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში მაყურებლის ინტერესი დაბალ დონეზეა. სტადიონზე არ დადიან და რამენაირად უნდა მოვახერხოთ, რომ ეს ხალხი დავაბრუნოთ და იარონ ჩვენს თამაშებზე“**







ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი ივანიშვილი და დავით იმედაშვილი.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ხბურთელები სტუმრად „ევროპაბეთში“




**„ეს მიზანი სეზონის წინ დავისახეთ, მზად ვიყავით და ყველა ის ნაბიჯი, რაც გაკეთდა და საერთოდ ყველაფერი, კეთდება იმისთვის, რომ ევროსარბიელზე გავიდეთ და ვიასპარეზოთ“**

**„მე ვგულშემატკივრობ მადრიდის „რეალს“. ვფიქრობ, დაძაბული ბრძოლა იქნება ჯერ ნახევარფინალში, მაგრამ ამ საფეხურს გადალახავს და გავა ფინალში, სადაც, ალბათ, გაიმარჯვებენ კიდეც“**

**„თავისუფლად შეგვიძლია, რომ მესამე ადგილზეც გავიდეთ. შანსი გვაქვს. გვინდა, რომ ევროტურნირებზე ვითამაშოთ, თუ მოხერხდება“**




**„მიხარია, რომ ატარებთ ასეთ აქციებს და ვფიქრობ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საშუალება, მოვიდეს და დავიბრუნოთ მაყურებელი სტადიონზე. საჭიროა ეს ყველაფერი“**

ნახევარფინალში, თანაბარი გამარჯვების შანსი აქვს.

**დავით იმედაშვილი:**

- მე ვგულშემატკივრობ მადრიდის „რეალს“. ვფიქრობ, დაძაბული ბრძოლა იქნება ჯერ ნახევარფინალში, მაგრამ ამ საფეხურს გადალახავს და გავა ფინალში, სადაც, ალბათ, გაიმარჯვებენ კიდეც.

სულ, გამართული შეხვედრებიდან ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე, ლაშა თოთაძე, დავით იმედაშვილი;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე, გიორგი მერებაშვილი, კობა შალამბერიძე, ერეკლე კილაძე, გიორგი ივანიშვილი;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე;

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ფავორიტად დასახელდა და უკვე გამოვარდა, ლონდონის „ჩელსია“. ფსონი მასზე გივი კვარაცხელიამ დადო. ფსონი დაიდო მადრიდის „ატლეტიკოზეც“, მასზე არჩევანი მირზა მერლანმა შეაჩერა, მაგრამ „ატლეტიკოც“ გამოეთიშა ელიტარულ ტურნირს.

ფეხბურთელები აქციას დადებითად აფასებენ და ამბობენ, რომ მხოლოდ ასეთი რეკლამები თუ დააბრუნებს გულშემატკივარს სტადიონზე და ინტერესს დაუბრუნებს, რადგან გულშემატკივრის გარეშე პროგრესი ქართულ ფეხბურთში ვერ იქნება.

**გიორგი ივანიშვილი:**

- ასეთი აქციები ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში მაყურებლის ინტერესი დაბალ დონეზეა. სტადიონზე არ დადიან და რამენაირად უნდა მოვახერხოთ, რომ ეს ხალხი დავაბრუნოთ და იარონ ჩვენს თამაშებზე.

**დავით იმედაშვილი:**

- მიხარია, რომ ატარებთ ასეთ აქციებს და ვფიქრობ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საშუალება, მოვიდეს და დავიბრუნოთ მაყურებელი სტადიონზე. საჭიროა ეს ყველაფერი.

აქცია კოსტავას ფილიალში დასრულებულია. შემდეგი შეხვედრა „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალში გაიმართება, სადაც პირველად, აქციის განმავლობაში, სტუმრად საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრები იქნებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ბრავო რექორდსი“ მსოფლიოში ყველაზე დიდი რექორდ ლეიბლების წარმომადგენელი და უფლებადამცველი გახდა





**my View**

თამარ გონგაძე

**„ბრავო რექორდსს“ დიდი კარგი სიახლე აქვს. ის მუსიკალურ ინდუსტრიაში მსოფლიოში ყველაზე დიდი რექორდ ლეიბლების წარმომადგენელი და უფლებადამცველი გახდა საქართველოში. „ბრავო რექორდსი“ უფლებამოსილი სუბიექტია გასცეს - Sony Music Entertainment- ის, Warner Music-ის და Universal Music Group-ის, ასევე Publisher-ების - Warner/ Chappell Music-ისა და Universal Music Publishing Group-ის რეპერტუარში შემავალი მუსიკალური ნაწარმოებების რეკლამაში, კინოფილმებში, თამაშებსა და სხვა ნებისმიერ აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებში გამოყენების უფლება. ჩამოთვლილი კომპანიების რეპერტუარი კი მთელ მსოფლიოში არსებული მუსიკალური რეპერტუარის დახლოებით 90%-ია. ასეთი მნიშვნელოვანი სიახლე „ბრავო რექორდსმა“ 6 მაისს გააცნო სარეკლამო კომპანიებსა და მედია საშუალებებს.**

**ზაზა შენგელია, „ბრავო რექორდსის“ პრეზიდენტი:**

- ევროპული სივრცის წევრები ვხდებით. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხი მნიშვნელოვანია. ამ კონკრეტული ნაბიჯის მიხედვით სარეკლამო კომპანიებმა, რომლებიც უცხოური მუსიკის რგოლებში გამოყენებას აპირებენ, ლიცენზია ჩვენგან უნდა შეიძინონ. ამდენად სინქრონიზაციის ანუ რეპროცედურების უფლებები ისეთი მთავარი მუსიკალური ლეიბლებიდან როგორიცაა Sony Music Entertainment-ი, Warner Music-ი და Universal Music Group-ი მოიპოვა „ბრავო რექორდსმა“.

„ბრავო რექორდსმა“ ამ დღეს კომპანიებთან - Windfors Georgia-სთან და ABK Advertising-თან გააფორმა კონტრაქტი, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სინქრონიზაციის უფლების დაცვის კუთხით თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც მუსიკის გამოყენების კონკრეტულ ქეისებს გულისხმობს.

**ზურა ბეჟაშვილი, „ბრავო რექორდსის“ იურისტი:**

- სინქრონიზაციის უფლება საავტორო უფლებების კუთხით ეკუთვნით მუზიქფაბლიშერებს, ხოლო მომიჯნავე უფლების კუთხით ეკუთვნით რეკორდლეიბლებს. ეს არის მუსიკალური ნაწარმოების ჩართვა ნებისმიერ ვიზუალურ გამოსახულებაში, რომელსაც სპეციალური ნებართვა სჭირდება. ეს უფლება ყველაზე ხშირად ფილმებში, სარეკლამო რგოლებსა და კომპიუტერულ თამაშებში გამოიყენება. სიმღერის ფასი დამოკიდებულია მის ცნობადობასა და პოპულარობაზე და ამის მიხედვით განისაზღვრება. ფასი სტანდარტების მიხედვით 250 ევროდან 100 ათას ევრომდე შეიძლება მერყეობდეს. მას რექორდლეიბლები და მუზიკფაბლიშერი ადგენს.

სისტემა ძალიან მარტივია - ავტორი მუზიკფაბლიშერს გადასცემს სინქრონიზაციის უფლებას, რექორდლეიბლი გასცემს ლიცენზიას დაინტერესებულ პირზე. ყველაზე დიდი მუზიკლეიბლები და რეკორდფაბლიშერები - Sony Music Entertainment- ი, Warner Music-ი და Universal Music Group-ი, ასევე Publisher-ები - Warner/Chappell Music-ი და Universal Music Publishing Group-ი ფარავენ მთელი მუსიკალური ნაწარმოებების 90 პროცენტს. შესაბამისად, დღეს „ბრავო რექორდსი“ სინქრონიზაციის კუთხით მთელი მუსიკალური ინდუსტრიის 90 პროცენტის უფლებებს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე.

„ბრავო რექორდსი“ უფლებამოსილია მხოლოდ დამზადებაზე გასცეს ნებართვა. გავრცელების საფასურს განსაზღვრავს კოლექტიური მართვის ორგანიზაცია.

**როგორ ხდება სიმღერის იდენტიფიცირება, ვისი სიმღერაა? ეს მომართვის საფუძველზე დგინდება, როდესაც კონკრეტული სარეკლამო კომპანია „ბრავო რექორდსს“ მიმართავს. „ბრავო რექორდსი“ უკავშირდება სამივე რეკორდლეიბლს და ეკითხება - ხომ არ არის ეს სიმღერა მათ კატალოგში?**

„ერთ-ერთი გვიდასტურებს, რომ მათი რეპერტუარის სიმღერაა. მერე ხდება მოლაპარაკება. სიმღერები ხშირად იცვლება რეკორდლეიბლებს შორის. ისინი ცდილობენ ყველა წარმატებული სიმღერა თავიანთ რეკორდლეიბლერის ქვეშ მოაქციოს. და მოლაპარაკებას აწარმოებენ. 5-6 სამუშაო დღე გვჭირდება, რომ უფლების მფლობელი დავაგდინოთ და მოლაპარაკება ვაწარმოოთ, ფასზე შევთანხმდეთ და ლიცენზიის გაფორმებაზე ვიზრუნოთ. ამიტომ ბოლო მომენტში არ უნდა მოგვმართოთ, თადარიგი ადრიანად უნდა დაიჭიროთ. თუ რომელიმე კომპანია ჩვენთან არ ითანამშროლებს, იძულებული გავხდებით მათ ძველ ქეისებს გადავხედოთ და სასამართლო წესით მოვახდინოთ უფლების დაცვა. ეს ყოველივე მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებაზე პოზიტიურად აისახება“, - აცხადებს „ბრავო რექორდსის“ იურისტი ზურა ბეჟაშვილი.

მედიასაშუალება, სადაც ეს რეკლამა გადის, თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან. ხოლო ვალდებულება ეკისრება რეკლამის დამამზადებელს, ან სარეკლამო კომპანიას. თუ მედიასაშუალება დაამზადებს ფილმს და მასში გამოიყენებს მუსიკას, ეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა იქნება ტელეკომპანიისთვის.

„ბრავო რექორდსი“ დარღვევის შემთხვევაში კომპანიას წერს შეტყობინებას, რომ კონკრეტული ქეისი ექვემდებარება ლიცენზირებას ან საქმე მივა სასამართლომდე. კომპანია პასუხს გზავნის, პასუხისმგებლობა ჩემს თავზე მაქვს აღებული და თანხას მე ვიხდი, ან წერს, რომ პასუხისმგებლობა რეკლამის დამამზადებელზე მაქვს დაკისრებული და მიმართეთ მას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში უკვე მინიმუმ ათმაგი ოდენობით ჯარიმდება.

**მირიან კულულაშვილი, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე:**

- „ბრავო რექორდსს“ მინდა ეს წამოწყება მივულოცო. ქართულ სარეკლამო ბაზარზე არსებობდეს თუნდაც „უნივერსალის“ მაგალითისთვის ასეთი დაბალი სატარიფო პოლიტიკა - ეს უკვე ძალიან კარგია.

**ზაზა შენგელია:**

- ხშირად ვლაპაკობთ იმაზე, რომ საქართველოში შოუბიზნესი ვერ შედგა. აი, ეს ფაქტი კი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომ შოუბიზნესმა სწორ რელსებზე დაიწყოს შედგომა. ჩვენ ცივილიზებულ მუსიკალური სამყაროსთან ინტეგრირებულები ვხდებით. მუსიკოსები აკვირდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში როგორია მათი სიდი ალბომების ონლაინ გაყიდვები. რატომ არ არის ჩვენთან ალბომების გაყიდვები? პირატული საიტები მთელ ალბომს დებენ, ან გადაბეჭდავენ და 2 ლარად გაყიდიან. მომხმარებელს 20 ლარის გადახდას ურჩევნია გადაიხადოს 2 ლარი ლილოს ბაზრობაზე. ამიტომ დღეს საქართველოში მუსიკოსების შრომა დისკრიმინირებულია. კიდევ სხვა ბევრი მიმართულებით ღრმავდება მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს, რომ ამ ქვეყანაში მუსიკალური ინდუსტრია როგორც ბიზნესი შედგეს.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პრემიერა ორწლიანი დაგვიანებით, რომელიც ღირდა



**my View**
თამარ გონგაძე

**„ფილმი არა სექსზე, არამედ ადამიანურ ურთიერთობებზე“, „ეს ფილმი სინათლის სხივია“, „ღრმად ადამიანური, მაშინვე საქართველოში მოგინდებათ წასვლა“, „სევდით გაჯერებული კომედია, რომელიც მუდამ იმარჯვებს“, „ჩუმი აღფრთოვანება, რომელიც დიდხანს გაგყვებათ“, „ერთდროულად სასაცილო და ღრმა“ - ეს სულ საზღვარგარეთ გაკეთებული შეფასებებია ლევან კოღუაშვილის ფილმზე „შემთხვევითი პაემნები“. მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორმა ფილმი ორი წლის გადაიღო, მისი თბილისური პრემიერა 7 მაისს შედგა. მიზეზზე ლევანი თავად ყვება.**

ფილმი ჩვენ ყოფაზე, დრომოჭმულ, მაგრამ მაინც ფესვმაგარ ტრადიციებზე, აბსურდულ სიტუაციაზე, სიყვარულის, ცხოვრების მეგზურის ძიებაზე, კლდიაშვილის ფილოსოფიაზეა - „სასაცილოა, სატირალი

**ნანა ჯანელიძე: „მოჭუტული თვალებითა და კეთილი ღიმილით დანახული მძიმე ყოფაა. არაჩვეულებრივი იუმორით და თვითირონიით გადაღებული ფილმია. ირონია ძალიან დააკლდა ქართულ ხელოვნებას და ლეკამ დააბრუნა“**










რომ არ იყოს“... ფილმმა სათქმელი მოიტანა, სოციალური და იუმორით გაჯერებული. თურმე იაპონიაში რეჟისორს უთხრეს, რომ ეს იაპონური ისტორიაოო. აღმოჩნდა, რომ ამომავალი მზის ქვეყანაშიც ცხოვრობენ უცოლო 40 წლის მამაკაცები მშობლებთან ერთად. იუმორიც ყველასთვის გასაგები აღმოჩნდა, ოცამდე ფესტივალზე. რეჟისორი ისეთი მსუბუქი ირონიითა და იუმორით გვახედებს სარკეში, რომ ის, რაც სევდას უნდა იწვევდეს, ღიმილს გვგვრის. ეს უკვე ხელწერაა, ლევანის - ლეკას ხელწერა. საზოგადოებაში ბევრი პრობლემაა, ეს ფილმში ფერად პალიტრად ჩანს, თუმცა ისიც მშვენივრად ჩანს, რომ ადამიანური ურთიერთობების რესურსი გვაქვს კარგი, რაც თანამედროვე მსოფლიოში დეფიციტი გახდა. ამდენად ჩვენც გვაქვს ჩვენი მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელიც დასაფასებელია. შენს თავზე გაღიმება და თვითკრიტიკა, ის, რომ არ გეშინია შენს თავზე იცინო - ეს შენი, ანუ საზოგადოების ძალის მაჩვენებელია.

ფილმს „შემთხვევითი პაემნები“ ჰქვია და ის პაემნით იწყება. „შემთხვევითობა“ ჩვენი მოგონილია, თორემ ეს კანონზომიერია, ასე უნდა იყოს, დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილას გვახვედრებს განგება, რომ ჩვენი ცხოვრება შეიცვალოს, გაგრძელდეს. ან ზოგჯერ ჩვენს შესაცვლელად ხდება, ზოგჯერ სარკეში გვახედებენ, ზოგჯერ სილის გაწნაა, ზოგჯერაც ჩვენსავე ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი პირობა. ცხოვრება რისკია, ტყუილია, სინდისია, მისი დეფიციტიც არის... ფილმში ციხის თემაც შემოდის. გისოსები ცხოვრებაშიც არის გადმოტანილი, უხილავი, საზოგადოების მიერ შექმნილი და უფრო მკაცრი. სიყვარულს ეძებს ყველა, ინტერნეტით, პლაჟზე, სტუმრად მისული, ვაგზალზე, პირობითად გორიდან ჩამოსული, უსინათლოც... ზოგჯერ უიმედოდ, მაგრამ მაინც. დღეს გაჩენილი ადამიანური ურთიერთობების დეფიციტიც კარგად ჩანს ფილმში. ნახეთ, ყველა კარტს ვერ გავხსნი. წინ სიამოვნება გელით.



# „შემთხვევითი პაემნები“

## „ფილმი არა სექსზე, არამედ ადამიანურ ურთიერთობებზე“

სცენარის ავტორი ლევანთან ერთად ბორის ფრუმინია. ბორისი ლევანის პედაგოგი იყო ნიუ-იორკში. მერე დამეგობრდნენ.

„აქ ნამყოფია, თან ვუყვებოდი ჩვენ ქართულ ისტორიებზე, ტრადიციებზე. დრამატურგიის გამართვაში დამეხმარა“, - ამბობს რეჟისორი.

ფილმი ორი წლის წინ კინოცენტრის დაფინანსებით 40 დღეში გადაიღო. ფილმის ოპერატორი ტატო კოტეტიშვილია, რომელიც მაშინ 25 წლის იყო. ტატო გუგა კოტეტიშვილის შვილია. სურათი თბილისში, რუსთავსა და ქობულეთშია გადაღებული. რეჟისორს განსაკუთრებულად ზღვაზე გადაღებული ეპიზოდები უყვარს.

„ფილმში ცხოვრების ნაწილია ასახული, სადაც ქართული ყოფაა მეგობრობაზე და სიყვარულზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ირონიით ვუდგებით, ის ურთიერთობების სითბო, რომელიც საქართველოშია შემორჩენილი, ძალიან დასაფასებელია.

სიმღერა „ვერხვის ფოთოლთან“ რეფრენად გასდევს ფილმს და სევდას გვგვრის... სულ სხვა ფერი შემოაქვს.

ფილმს 20-მდე პრიზი აქვს აღებული, ბევრ ფესტივალზე იყო, მათ შორის ბერლინში, ტორონტოში...

„ყველა პრიზი ძვირფასია, ვერ გამოვყოფ“.

**- ჩვენთან რატომ დაგვიანდა პრემიერა?**

- მე არ ვიყავი თბილისში. სხვაგან ვმუშაობდი.

მთავარ როლებს ორი არაპროფესიონალი მსახიობი თამაშობს. სანდროს როლის შემსრულებელი ანდრო საყვარელიძე სცენარის დაწერაშიც მონაწილეობდაო, გავიგე. მეორე არაპროფესიონალი მსახიობი არჩილ ქიქოძეა. ფილმში თამაშობენ კახი კავსაძე, მარლენ ეგუტია, ია სუხიტაშვილი, ვახო ჩაჩანიძე, ჯანო იზორია...

**ია სუხიტაშვილი:**

- მსახიობებს პროტესტი გვაქვს, როდესაც რეჟისორები ფილმში არაპროფესიონალს აკავებენ. მაგრამ ფილმის გადაღების დროს მივხვდი, რომ არჩილს და ანდროს რომ არ ეთამაშათ, სხვას ვის უნდა ეთამაშა?.. იმდენად კარგი იმპულსები მოდიოდა მათგან, რომ ჩვენი, პროფესიონალი მსახიობების დახმარება არ დასჭირვებიათ.

**ლევან კოღუაშვილი:**

- თვალებში თუ ის ისტორია უდევს, რასაც ეძებ, აკეთებ ვიდეო სინჯს, სადაც ჩანს, შეუძლია თუ არ შეუძლია. ქართველების უმეტესობას თამაში შეუძლია, ჩვენ ხომ სულ ვთამაშობთ.

**ია სუხიტაშვილი:**

- ჩემთვის ლევანი ყველაზე საყვარელი რეჟისორია. პირველად ვიმუშავე მასთან და პირობა მომცა, რომ ჩემთან კიდევ იმუშავებს. მსახიობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია - ვისთან მუშაობ.

**- ია, შენი გმირის პროტოტიპები ხშირად შეგხვედრია?**

- სამწუხაროდ, შემხვედრია. ქალები, რომლებსაც შეიძლება ზოგჯერ სხივი გამოუჩნდეს, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ მომართოს, მაგრამ მაინც შეჩვეული ჭირით ცხოვრობენ, ვერ რისკავენ. მანანამ ვერ გარისკა ფინალში. ეს გაურისკაობა შვილის გამო მოხდა, რომელიც მისთვის მამაზე ნაკლები არ არის ხასიათით.

**- რაზეა ფილმი?**

- სინდისზე, პირობაზე, მიცემული სიტყვის არგატეხვაზეა. ადამიანობაზე, კაცობაზეა.

**ჯანო იზორია:**

- ძალიან გამიხარდა, რომ ლეკასთან მომიწია მუშაობა. „ქუჩის დღეები“ რომ ვნახე, მას შემდეგ მასთან ერთად მუშაობა მინდოდა. უნდა ვიცოდეთ ჩვენი თაობის პატივისცემა და აღიარება. ყველა რეჟისორს ვუსურვებ, რომ ლევანის მსგავსად იღებდნენ ფილმს, სამაგიდო რეპეტიციები გვქონდა, დიდხანს ვრეპეტიციობდით.

**ნანა ჯანელიძე:**

- ფილმი საწყალ კაცებზე, მშვენიერ ქალებზეა, რომელთაც საკადრისი მეწყვილე არ ჰყავთ. მათ ეძებენ. ეს არის ფილმი ოჯახებზე, სადაც ერთად ცხოვრობენ 40 წლის მამაკაცები და მათი მშობლები. ჩვენ საწყალ, სასაცილო, თბილ აუტანელ ყოფაზეა. მოჭუტული თვალებითა და კეთილი ღიმილით დანახული მძიმე ყოფაა. არაჩვეულებრივი იუმორით და თვითირონიით გადაღებული ფილმია. ირონია ძალიან დააკლდა ქართულ ხელოვნებას და ლეკამ დააბრუნა ეს მშვენიერება, რომლის გარეშე არაფერს არ აქვს აზრი. უცხოეთში ამ ქართულ იუმორს გაცილებით მეტად იგებენ, ილებენ და იციან, ვიდრე ჩვენთან. ბერლინალეზე, მახსოვს დარბაზი ხარხარებდა მიუხედავად იმისა, რომ ტიტრებში ყველაფერი არ იყო ნათარგმნი. ეს იუმორი ყველასთვის გასაგებია. მე მილოცავდნენ ლევანის ფილმს. ეს არის ფილმი, რომელსაც ბევრჯერ ნახავ და იცინებ. ადგილებს გაიხსენებ. ასეთი საყვარელი ფილმი მაყურებელს მოენატრა.

**„ჩუმი აღფრთოვანება, რომელიც დიდხანს გაგყვებათ“**



ლევან კოღუაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინი ბრეგვაძე - „X ფაქტორით ხა

## „ლექტორებმა მე მგონი ვერ მიცნეს. ჩემს ვიდეოებს გავუგზავნი, ნახონ. იქნებ დამეხმარონ, საგამოცდოდ საგნები არ „შემტენონ“

**„ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, სიამოვნებით დავანებებდი თავს სწავლას. და ამერიკაში წავიდოდი“**

**„ვიცოდი, რომ ჩემ გამო ვილაცას ძალიან უნდა დანწყვეტოდა გული“**



**„ჩემი ბიძაშვილი უსმენდა ემინემს და მეც დავიწყე მისი მოსმენა. პატარაობიდანვე შემიყვარდა. სარკის წინ დავიწყე მისი სიმღერების შესრულება. ხელში დეზადორს ვიჭერდი და ვმღეროდი“**

**„თვალებში ვერც ჩავხედავ, მიუხედავად იმისა, რომ მისი წასვლა ჩემი ბრალი არ იყო“**



**my View**
**თამარ გონგაძე**

**გიორგი გაბუნიამ ნინის მისამართით თქვა - ეს არის გოგონა შამპუნი და კონდიციონერი ერთად. ჰიპ ჰოპის მომღერალმა კონკურსანტმა პროექტში თავისი ადგილი უკვე დაიკავა. სოფო ნიჟარაძემ ლიკა შუბითიძე პროექტს გამოთიშა და მის ადგილას ნინი ბრეგვაძე დასვა. ჯესი ჯეის სიმღერაში გაზავებული ჩახუჭუჭებული რეჩიტატივით ნინიმ ჟიურის მოხიბვლაც მოახერხა და დარბაზისაც.**

20 მაისს 19 წლის ხდება. ასაკს მისტირის, ძველებურად ვერ ვიგიჟებო.

**ნინი ბრეგვაძე:**

- საოცრებებს ვაკეთებთ მე და ჩემი მეგობრები. არაფერს ვერიდებით. უცებ დაგვარტყამს თავში და ვგიჟობთ. შუაღამისას კარვებით ბათუმიდან მწვანე კონცხზე წავსულვარ. ექსტრიმი მიყვარს, მაგრამ ბოლომდე ვერ შევტოპავ ხოლმე. ვერც თხილამურებზე ვრისკავ ბოლომდე, თავს ვუფრთხილდები. ალბათ, რაც ასაკი მომემატება, მერე შევიცვლები.

პედაგოგი არ ჰყოლია, თვითნასწავლი შემსრულებელია. მუსიკალური სასწავლებელი დამთავრებული აქვს, თუმცა თავიდან სურს სოლფეჯიოს სწავლა. სწავლობს სიმღერის ჩაწერას, რომ საკუთარი დემო ვერსიები თავად გაამზადოს. 16 წლისამ სიმღერა სერიოზულად დაიწყო და პირველ კონკურსშიც დაიწყო მონაწილეობა. „ახალი ხმა“ პირველივე ლაივ შოუზე დატოვა. „ X ფაქტორისგან“ ბევრს ელოდება. ამ პროექტში მეგობრების „დაძალებით“ მიიღო მონაწილეობა.

**ნინი ბრეგვაძე:**

- ქორეოგრაფი გვყავს, ვოკალისტები და საერთოდ ყველა პირობაა, რომ დაიხვეწო. იმედი მაქვს დიდი ხანი დავრჩები პროექტში. რაც მთავარია, ხალხის სიყვარული დავიმსახურე.

**- სკამების ტური გაიხსენე.**

- ძალიან დაძაბული ტური იყო. სანერვიულო ოთახს ვეძახდით მოსაცდელს, იქ საოცარი ემოციები ტრიალებდა. სიმღერის მერე მივხვდი, რომ არ უნდა მენერვიულა. თუმცა მეათე გავედი და მანამდე როგორ არ მენერვიულა? ბოლოს მარტო დავრჩი. ემოცია გამოვხატე - ელენე ლოლაძემ რომ დატოვა პროექტი, ტირილი დავიწყე. დაძაბულობის ფონზე ამომასხა და ავტირდი. ცრემლებს გავაყოლე ემოცია. მომღერალი ემოციის გარეშე მომღერალი არ არის, მე დადებითი ემოციების გამოხატვა მიყვარს. ჩემი გულშემატკივრები და მეგობრები რომ დავინახე დაძაბულობა მომეხსნა. იმაზე ცუდი რა უნდა იყოს, რომ ცუდად ვიმღერო, სჯობს კარგად ვიმღერო და ისე გავვარდე, ვიდრე პირიქით-მეთქი. ხალხის ემოციამ გადამრია.

**- კმაყოფილი ხარ საკუთარი გამოსვლით?**

- მგონია, რომ ფილარმონიაში ბევრად უკეთ იყო ყველაფერი. ტელევიზიამ ემოციები დაკარგა. დამონტაჟებული და შემოკლებული იყო.

**- გქონდა პროექტში დარჩენის მოლოდინი?**

- არ ვფიქრობდი, რომ შანსები არ მქონდა, ჩემს თავში დარწმუნებული ვარ. არც პროექტს გამოთიშვას გამოვრიცხავდი, რადგანაც მანამდე ისეთი კონკურსანტი გაუშვეს, როგორიც მარიამ პავლიაშვილია. გადასვლის იმედიც მქონდა. ჟიურის კომენტარების გაკეთების შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ პროექტში ვრჩებოდი. ვიცოდი, რომ ჩემ გამო ვილაცას ძალიან უნდა დასწყვეტოდა გული.

ლიკა შუბითიძის ადგილი რომ დავიკავე ძალიან შევწუხდი. რეპეტიციებზე ვნახულობდი, დიდ პატივისცემას ვგრძნობდი მის მიმართ. ყველაზე ნაკლებად მისი წასვლა მინდოდა. მე, მით უმეტეს არ მინდოდა მისი ჩანაცვლება. თვალებში ვერც ჩავხედავ, მიუხედავად იმისა, რომ მისი წასვლა ჩემი ბრალი არ იყო.

**- გახდი ცნობილი?**

- ჩემს „ფეისბუქზე“ ისეთი ამბავია, უკვე მეგობრების მესიჯებსაც ვერ ვნახულობ. ეს მაგარი მომენტია. ქუჩაში ხალხისგან დადებით ემოციებს ვიღებ. არ ვიცოდი ქართველები ასეთი დადებითები თუ იყვნენ. ამ პროექტს რაც სდევს, ეს ხალხის სიყვარულია და მომწონს.

ნინი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლობს. პროექტის გამო უნივერსიტეტში სიარულს ვერ ახერხებს. პარალელურად კლუბ „ვიპ თაიმში“ კვირაში ოთხჯერ მღერის.

„უკვე ორ წელზე მეტია ვმღერი კლუბებში და ჩემი შემოსავალი მაქვს. მე რესტორნებსა და კლუბებში სიმღერის წინაღმდეგი ვარ. მაგრამ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ლხის სიყვარული დავიმსახურე“



„გახმოვანებაა ცუდი, ხმას ძალას ატან და ეს ცუდია. ერთი პერიოდი ხმა დაკარგულიც მქონდა“



„ჩემს თავში დარწმუნებული ვარ, მაგრამ არც პროექტს გამოთიშვას გამოვრიცხავდი, რადგანაც მანამდე ისეთი კონკურსანტი გაუშვეს, როგორიც მარიამ პავლიაშვილია“

## „მომღერალი ემოციის გარეშე მომღერალი არ არის. დაძაბულობის ფონზე ამომასხა და ავტირდი. ცრემლებს გავაყოლე ემოცია“

**EXCLUSIVE**

ჩვენს ქვეყანაში შოუ ბიზნესი არ არის, ამიტომ კლუბების და რესტორნების გარდა გასაქანი არ გვაქვს. ასეთ გარემოში სიმღერა ყელის გადატვირთვაა. გახმოვანებაა ცუდი, ხმას ძალას ატან და ეს ცუდია. ერთი პერიოდი ხმა დაკარგულიც მქონდა. სცენაზე დგომის მერე არასდროს მინდა სხვა პროფესია მქონდეს. მინდა მხოლოდ მუსიკა იყოს ჩემი შემოსავლის წყარო. ძალიან მინდა ალბომის ჩაწერა, არ ვიცი რამდენად გამომივა მარტო. ჯერჯერობით ყველაფრის მარტო გაკეთებას ვერ შევძლებ. მინდა ეს ალბომი მრავალფეროვანი იყოს“.

**- რა მომენტია შენთვის საკუთარი შემოსავალი რომ გქონდეს?**

- მე ჩემი ხარჯით შემიძლია ცალკე საცხოვრებლად გადასვლა, მაგრამ დედა არ მიშვებს. დამოუკიდებელი ვარ. საზღვარგარეთაც ვყოფილვარ მარტო. ლონდონში ბანაკში ვიყავი, პრაღაში პინქის კონცერტზე გავემგზავრე მეგობართან - ანი ღონღაძესთან ერთად.

**- შენი ჟანრი რომელია?**

- ძირითადად არ ენ ბი, პოპი, ჰიპ ჰოპი.

**- ჰიპ ჰოპთან შენი დამეგობრება როდის მოხდა?**

- ჩემი ბიძაშვილი უსმენდა ემინემს და მეც დავიწყე მისი მოსმენა. პატარაობიდანვე შემიყვარდა. სარკის წინ დავიწყე მისი სიმღერების შესრულება. ხელში დეზადორს ვიჭერდი და ვმღეროდი. ინგლისურიც არ ვიცოდი რეჩიტატივს ისე ვყვებოდი. რაც მესმოდა, იმას ვმღეროდი :) ნეტა იმდროინდელი ჩანაწერი ხელში ჩამაგდებინა. რეპის შესრულებისას თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**- ჰიპ ჰოპით პროექტში შენი ნიშა ადვილად დაიკავე, არა?**

- შეიძლება ითქვას და მომგებიანიც არის, თუმცა ეს მაინც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად მიიღებს მას საზოგადოება. ამ ეტაპზე კარგად მიიღეს, თუმცა ეს არ ნიშნავს ყველაფერს.

**- ჯესი ჯეის სიმღერაში ჩასმული რეჩიტატივის ხუჭუჭი ეფექტური იყო. რამდენ ხანში მოამზადე?**

- არ არის რთულად გასაკეთებელი ხუჭუჭი. ვირუსი მქონდა, მაგრამ წინა დღეს, რაც კი შეიძლებოდა ყველაფერი გავიკეთე ყელისთვის რომ მიმეხედა. და ვირუსს სიმღერის დროს არც უმოქმედია.

**- შენი მენტორი სოფო ნიჟარაძე ისეთი აღმოჩნდა როგორიც გეგონა?**

- ისეთია, როგორიც მეგონა, როგორიც ჩანდა. თბილი და საყვარელია. ხანდახან - მკაცრია. რეპეტიციებზე რომ ვჭორაობთ, მაშინ იჩენს სიმკაცრეს, დისციპლინა უყვარს. ჩემთვის არ უყვირია, არც ვუცემივარ (ეს ხუმრობით) :) ისეთ შენიშვნებს მაძლევს, რაც სამომავლოდ გამომადგება. სიმღერისას ემოციების ცვლა მავიწყდებოდა და სულ მხიარული ვიყავი, მიმიკებს არ ვცვლიდი. სოფომ ამის შენიშვნა რომ მომცა, მივხვდი, რომ აქამდე ამ მნიშვნელოვან ფაქტორს არ ვფლობდი. ბევრ რამეს ვსწავლობ პროექტში, შევიძინე ბევრი ნაცნობი, ნიჭიერი ხალხი.

**- კონკურენცია როგორია?**

- ყველა ყველას კონკურენტია. გამოკვეთილად კონკურენტად რომ ვინმე მიმაჩნდეს, ამას არც ვიკადრებ. კოლეგიალურობა აუცილებელია.

**- კრივზე რატომ დადიოდი?**

- კრივზე შესვლა მაშინ გადავწყვიტე, როდესაც ბიჭს ვეჭიდავებოდი და მივხვდი, რომ ძლიერ სქესთან შანსი არ მაქვს. ძლიერი გოგო მინდოდა გავმხდარიყავი.

ნინის გული თავისუფალია და მის თაყვანისმცემლებს შეგიძლიათ გააქტიურდეთ.

„არ მომწონს ბიჭი გოგოს რომ დასდევს. ეს ამაზრზენია. თუ არ მოგწონს ან მეგობრად დარჩი, ან დაემშვიდობე. ყვავილები აიღო და თან აწვალო, მარაზმია“.

**- ქუჩაში გცნობენ?**

- მცნობენ, მაგრამ არ მიმჩნევენ. ქართველებს ემოციების გამოხატვა არ გვიყვარს. ასე ვარ მეც, ხომ არ მივალ და რა მაგარი ხარ-მეთქი, ხომ ვერ ვეტყვი. ძირითადად ბავშვები მოდიან და ავტოგრაფებს მთხოვენ. უნივერსიტეტში მომილოცეს ოთხეულში მოხვედრა. ლექტორებმა მე მგონი ვერ მიცნეს. ჩემს ვიდეოებს გავუგზავნი, ნახონ. იქნებ დამეხმარონ, საგამოცდოდ საგნები არ „შემტენონ“. რამდენიმე შუალედურში ცარიელი ფურცლები ჩავაბარე, ვერ ჩავაბარე. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, სიამოვნებით დავანებებდი თავს სწავლას. და ამერიკაში წავიდოდი... ბავშვობაში ვამბობდი ამერიკაში მილიონერი უნდა გავხდე-მეთქი. ეს ის ქვეყანაა, სადაც ოცნებები სრულდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE აჩიკო სოლოღაშვილი

**my View**
**თამარ გონგაძე**

**ამ მორიელმა და კირჩხიბმა ზღვაზე დაიწყო ურთიერთობა. მას შემდეგ უკვე სამ წელიწად ნახევარი გავიდა. წყლის სტიქიის ნიშნებმა თავიდანვე დაინახეს და „იცნეს“ ერთმანეთი. ზოდიაქო რომ იქით გადავდოთ, წყვილი მიხვდა, რომ ერთი მთლიანია და ეს შეგრძნება დღემდე ურღვევია. აჩიკო რომ ნუცას ირთავდა ცოლად, პირველად ეს „პრაიმტაიმის“ მკითხველმა გაიგო. ჯვრისწერის კადრებიც ჩვენგან გავრცელდა. რაღა უნდა გითხრა ახალიო, იღიმება მსახიობი. ისევ ძველებურად ვართ შეყვარებული, დრო მალე გავიდაო, ამბობენ.**

**ნუცა ქავთარაძე:**

- მეგონა, რომ გუშინ იყო ჩვენი ჯვრისწერა. არაფერი შეცვლილა, ეს ჩვენი გრაფიკის ბრალია, რომ დროის შეგრძნება დაიკარგა.

**აჩიკო სოლოღაშვილი:**

- ეს ზაფხული არ იყო კაცო? მე ასეთი შეგრძნება მაქვს. ვიცოდი, რომ ვინც მიყვარს მასთან ერთად ასე კარგად ვიქნებოდი. ჯერჯერობით ასე გრძელდება. კიდევ უფრო კომფორტულად ვარ, ვიდრე ვიყავი. იმდენად აწყობილია ჩვენი ურთიერთობა, ამაზე მეტი კომფორტი მე არ ვიცი. ყველაზე დიდი ფუფუნება რაც მაქვს, ეს ოჯახია.

**ნუცა: „ერთმანეთს რომ უკეთ შევირგებთ, შვილზე მერე ვიფიქრებთ. ყველა რომ ამ თემაზე გვეკითხება, აჩიკომ პირდაპირ ეთერში გამოაცხადა, ჯერ არ ვაპირებთ და როცა დავაპირებთ, გაგაგებინებთო“**









## ნუცა: „მესამე წელი რომ მოდიოდა, სულ ვფიქრობდი, ნეტა ახლა რა იქნება-მეთქი? არაფერიც არ იყო. პირიქით, ყოველდღე უფრო ვუახლოვდებით ერთმანეთს და როგორც მეგობრები თანაცხოვრებას ვაგრძელებთ“

**ნუცა: „მე ვამბობ, მარინას ადგილას ამდენ ხანს რძალს გავაგდებდი-მეთქი. რძლად ვერ გამოვდექი“**

**ნუცა:**

- ყველა ადამიანს სურს რაღაც პერიოდი თავის მეგობართან ერთად იცხოვროს. მე ვცხოვრობ ქმართან, მაგრამ, პირველ რიგში, მე ჩემს მეგობართან ერთად დავიწყე ცხოვრება. დღემდე ყველაზე დიდი ბედნიერებაა ის, რომ აჩიკო არის ჯერ მეგობარი, მერე შეყვარებული და მერე ქმარი. მეკითხებიან, როგორ გადალახეთ ოჯახური სირთულეებიო. გულახდილად ვამბობ, მსგავსი რამ არ მახსენდება. მესამე წელი რომ მოდიოდა, სულ ვფიქრობდი, ნეტა ახლა რა იქნება-მეთქი? არაფერიც არ იყო. პირიქით, ყოველდღე უფრო ვუახლოვდებით ერთმანეთს და როგორც მეგობრები თანაცხოვრებას ვაგრძელებთ. ასე თუ გავაგრძელეთ, მგონია, რომ პრობლემა არასდროს გვექნება.

**აჩიკო:**

- ორივე ლიდერი ვართ, ჩვენ ჩვენი პოზიციები გვაქვს და ჩვენსას ვაკეთებთ. მე, როგორც მსახიობი, სცენაზე პარტნიორის გარეშე ვერაფერი ვარ, ნუცა კი ჩემი ცხოვრების პარტნიორია. ერთმანეთს „პადაჩებს“ ვაწვდით. ჩვენი თანაცხოვრება კაშკაშაა, ზაფხულის ფერების. ჩვენი ურთიერთობაც ზაფხულში დაიწყო. ეს არის სეზონი, რომელზეც ვგიჟდები. მზე დადებითად მმუხტავს. ჩემს საყვარელ ზაფხულს კიდევ ცხოვრების საყვარელი ეტაპი მახსენებს. ამაზე ნაკლები ნურასდროს გვექნება და ფერს ნუ შეიცვლის ეს ყოველივე და მეყოფა მთელი ცხოვრება.

**ნუცა:**

- მე ძალიან არ მიყვარს ზამთარი, მცივანა ვარ. მაგრამ ჩვენი ურთიერთობის წყალობით ჩვენთან სულ ზაფხულია. მეც აღარ მცივა.

**- ასეთ იდილიაში რომ ცხოვრობთ, როლები როგორ გადანაწილეთ?**

**ნუცა:**

- ეს თავისთავად ხდება. როლები არ გადაგვინაწილებია. მე გენდერული თანასწორობის მომხრე ვარ, მაგრამ არა ისე, როგორც ეს საქართველოში ესმით. მე მინდა გვერდით მყავდეს კაცი და მას ვგრძნობდე. კაცი სულ უნდა ეცადოს, რომ თავი ქალად გაგრძნობინოს. მინდა სადღაც რომ შევდივარ, კარი გამიღოს და შემატაროს. აჩიკოს არასოდეს არაფერი შეშლია. ჩვენ შორის კამათიც ანგარიშგაწევით ხდება. ბოლოს იმ გადაწყვეტილებას ვიღებთ, რაც ორივესთვის კარგია.

**აჩიკო:**

- რომ ნახოთ, ჩვენს მესიჯებში, როგორც პირველ დღეს ისე მოდის და მიდის გულები... სიყვარული თავის დროზეც არ ამიხსნია. ეს უნდა აგრძნობინო. ეს შეგრძნება კი არის და იქნება.

**ნუცა:**

- მე ერთი ნახვით შეყვარების არ მჯერა. სულ მეგონა, რომ საპირისპირო სქესს უნდა მივეზიდე. უნდა აღმომეჩინა, რომ ის ჩემია. აჩიკოსთან ურთიერთობა რომ დავიწყე, თავიდანვე იმდენად ჩემიანად მივიღე, რომ გაცნობის მომენტიც არ მახსენდება. მგონია, რომ აჩიკო ჩემს ცხოვრებაში სულ არსებობს და რაღაცებს არ ვუყვები ხოლმე, ვთვლი, რომ ყველაფერი ისედაც იცის. როცა არ უნდა გავხედო, ზუსტად ვიცი, სწორად იგებს ჩემს გახედვას, ეს კი ჩემთვის ბედნიერებაა. კარგ ხასიათზე მყოფისთვისაც უკითხავს რა გჭირსო, რადგან მან იცის, არ გამოვხატავ, არ ვწუწუნებ, ვიცინი, მაგრამ სიცილის უკან შეიძლება არ ვიყო კარგად. თვალებში ჩახედვით ყველაფერს იგებს. ვერ წარმომიდგენია პრობლემა, რომელსაც ის ვერ მომიგვარებს, ან ერთად ვერ მოვაგვარებთ. ბევრი რამ გამოვიარეთ, მაგრამ პრობლემა არ შეგვიქმნია, ყველაფერი ღიმილით გადაგვიგორებია.



**აჩიკო:**

- გრძნობა ბევრ რამეში გვეხმარება. პრობლემა სულ არის, მაგრამ როცა მახსენდება სახლში ვინ მელოდება, ბოდიში, მაგრამ ფეხებზე მეკიდება ყველაფერი. პრობლემა უფასურდება, რადგან ვიცი, რომ საყვარელ ადამიანს ჩავეხუტები და ერთად ყველაფერს გადავაგორებთ. დღევანდელი ცხოვრება სტრესული და არასტაბილურია, ამის შეგრძნება სულ მაქვს, გარდა პირადისა. ერთადერთი ნათელი წერტილი ნუცაა. ის დასაყრდენი ძალაა, ეს მატანინებს ყველაფერს.

**ნუცა:**

- „მთავარია, ჩვენ ვიყოთ ერთად კარგად“ - ამას რომ ამბობს, თითქოს თავისით მიდის ყველაფერი ის, რასაც ჩვენ პრობლემებს ვეძახით.

**- ბოლოს სად „გაძვერით“ ერთად?**

- აღდგომის წინა კვირას ორი დღით ბორჯომში „გავძვერით“. მოვახერხეთ, რადგან დიდი ხანია არსად ვყოფილვართ.

**აჩიკო:**

- ის ორი დღე ერთმანეთს დავუთმეთ. დავისვენეთ, წავედით რაბათის ციხის მოსანახულებლად. ის ორი დღე ორ კვირას უდრიდა. მერე ისევ დავბრუნდით და ერთმანეთით დავიწყეთ კვება. ჩვენ მანქანით სეირნობითაც ვიტვირთებით.

### ტელეწამყვანი

ნუცა „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების „ქრონიკის“ დილის წამყვანია. ამიტომ მისი დილა 5 საათზე იწყება. აჩიკოს დილას კი ნუცას მიერ გამოცხადებული ინფორმაცია იწყებს.

**ნუცა:**

- სადამდეც „ვქაჩავ“ რომ აჩიკოსთან ერთად ყოფნა შევირგო, იქამდე მღვიძავს, ეს ხშირად ღამის ორ საათამდეა. რეალურად ღამეში სამი საათი მძინავს. დღისით ვცდილობ უძილობა ავინაზღაურო და უძილობის გამო მეგობრების ნახვაზე და აჩიკოსთან ურთიერთიერთობაზე უარი არ ვთქვა. ასაკიც მიწყობს ხელს, რომ ამ რეჟიმში ვიყო. აჩიკოს არ უყვარს მე რომ არ მძინავს. მაგრამ ძილში დროს ვერ ვხარჯავ, როდესაც ვიცი, რომ აჩიკოს სცალია.

**- აჩიკო, შენ ახერხებ ნუცას ეთერის ყურებას?**

**აჩიკო:**

- აბა რა. მერე ვწერ ჩემს აზრს. არასოდეს არ დამეზარება იმის თქმა, დღეს რა კარგი იყავი-მეთქი. ჩემი გამოფხიზლება ნუცათი ხდება, სანამ ავდგები, ვუყურებ ხოლმე. ნუცამ დამაწყებინა საინფორმაციოს ყურება.

**ნუცა:**

- აჩიკო მხოლოდ კომპლიმენტს არ მეუბნება, შენიშვნასაც მაძლევს. ობიექტურია და ჩემს კოლეგაზე არაერთხელ უთქვამს, ძალიან კარგი იყოო.

**აჩიკო:**

- დღეს არ ანათებდი, ჩამქრალი იყავი-მეთქი, მითქვამს. მას ჩვეულებრივი მოქალაქის თვალით ვუყურებ. როდესაც ამდენ ნეგატიურ ინფორმაციას ავრცელებ და ერთი დადებითი ინფორმაცია გაქვს, მაქსიმალურად უნდა ეცადო, რომ პოზიტიურად მომაწოდო. დილა პოზიტივით მინდა დაიწყოს.

**- ნუცა, უნებლიე შეცდომით გამოცხადებულ კონკურენტი არხის საინფორმაციო გამოშვების დასახელებას დღეს როგორ იხსენებ?**

**ნუცა:**

- ეს იყო კურიოზი, რომელზეც ყველამ იცინა ჩემ გარდა. ეთერის შემდეგ 10 წუთი ეთერიდან არ გამოვდიოდი. მაგრამ რომ შევხედე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# და ნუცა ქავთარაძე - სამი წელი კრიზისის გარეშე



> **აჩიკო:** „რომ ნახოთ, ჩვენს მესიჯებში, როგორც პირველ დღეს, ისე მოდის და მიდის გულები... “

> **ნუცა:** „ძილში დროს ვერ ვხარჯავ, როდესაც ვიცი, რომ აჩიკოს სცალია“



> „ნიშნობა გოგისთან გვქონდა სახლში და მან თქვა - ყველაზე ცუდი სცენარით განვითარდა მოვლენები, ყველაზე მეტად არ მინდოდა ნუცა მსახიობს გაჰყოლოდა ცოლადო“

> „მე მინდა გვერდით მყავდეს კაცი და მას ვგრძნობდე. მინდა სადღაც რომ შევდივარ, კარი გამიღოს და შემატაროს. აჩიკოს არასოდეს არაფერი შეშლია“

> **აჩიკო:** „ორივე ლიდერი ვართ, ჩვენ ჩვენი პოზიციები გვაქვს და ჩვენსას ვაკეთებთ. მე, როგორც მსახიობი, სცენაზე პარტნიორის გარეშე ვერაფერი ვარ, ნუცა კი ჩემი ცხოვრების პარტნიორია“

> **აჩიკო:** „მაინტერესებს ჩემი გმირის სამსახურის გარეთ ცხოვრება. მგონია, რომ ბექა იოგაზე დადის, იქ გიჟივით სხვადასხვა პოზაში იწელება და თავს ასე იმშვიდებს“



ნიუსრუმში ყველა იცინოდა, მეც ამიტყდა სიცილი და ყველაფერმა გადამიარა. ოთხი წელი ვამბობდი „რუსთავი 2“-დან გაწუხებთ-მეთქი და ვხუმრობდი, ერთხელაც დავრეკავ და ეს წამომცდება-მეთქი. ამას დაერთო ისიც, რომ კადრს მიღმა ოპერატორმა მკითხა - შენ აქამდე „რუსთავი -2“-ში მუშაობდი, არაო? და მეც პირდაპირ ეთერში გამოვაცხადე :)

**აჩიკო:**

- პირდაპირ ეთერში დაზღვეული არავინაა. მაგრამ რატომღაც ცუდის დანახვა უფრო გვიადვილდება.

**- ცნობილი ბაბუა, გოგი ქავთარაძე რას ამბობს კოლეგა სიძეზე?**

**ნუცა:**

- გოგი ცდილობს იაროს აჩიკოს სპექტაკლებზე. მგონია, რომ ძალიან მოსწონს. გულშემატკივრობს. ნიშნობა გოგისთან გვქონდა სახლში და მან თქვა - ყველაზე ცუდი სცენარით განვითარდა მოვლენები, ყველაზე მეტად არ მინდოდა ნუცა მსახიობს გაჰყოლოდა ცოლადო. ხუმრობით - ბუნებრივია. კიდევ ერთი მსახიობი გვეყოლება ოჯახშიო. ბაბუა ამაყობს ჩემით. როგორც პროფესიონალი რომ გავიზარდე, ვფიქრობ, იმის დამსახურებაა, ბავშვობაში თავზე ხელს ტყუილად რომ არ მისვამდნენ. თვითკმაყოფილი არასდროს ვყოფილვარ. თვითკრიტიკული ადამიანი ვარ.

### ბექა

აჩიკომ „ჩემი ცოლის დაქალებში“ სრულიად ატიპიური სახე შექმნა. ბექას მსახიობის პიროვნებასთან არაფერი საერთო არა აქვს, თუმცა საოცრად თამაშობს ისტერიკულ პროდიუსერს. ბევრისგან გამიგია, რა ნიჭიერი ბიჭია, სპექტაკლში უნდა ვნახოო. უნდა ნახოთ, მოიხიბლებით.

**აჩიკო:**

- ვცდილობ, ჩემი გმირი იყოს განსხვავებული. რთულია მაყურებლისთვის საყვარელ სერიალში ახალი პერსონაჟის შექმნა. სახასიათო გმირის თამაში კიდევ უფრო რთულია. ეკრანზე ცოტაც კი ბევრი ჩანს. სულ ვნერვიულობ, მგონია, რომ თამაშს ვამეტებ. ჩემი კითხვები - ზედმეტი ხომ არ იყო-მეთქი, არ თავდება, ყველას ვუსვამ. მინდა, რომ სერიალში ისე დაელოდონ ბექას გამოჩენას, როგორც მე ველოდები სხვადასხვა გმირებისას.

**ნუცა:**

- ბექა ტიპიური ნიუსის პროდიუსერია. ძალიან მომეწონა, სხვა ამპლუაში ამოყო თავი, ძალიან კარგად შექმნა ტიპაჟი. რომ ვუყურებ, მგონია, რომ ნიუსში აქვს ნამუშევარი. რთულია ეთამაშა თან მკაცრი უფროსი, თან ადვილად სამართავი. მაგრამ თავი კარგად გაართვა. არა როგორც ცოლი, არამედ როგორც მაყურებელი ისე ვზივარ და ველოდები როდის გამოჩნდება ბექა, ძალიან მომწონს.

**აჩიკო:**

- ერთმა კოლეგამ მითხრა, შამპანურივით არის ბექა სერიალში - ამოშუშხუნდაო, მესიამოვნა... ეს თუ მოვახერხე, კარგია. „შუადღეში“ ოთხი პროდიუსერია და მინდა, არ მინდა, მიწევს პროდიუსერებთან ურთიერთობა. ვცდილობ ისეთი რაღაცები მოვიგონო, რომ ყველა პროდიუსერმა თავის თავში მსგავსი რაღაც იპოვოს. რამდენიმემ მკითხა - მე მთამაშობო? არც ვიცი ისინი აფექტის დროს როგორები არიან, ბექა კი ძირითადად აფექტური ტიპია. ვცდილობ ირონიით გავაკეთო. მე ისე არ ვბილწსიტყვაობ, როგორც ბექა. ხან ვამატებ, ხან ამოვიღებ. სცენარში ეწერა, თქვენ ხომ არ გამო...ვდით სუყველა და მე გადავაკეთე - თქვენ ხომ არ ჩამო...ვდით. გასტ...ნიათ პატრონიც ჩემია. თან მსახიობებს ვეუბნები :) ერთადერთი დისკომფორტი ის მაქვს, რომ სულ ერთ ოთახში ვარ, მინდა გარეთ გავიდეს. მაინტერესებს ამ გმირის სამსახურის გარეთ ცხოვრება. ასეთი აფექტური და გიჟი კაცი მაინტერესებს როგორია. მიფიქრია და მგონია, რომ ბექა იოგაზე დადის, იქ გიჟივით სხვადასხვა პოზაში იწელება და თავს ასე იმშვიდებს.

### რძალი

**- აჩი, „იქსფაქტორის“ წამყვანი აღარ ხარ, საცეკვაო ნომრებსაც არ დგამ?**

- ეს თემა ჩემთვის მტკივნეულია, ამიტომ მე მასზე არ ვსაუბრობ. ცუდად მომექცნენ. ის ორი კვირა ძალიან ცუდად ვიყავი. ასეთი ტკივილის შეგრძენა აქამდე რას მოუყენებია, ვერ ვიხსენებ. ალბათ, ეს ეტაპიც უნდა გადამელახა. სულ კარგად ყოფნა ხომ არ შეიძლება? :)

**- შვილზე ჯერ არ ფიქრობთ?**

**ნუცა:**

- ჯერ არა. ცოტა დრო გვაქვს ერთმანეთისთვის. და შვილისთვის ძიძის წასვლის შემდეგაც ხომ უნდა გქონდეს დრო? :) შვილის სხვისთვის გაჩენა არ მინდა. ერთმანეთს რომ უკეთ შევირგებთ, შვილზე მერე ვიფიქრებთ. ყველა რომ ამ თემაზე გვეკითხება, აჩიკომ პირდაპირ ეთერში გამოაცხადა, ჯერ არ ვაპირებთ და როცა დავაპირებთ, გაგაგებინებთო.

**- ჟურნალისტი რძლის ყოლა არ არის ადვილი.**

**ნუცა:**

- მე ვამბობ, მარინას ადგილას ამდენ ხანს რძალს გავაგდებდი-მეთქი. რძლად ვერ გამოვდექი. სამაგიეროდ მეუბნებიან, მესამე შვილად მიგიღეთ და ეს კიდევ უფრო დიდი კომპლიმენტია, ვიდრე კარგი რძალი. სახლში მისულს სითბოთი მხვდებიან. ოღონდ რაიმეთი მასიამოვნონ. ჩემი დედამთილიც ზოდიაქოს ნიშნით კირჩხიბია და ერთმანეთს კარგად ვუგებთ. რაღაცას რომ „გავაფუჭებთ“, ვამბობთ, მოდი, აჩიკოს არ ვუთხრათო :)

**აჩიკო:**

- ამაზე არაერთხელ მიეჭვიანია. მგონია, რომ ნუცა უფრო უყვართ. სახლში მარტო რომ შევდივარ, მეკითხებიან - ნუცა სად არისო? ამას ისეთი სითბოთი კითხულობენ, რომ... მოკლედ, ეჭვიანი და ეგოისტი ვარ. ყველაფერში იგრძნობა, რომ ნუცა მათთვის წმინდაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

# პირველად „ევრ
# ქალ ფეხბურთ



„ძალიან კარგი აქციაა. თვალს ვადევნებდი. ბევრჯერ მინახავს ამ შეხვედრებზე სტატიები. კარგი მოფიქრება და რეკლამაა. მინდა, მადლობა გადავუხადო „ევროპაბეთს“, რომ ასეთი აქცია წამოიწყო“

მაგდა კლდიაშვილი

**საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა, სულ ცოტა ხნის წინ, მალტის ოთხთა ტურნირი მოიგო და პირველად, არსებობის განმავლობაში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ქართველმა ქალმა ფეხბურთელებმა, უკან, რეიტინგში მათზე მაღალ საფეხურებზე მყოფი მალტა, ანდორა და ფარერების ნაკრები მოიპოვა და ჯგუფში პირველი ადგილი მოიტოვა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველ ქალ ფეხბურთელებს შვედეთის, იტალიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და სლოვენიის ნაკრებ გუნდებთან მოუწევთ ასპარეზობა. შანსები მცირეა, მაგრამ არსებული ვითარება, მხოლოდ ქართველი ქალი ფეხბურთელების წარმატებაზე სალაპარაკოდ განაწყობს გულშემატკივარს. სწორედ ამიტომ, პირველად, „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ აქციას ქართველი ქალი ფეხბურთელები შემოუერთდნენ.**

შეხვედრა „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალში გაიმართა, სადაც სტუმრად, ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ტატა მატვეევა და ფეხბურთელები - ნათია სხირტლაძე და სალომე ხუბულური იმყოფებოდნენ.

როგორც ადგილზე გაირკვა, ბევრი გულშემატკივარი ჰყოლია ქალ ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს და მალტის ოთხთა ტურნირზე გულმხურვალედაც გულშემატკივრობდნენ, ამიტომ, შეხვედრამ, როგორც ეს სამგორის ტოტალიზატორს სჩვევია, საკმაოდ თბილად ჩაიარა.

გულშემატკივრებმა ნაკრებს წარმატებები უსურვეს შესარჩევ ეტაპზე და შემოდგომაზე, ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ ქომაგობასაც დაჰპირდნენ, რომელიც თბილისში გაიმართება.

ტრადიციულად, „ევროპაბეთმა“ ტოტალიზატორში შეკრებილი გულშემატკივრებისთვის საჩუქრად ბურთები დააწესა, რომლებზეც ავტოგრაფები ქალმა ფეხბურთელებმა დატოვეს, სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს და ისე გააჩუქეს. ქალ ფეხბურთელთა სტუმრობით, ერთგვარი გენდერული ბალანსიც დაიცვა აქციამ, რომელიც უკვე ერთობლივი ძალისხმევით მეორე წელია ხორციელდება და მხოლოდ დადებით შეფასებებს იმსახურებს ქართველი სპორტსმენებისგან.

სულ, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, „ევროპაბეთის“ სხვადასხვა ფილიალებს, საქართველოს მასშტაბით შემდეგი ფეხბურთელები ესტუმრნენ:

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე, დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, ლაშა თოთაძე, ერეკლე კილაძე, კობა შალამბერიძე, მირზა მერლანი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი ივანიშვილი, დავით იმედაშვილი, ტატა მატვეევა, ნათია სხირტლაძე და სალომე ხუბულური.

„ევროპაბეთმა“ სტუმარი ფეხბურთელებისთვის, ტრადიციულად, სიმბოლური სახელობითი ბილეთებიც დაამზადა, სადაც გოგონებმა ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარი ფავორიტები დაასახელეს.



ნაკრების კაპიტანმა, ტატა მატვეევამ არჩევანი მიუნხენის „ბაიერნზე“ შეაჩერა, რომელმაც პირველი ნახევარფინალური მატჩი კატალონიაში, „ბარსელონასთან“ 3:0 დათმო და ფინალისკენ მიმავალი გზა გაირთულა.

ნათია სხირტლაძის არჩევანი მადრიდის „რეალია“. მადრიდელებმა, პირველი ნახევარფინალური მატჩი, ტურინში, იტალიაში, 2:1 წააგეს, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ მეორე შეხვედრას საკუთარ მოედანზე გამართავენ, მათ 1:0 ანგარიშიც აძლევთ ხელს, რომ ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვონ.

**ტატა მატვეევა:**

- მიუნხენის ბაიერნს ვგულშემატკივრობ და მგონია, რომ ის გახდება ჩემპიონი.

**ნათია სხირტლაძე:**

- ჩემს ფავორიტს რაც შეეხება, როგორც შარშან, ვფიქრობ, წელსაც, მადრიდის „რეალი“ მოახერხებს ლიგის მოგებას.

**სალომე ხუბულური:**

- იქიდან გამომდინარე, რომ იტალის გულშემატკივარი ვარ, მინდა, იტალიურმა გუნდმა, „იუვენტუსმა“ მოიგოს. თანაც, დიდი ხანია იტალიურ გუნდებს წარმატებისთვის არ მიუღწევიათ ლიგაზე და ვგულშემატკივრობ „იუვენტუსს“.

**სულ კი, გამართული შეხვედრებიდან ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:**

„რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ასეთი აქციები. როდესაც გულშემატკივარი გყავს, უფრო დიდი სტიმული გექლევა, უკეთესად თამაშობ. იმედია, უფრო მეტი ადამიანი დაგვიდგება გვერდში და იქნება ჩვენი მე-12 მოთამაშე“










მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე, ლაშა თოთაძე, დავით იმედაშვილი;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე, გიორგი მერებაშვილი, კობა შალამბერიძე, ერეკლე კილაძე, გიორგი ივანიშვილი;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია, ტატა მატვეევა;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, სალომე ხუბულური;

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ფავორიტად დასახელდა და უკვე გამოვარდა, ლონდონის „ჩელსია“.

„ძალიან რთული ჯგუფი შეგვხვდა, ველოდებით, ფედერაცია რომ გვერდში დაგვიდგეს. მეტი ამხანაგური ჩავატაროთ, შეკრება გავიაროთ. მეტი შრომაა საჭირო და ყველაფერი კარგად იქნება“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოპაბეთში“ – სტუმრად საქართველოს
# ელთა ეროვნული ნაკრების წევრები




**„დიდ მადლობას გიხდით. ჩვენთვის ასეთი რაღაცები ძალიან უცხოა. ყოველთვის მივესალმები ასეთ წამოწყებას. მადლობა, რომ გვერდში გვიდგახართ“**

**„მოვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჯგუფიდან გავიდეთ. თუ ამას ვერ მოვახერხებთ, ისე მაინც ჩავატარებთ თამაშებს, როგორც საჭიროა“**

ფსონი მასზე გივი კვარაცხელიამ დადო. ფსონი დაიდო მადრიდის „ატლეტიკოზეც“, მასზე არჩევანი მირზა მერლანმა შეაჩერა, მაგრამ „ატლეტიკოც“ გამოეთიშა ელიტარულ ტურნირს.

რაც შეეხება „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ წამოწყებას, ქალი ფეხბურთელები ამბობენ, რომ საქართველოში ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ ქალთა ფეხბურთი არსებობს. ამიტომ, მადლობას უხდიან „ევროპაბეთს“ წამოწყებისთვის და გულშემატკივარს, 24 ოქტომბერს, ირლანდიის წინააღმდეგ მხარდაჭერისა და სტადიონზე მოსვლისკენ მოუწოდებენ.

**ტატა მატვეევა:**

- რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ასეთი აქციები. როდესაც გულშემატკივარი გყავს, უფრო დიდი სტიმული გეძლევა, უკეთესად თამაშობ. იმედია, უფრო მეტი ადამიანი დაგვიდგება გვერდში და იქნება ჩვენი მე-12 მოთამაშე.





**ნათია სხირტლაძე:**

- ძალიან კარგი აქციაა. თვალს ვადევნებდი. ბევრჯერ მინახავს ამ შეხვედრებზე სტატიები. კარგი მოფიქრება და რეკლამაა. მინდა, მადლობა გადავუხადო „ევროპაბეთს“, რომ ასეთი აქცია წამოიწყო.

**სალომე ხუბულური:**

- დიდ მადლობას გიხდით. ჩვენთვის ასეთი რაღაცები ძალიან უცხოა. ყოველთვის მივესალმები ასეთ წამოწყებას. მადლობა, რომ გვერდში გვიდგახართ, ჯერ კიდევ არ იციან საქართველოში, რომ ქალთა ფეხბურთი არსებობს და აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტი იქნება ტელევიზიით, მედიით გაშუქება და ასეთი აქციები გულშემატკივრებთან, ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით, შევხვდეთ, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც გვგულშემატკივრობს და გვერდით გვიდგას.

მოახლოებულ შესარჩევ ეტაპზე იმედები არც ისე დიდია, მაგრამ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილი და ამბობენ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ.

**ტატა მატვეევა:**

- ძალიან რთული ჯგუფი შეგვხვდა, ველოდებით, ფედერაცია რომ გვერდში დაგვიდგეს. მეტი ამხანაგური ჩავატაროთ, შეკრება გავიაროთ. მეტი შრომაა საჭირო და ყველაფერი კარგად იქნება.

**ნათია სხირტლაძე:**

- გულშემატკივრობა პირველია. ამის გარეშე არ არსებობს გუნდი, მით უმეტეს, ნაკრები. დიდი ემოციებია, თანაც, საკუთარი ქვეყნის გულშემატკივარი რომ მოვა და დაგიჭერს მხარს, 24 ოქტომბერს, დიდი იმედი მაქვს, რომ ქართველები მოვლენ სტადიონზე და თავს გავართმევთ ამოცანას. რთული მეტოქეები გვყავს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ბურთი მრგვალია. მოვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჯგუფიდან გავიდეთ. თუ ამას ვერ მოვახერხებთ, ისე მაინც ჩავატარებთ თამაშებს, როგორც საჭიროა. ორი ნაკრები გადის ქვეჯგუფიდან, შევეცდებით, რომ ყველაფერი გავაკეთოთ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

**სალომე ხუბულური:**

- ილუზიები არ უნდა გვქონდეს, რომ ამ ჯგუფიდან რამე შანსი გვაქვს. ყველა მცირე შანსი ჩვენ გვაქვს ამ ჯგუფიდან გასვლისა, თუმცა ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია. იმედია, რომ ეს იქნება იმის საწინდარი, უკეთესობისკენ შეიცვალოს ყველაფერი. შემდეგ შესარჩევებზე უკეთესი გუნდი ვიქნებით, კარგი პირობებით და ვფიქრობ, შედეგი გვექნება, თუმცა, ამ ეტაპზე ძალიან გაგვიჭირდება. ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგვეძლო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მამუკა ჯუღელი - ოლიგარქი არ ვარ




მაგდა კლდიაშვილი

**რუსულ საფეხბურთო წრეებში მას „რუხ კარდინალად“ მოიხსენიებენ. არ უყვარს ინტერვიუები და არ ჩნდება მედიასთან. მის ინტერვიუს ვერც ერთ გაზეთში იპოვნით, საქმის კეთება კადრს მიღმა ურჩევნია და ქართველი ფეხბურთელების დიდი ნაწილი სწორედ მისი დაბინავებულია საფეხბურთო კლუბებში. მამუკა ჯუღელს კარგად იცნობენ საქართველოსა და რუსეთში. მის სახელს უკავშირდება რამდენიმე გუნდის წარმატება რუსეთში და პრემიერლიგაში გადასვლა. მასზე საუბრები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც „დილას“ სიახლოვეს ისევ გამოჩნდა. რა პოსტი უკავია გორის „დილაში“ და ჩამოაშორეს თუ არა თავის დროზე ის გიორგი ილურიძის ტრანსფერს. პირველად საქართველოში, „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ მამუკა ჯუღელთან.**

**- თქვენი და გორის „დილას“ ურთიერთობებზე საუბარი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ზესტაფონში, ჩაშლილ მატჩზე გამოჩნდით. რა ფუნქციები გაქვთ გუნდში და გიკავიათ თუ არა პოსტი „დილაში“?**

- გორის „დილაში“ მხოლოდ ჩემი ფეხბურთელების ბედ-იღბალი მაინტერესებს. ვანო ხორგუაშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარია. მას თურქეთში შევხვდი, მითხრა, რომ „დილას“ აღორძინება სურდა და გვერდში დგომა მთხოვა. გავაცანი რუსი აგენტებიც. ჩემს ფეხბურთელებსაც ვთხოვე, მიშა გორელიშვილს, ბაგაევს, გვალიას, დახმარებოდნენ „დილას“. მეც ფეხბურთელი ვიყავი. ვარსკვლავი არ ვყოფილვარ, მაგრამ ცუდიც არ ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთვის ბევრი რამ მაქვს გაკეთებული. მთელი ცხოვრება ფეხბურთში ვარ. ჩემი ფეხბურთელები ჩემი ოჯახის წევრები არიან. თურქეთში გამაცნეს მთავარი მწვრთნელიც. გორელიშვილს ვთხოვე, გორში ყველას უყვარხარ-მეთქი, გვალიას პრობლემებიც იცოდნენ. რომ ამბობენ, რომ გორის ინტერესები მაქვს, ჩემი ექვსი ფეხბურთელი თამაშობს „დილაში“ და „ტორპედოს“ ვგულშემატკივრობ-მეთქი, ხომ არ ვიტყვი. ჩემი გაზრდილი ბავშვები თამაშობენ, თუ რაიმე პრობლემა აქვთ, ფინანსური, მორალური თუ ფიზიკური, მათ ყველანაირ დახმარებას ვუწევ. ისე, რომ თავს ვიკლავდე, გინდა თუ არა „დილა“ გახდეს ჩემპიონი, ასე არაა. „დილას“ თამაში ვნახე სამჯერ, „სიონის“ ოთხჯერ, მარტვილში სამი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და მინდა, რომ მათ რეკომენდაცია მივცე. არის ხალხი, რომელიც აკვირდება ქართულ ფეხბურთს. ჩემმა სიტყვებმა ბევრი გააკეთა, ფეხბურთელებმა დაამტკიცეს ევროპაშიც, რუსეთშიც. მე ფეხბურთის სამყაროში ვარ. არ ვყიდი არაფერს, გარდა ფეხბურთელებისა, უფრო სწორად, მათ რეკომენდაციას ვაძლევ.

**- რუსეთში, რუსულმა მედიამ, „რუხი კარდინალი“ შეგარქვათ, თქვენთვის ფოტოს გადაღებაც რთული იყო, რით დაიმსახურეთ ეს „ტიტული“?**

- არის ასეთი სტატიები დაწერილი, მაგრამ სად არის გუნდები რუსეთში, სადაც არ მღებულობენ. „ანჟიში“ რვა ქართველი თამაშობდა, სადაც ოფიციალურად სპორტული დირექტორი ვიყავი. ის ფეხბურთელები, რომლებიც მესამეხარისხოვნები იყვნენ აქ, იქ გახდნენ პირველები. მთხოვეს, რომ დაღესტნის გუნდი ამოგვეწია, მენდნენ და გავაკეთეთ ეს. უტკინი, ყველაზე ძლიერი ჟურნალისტი, ჩემზე ამბობს, რომ პროფესიონალი და ფეხბურთის მცოდნეაო და ვიღაც ინტრიგანი ჟურნალისტი, რომელსაც ბურთზე ფეხი არ დაურტყამს, ამბობს „რუხი კარდინალიაო“. ნიჟნიში სელექციონერი ვიყავი და გუნდი გადავიდა პრემიერლიგაში. ეს ყველაფერი ოფიციალურია. გაბოროტებული, დაქირავებული ჟურნალისტები რას დაწერენ, არ მაინტერესებს, მეორეხარისხოვანია.

**- „ზესტაფონის“ არგამოსვლა „დილას“ წინააღმდეგ, პირდაპირ თუ ირიბად, თქვენ დაგბრალდათ და მედიით თქვენმა გვარმაც გაიჟღერა, ახსენეს თქვენი ფეხბურთელებიც, რა კავშირი ჰქონდა მამუკა ჯუღელს ამ საქმესთან?**

- უპირველეს ყოვლისა, ზესტაფონში დაბადებული ვარ, სვირელი. ზესტაფონში აღარ შემიძლია თამაშზე ჩასვლა, საკუთარი მშობლების საფლავზე ან სტადიონზე? ვინც ამას ამბობს ჩემზე, თავად არის შემოპარული ზესტაფონში. ხალხს, იქ, დღემდე ვახსოვარ, 55 გოლი გავიტანე ორ სეზონში. რა არის გასაკვირი იმაში, რომ ჩავედი ქალაქში, სადაც ორი საუკეთესო წელი გავატარე. თამაშის საყურებლად ჩავედი და „ზესტაფონი“ რატომ არ გამოვიდა, არ ვიცი. საწვავის ფული თუ არ ჰქონდათ, ხელმძღვანელები ჩემი მეგობრები არიან, სადაც ვხვდებით გულთბილად ვკითხულობთ ერთმანეთს, მე მივცემდი ფულს საწვავის საყიდლად. ლადო ბურდულთან ერთად ვიყავი თამაშზე, რატომ არ უნდა წავსულიყავი. დღეს საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი მწვრთნელი ბურდულია. მან მომცა რეკომენდაცია მარტვილის სამ და თავის ორ ფეხბურთელზე. ზუსტად ისეთები არიან, ჩემს გემოვნებაში რომ ჯდებიან. რატომ არ უნდა ვიმეგობრო, ეს სალაპარაკო რატომ არის, როგორც ფეხბურთელი, ძლიერი იყო, როგორც მწვრთნელი ძლიერია. მან ეს დაამტკიცა, როდესაც გუნდი ევროსარბიელზე გაიყვანა. ამას კიდევ ტვინი უნდა, რომ შედეგი მიიღო. მისი გუნდი დღეს ფინანსურ კრიზისს განიცდის, ბევრი გვაქვს სასაუბრო სამომავლო გეგმებზე. მას ბოლნისში ძლიერი გუნდის შექმნა უნდა. არავისთვის დასამალი არ არის, ლადო ბურდული გამოფრინდება ჩემთან ერთად რუსეთში. ბევრი საერთო მეგობარი გვყავს ევროპაში და „სიონი“ ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მაისიდან.

**- საუბარი იყო ფეხბურთელების მოსყიდვის ფაქტზე...**

- ცხადაძის, შელიას, ქეცბაიას თაობის ვარ. ასეთ რამეს, ვინც მე მიცნობს, ქრისტიანები ვართ, შევიდეთ ეკლესიაში და მანაც დაიფიცოს და მეც დავიფიცებ. პირდაპირ ვამბობ, ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც „ზესტაფონში“ თამაშობს, არის გიორგი ილურიძე, გუნდის კაპიტანი, რომელსაც მშიერი სული ამოაძრეს. ჩემი ფეხბურთელები ჰყავს ლადო ბურდულსაც, არიან „დილაშიც“, „გურიაშიც“, რას ვშვები, არავის ფეხბურთს არ ვათამაშებ? გიორგი ილურიძე ჩემი გაზრდილია, შეუძლია, მოვიდეს და ჩემს სახლში დაიძინოს. დიდი ხანი არ მენახა. მოვიდა ჩემთან, მითხრა, რომ ხელფასს არ უხდიან და ფეხზე სურათის გადასაღები ფული არ ჰქონდა. ამას ვაცხადებ ოფიციალურად. გუნდის ექიმმა დაიბარა და არ ითამაშოსო, სურათიც არსებობს. თუ მასთან ერთად 4:0 აგებენ, მასთან ერთად მოიგებდნენ? მე უფრო მაგრად არ მაწყობს, რომ ილურიძეს სამი გოლი გაეტანა ამ თამაშში და ნაკრებში გამოეძახათ. ნორმალური ადამიანი ასე იაზროვნებს.

**- ილურიძის თემა გავაგრძელოთ. გორის „დილადან“ ის „ჰაიდუკში“ გაიყიდა. კულუარებში საუბრობდნენ, რომ ეს ტრანსფერი კახი კალაძის დახმარებით გაკეთდა, თქვენ კი გვერდზე გაგაჩოჩეს. რა მოხდა რეალურად?**

- არავის არავინ გაუწევია გვერდზე. ილურიძის ფულს არავინ უყურებდა. მოვიდა ჩემთან და მითხრა, ტუდორს ვუნდივარო. რა კალაძე, ეს ყველაფერი ინტრიგაა. კალაძე „მილანის“ ფეხბურთელი იყო, ტუდორთან თამაშობდა. თუ მან კალაძეს დაურეკა და ჰკითხა, როგორი ფეხბურთელია ილურიძეო, ცუდს ხომ არ იტყოდა კალაძე? საერთოდ, კალაძე, როგორც ვიცი, ფეხბურთის საკითხებში არ ერევა, და ერიდება ამ თემებზე ლაპარაკს. იტალიაში და ევროპაში რომ ფეხბურთელი მიდის, ტუდორი და გატუზო რომ არიან მწვრთნელები, მამუკა ჯუღელს ხომ არ დაურეკავს, დაურეკავს კალაძეს. თუ მიდის „აიაქსში“, დაურეკავს შოთა არველაძეს და თუ „რუბინში“ - მამუკა ჯუღელს. თუ კალაძეს დაურეკა, რა უნდა ექნა. ეს გასარჩევი თემა არ უნდა ყოფილიყო. მე ვარ საქმეში და გვერდზე არავის გავუწევივარ.

**- საქართველოს ბევრი წარმატებული მენეჯერი არ ჰყავს, როგორ ახერხებთ ფეხბურთელების გუნდებში წაყვანას?**

- მე მენეჯერი არ ვარ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ. ძალიან დიდი წრე მყავს ამ სფეროში. დამტკიცებული მაქვს, კაცობით, საქმეშიც. მინდა, რომ ქართველი ფეხბურთელები გავიდნენ ასპარეზზე. თუ სადმე თამაშობენ ქართველი ფეხბურთელები, 90% ჩემი დამსახურებაა. თუ გინდათ, ბიჭებს ჰკითხეთ, საქართველოსთვის რას ვაკეთებ - ნაკრებს ვუმზადებ კანდიდატებს. ველაპარაკები „ლოკომოტივს“, „სპარტაკს“ (რუსეთი), ვაძლევ რეკომენდაციებს. მენეჯერი არის ადამიანი, რომელსაც აქვს ოფისი, ყიდის ფეხბურთელებს და 10% იღებს წილს. ვერც ერთი ჩემი ფეხბურთელი ამას ვერ იტყვის, რომ მე მათგან ფულს ვიღებ და ეს ინტერესი არ მაქვს. ღმერთის წყალობით, ჩემს ოჯახს აქვს იმდენი შემოსავალი, რაც საშუალო ოჯახს სჭირდება. სამი შვილი მყავს და ჩემი ბავშვები მშივრები არ არიან. ფეხბურთელებს იქეთ თუ მივეხმარები, მერე თავად იციან. ვინმე თუ რამეს მაჩუქებს, არც ამაზე ვამბობ უარს.

**- საუბარი იმაზე, რომ „ზესტაფონის“ ჩანაცვლება უნდათ რეგიონალლიგაში მოასპარეზე „მარგვეთით“, უკვე ხშირად ისმის. „მარგვეთთან“ კი თქვენი სახელი დააკავშირეს, რა ურთიერთობა გაქვთ „მარგვეთთან“?**

- ოლიგარქი არ ვარ. „ზესტაფონის“ მფლობელი ჩემი ახლობელია და მასთან გავარკვევდი ამ საკითხს, თუკი გუნდს ორ ლარად ყიდიან. გვაქვს ის ურთიერთობა, რომ დავილაპარაკოთ. ილია კოკაიას დიდი ფული აქვს ჩადებული და დიდი საქმეები აქვს გაკეთებული ზესტაფონში, ბაზები, სტადიონები, გადაყოლილია ზესტაფონის გუნდზე და ორ ლარად როგორ გაყიდის. ილოსნაირ შედეგებს ვერ გავაკეთებ.

**- რამდენიმე წლის წინ, როდესაც გორში მუშაობდით, „დილამ“ კვიპროსულ „ანორთოსისს“ გასვლაზე 3:0 მოუგო. შეხვედრა მატჩის მიწურულს ჩაიშალა, მეორე დღეს კი კვიპროსულ პრესაში გაჩნდა ხმები, რომ მატჩი გარიგებული იყო, გულშემატკივარმა კი ტრიბუნები გადაწვა...**

- ლარის კურსი რომ აიწია, ჩემი ბრალია? „ანორთოსისმა“ 3:0 წააგო. ინგლისურად ვერ ვლაპარაკობ. არ მინდა, გვარი და სახელი დავასახელო, ჩემი მეგობარია, რომელმაც იცის ბერძნული, საფეხბურთო სამყაროში კარგად იცნობენ, საქართველოშიც, ის მითარგმნიდა ყველაფერს, კვიპროსში რომ ჩავედი. რა ენაზე უნდა მელაპარაკა, ინგლისურად თუ ბერძნულად? ჩავყევი გუნდს, ვუყურე თამაშს, მხოლოდ რუსულად და ქართულად ვლაპარაკობ. რა უნდა გამეკეთებიან, იქაურმა გულშემატკივარმა მესერი გახია და მოედანზე გადმოცვივდნენ. „ანორთოსისს“ კარში ჩერნოგორიელი მეკარე ეყენა, რა ენაზე უნდა მეთქვა მისთვის, იქით გადახტი, ან აქეთ-მეთქი?

**- მათე ვაწაძე ნიჟნი-ნოვგოროდის „ვოლგაში“ თქვენ წაიყვანეთ. რა გადაუხადა თბილისის „დინამოს“ „ვოლგამ“?**

- მე, რეზო ვაწაძემ გამზარდა. მათე მისი შვილია, ჩათვალეთ, რომ ჩემი შვილია. ვაწაძეში „ნიჟნიმ“ რა გადაიხადა, ბუბა ტყავაძეს ჰკითხეთ, ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს. თანხა გადახდილია, ისე ხომ ვერ წამოვიდოდა გუნდიდან, მას კონტრაქტი ჰქონდა, ფინანსურ საკითხებში არ ვერეოდი ნიჟნიში.

## ზურა ინგ... გადაა...



my View
ნინო მჭედლიშვილი

**მისი გმირი ცოტა ხნის წინ გამოჩნდა „ჩემი ცოლის დაქალებში“. კოტე ცირეკიძე ლელა მებურიშვილის გმირის, კატოს ახალი გატაცებაა. გმირი ჯარისკაცი კატომ საგმირო საქმეების მოსათხრობად გადაცემაში მოიპატიჟა და მისით აღფრთოვანებაც აქედან დაიწყო.**

ზურა ინგოროყვა კოტესგან განსხვავებით კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. რით ჰგავს გმირს და რა შემოქმედებითი გზა გაიარა დღემდე, რუსთაველის თეატრის მსახიობი თავად გიამბოთ.

- ჩემი მშობლები კარგად მღეროდნენ, მამა, სამწუხაროდ, აღარ არის ცოცხალი. ჩემი დაძმა მუსიკოსები არიან, კონსერვატორია აქვთ დამთავრებული. თეატრი მიყვარდა, არც ერთ პრემიერას არ ვაცდენდი, მაგრამ, როცა პროფესიას ვირჩევდი, ხელოვნებაზე, მით უმეტეს არტისტობაზე არც მიფიქრია. დედაჩემს უნდოდა მსახიობი გამოვსულიყავი, ალბათ, მატყობდა კიდეც ნიჭს, მაგრამ პირველივე მცდელობაზე ჩავუკალი სურვილი... ჩემი მსახიობად ჩამოყალიბება ერთმა შემთხვევითობამ განაპირობა. 15 წლის ვიყავი როცა მეგობარ გოგონასთან ერთად მოვსეირნობდი. მისი ნაცნობი შეგვხვდა, „სახალხო თეატრი“ გაიხსნა და ხომ არ მოხვალთო, გვითხრა. მივედით. პოლიტიკურ ნოველაში ვითამაშე რაინდი და იმ დღიდან, როგორც იტყვიან, მოვიწამლე სცენის მტვერით. მაშინ ოჯახში გადაწყვეტილი იყო, რომ მეტალურგი გავმხდარიყავი, დიდი მეტალურგი. ბიძაჩემი, გურამ ქაშაკაშვილი მეტალურგიული ქარხნის დირექტორი იყო. ვსწავლობდი კიდეც მეტალურგიულ ტექნიკუმში. ჩუმად გამოვიტანე საბუთები და „თოჯინების თეატრში“ სცენის მუშად დავიწყე მუშაობა. მალევე დამაკავეს ამ თეატრში. ჩავაბარე თეატრალურში და აქედან დაიწყო ჩემი კარიერა.

**- რაინდის როლი სერიალშიც გერგოთ. თეატრის მსახიობებს არ უყვართ სერიალში თამაში. როგორ დაგითანხმეს?**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოროყვას სერიალში თამაში ლარის დევალვაციამ ვეტინა - „დიდი კრედიტი მაქვს, ვერ ვიხდიდი“



## „ექვი ერთ-ერთი მძიმე ავადმყოფობაა, ერთადერთი ავადმყოფობა, რომლითაც დაავადებული შეიძლება შეგეცოდოს“

**„ლამაზი ქალები გვიყვარს ორივეს. ნელ-ნელა დავახლოვდებით მე და კოტე, ასე ვფიქრობ. ახლა ის უფრო გაწონასწორებულია, ვიდრე მე“**





**„20 წელია ოჯახი მყავს და ექვიანობის გამო არასდროს გვიჩხუბია“**



- ყოველთვის ვცდილობდი არ მეთამაშა სერიალში. როცა ინსტიტუტი დავამთავრე, სერიალები ცუდ ტონად ითვლებოდა, ისევე, როგორც რეკლამა 90-იან წლებში. მეცნიერები წერდნენ, რომ სერიალების ყურება ადამიანის ინტელექტზე ცუდ გავლენას ახდენს. ერთადერთი კარგი რაც სერიალებზე იმ დროიდან მახსენდება, იყო მიშა თუმანიშვილის სიტყვები, როცა ის თავის სტუდენტებს ეუბნებოდა, არტისტები კარგად თამაშობენ სერიალებში და უყურეთო. ახლა, როგორც რეკლამას, ასევე სერიალს, მაღალ დონეზე იღებენ უცხოეთში და საბედნიეროდ, ჩვენთანაც დაიწყო ეს ტენდენცია. ბევრჯერ მქონია შემოთავაზება სერიალიდან და უარი მითქვამს. „ჩემი ცოლის დაქალებში“ ჩემი მეგობრებიც არიან დაკავებულნი. ამიტომ დავთანხმდი. ვითამაშე ოთარ შამათავასთან „ფსიქოპატთა თამაშებში“. მსიამოვნებს ამ პიროვნებასთან ურთიერთობა, მუშაობა. ასევე ვმეგობრობ ლაშა ცერიაშვილთან და ვერ ვუთხარი უარი, ვითამაშე „დეტექტივებში“. უარი ვთქვი სერიალზე „ჟამი ყვავილობისა“.

**- რა იყო გადამწყვეტი, როცა „ჩემი ცოლის დაქალებზე“ მიდგა საქმე?**

- პირველ რიგში ლარის დევალვაცია.

**- ხუმრობთ?**

- არა. ძალიან დიდი კრედიტი მაქვს, ვერ ვიხდიდი. ამ დროს ამ კეთილმა ადამიანებმა დამირეკეს და მაშინვე დავთანხმდი. ორი წლის წინაც დამირეკეს ამ სერიალიდან, მაგრამ მაშინ არ შედგა ჩვენი თანამშრომლობა. მანამდე არ ვიყავი ამ სერიალის მაყურებელი. სულ სამი სერია მქონდა ნანახი, ისიც იმიტომ, რომ მინდოდა მენახა როგორ თამაშობდნენ ჩემი მეგობრები. სანამ მივიდოდი, რამდენიმე სერია კიდევ ვნახე. პატივისცემაა ელემენტარული, ინტერესიც, ხომ უნდა მოვმზადებულიყავი. სხვათა შორის, ჩამითრია. ვითომ არაფერი, თითქოს პრიმიტიულია, მაგრამ ჩამითრია. ჩემმა ოჯახმა ჩემამდე სამი თვით ადრე დაიწყო ამ სერიალის ყურება და დავცინოდი.

**- ლარის დევალვაცია ახსენეთ, თუმცა ამბობენ, რომ მწირია მათი ბიუჯეტი...**

- მე კმაყოფილი ვარ (იღიმება).

**- რით ჰგავხართ თქვენს გმირს?**

- კოტე მომწონს იმით, რომ ბევრს არ ლაპარაკობს. ჯერ ფიქრობს და მერე ამბობს. მეც ვცდილობ ცოტა ვილაპარაკო, ოღონდ კი არ ვბაძავ, ბუნებაში მაქვს მეც. ლამაზი ქალები გვიყვარს ორივეს. ნელ-ნელა დავახლოვდებით მე და კოტე, ასე ვფქრობ. ახლა ის უფრო გაწონასწორებულია, ვიდრე მე. ცოტა რთული ხასიათიც აქვს.

**- ბრაზიანი თქვენც ხართ?**

- არა, კოტე უფრო ბრაზიანია. ადამიანს, რომელიც ნაომარია, ორჯერ კანტუზია აქვს გადატანილი, ბრაზიც ადვილად მოსდის. თავისი მსოფლმხედველობა აქვს, უცნაურია.

**- რეალურ ცხოვრებაში თუ ჩაგიდენიათ საგმირო საქმეები?**

- როგორ გითხრათ, მთლად გმირობას ვერ დავარქმევ ამას, მაგრამ იყო ერთი შემთხვევა ჩემს ბავშვობაში. მტკვარზე ვცურავდით ბავშვები და ჩვენზე პატარები ცურავდნენ იქვე. ჰესი გამოუშვეს და უცებ ადიდდა მტკვარი. დავინახეთ და წავედით პატარების გადასარჩენად. ცურვა რომ არ გვცოდნოდა, ალბათ, იქნებოდა ეს გმირობა, მაგრამ ჩვენ ცურვა ვიცოდით და გამოვიყვანეთ ბავშვები.

**- კოტეს არ უყვარს ტელეშოუები. თქვენ?**

- არც მე. ტელევიზორს ნაკლებად ვუყურებ. როცა ორი დღე ზედიზედ შევხედავ, ვხვდები, რომ ცუდად არის ჩემი საქმე, რაღაც ძალიან მოვიცალე. როცა ტელევიზორს არ ვუყურებ მაშინ ვარ ყველაზე ბედნიერი.

**- თუ რეალურ ცხოვრებაშიც მიგიწვევენ ტელეშოუებში?**

- უარის თქმა არ ვიცი, ეგ არის ჩემი უბედურება.

**„ჩემი კლასელი იყო ეროსი კიწმარიშვილის ძმა, ბაღიდან ერთად მოვდივართ. მათგან გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. კიწმარიშვილების მამიდა გახლავთ. უბრალოდ, პატარაა ასაკით. ასე რომ, ჩვენი ქორწინების შედეგად ძმაკაცის ბიძა გავხდი“**

**- ოჯახში როგორ უყურებენ თქვენს ახალ ამპლუას?**

- დედაჩემს ოღონდ ტელევიზორში დაანახა ჩემი თავი, მასზე ბედნიერი არავინაა. ამას ვერ ვიტყვი ოჯახის დანარჩენ წევრებზე. საკმაოდ კრიტიკულები არიან, ცოლი, ქალიშვილი, და. იცით, თეატრში რატომაა პრემიერა ყველაზე რთულად სათამაშო, იმიტომ, რომ თეატრალები და ოჯახის წევრები მოდიან. რენდგენში გატარებენ.

**- სასიყვარულო სცენების ყურება უადვილდება თქვენს მეუღლეს?**

- მიეჩვია, არ აქვს რეაქცია. შეგუებულია ჩემს პროფესიას. თუ ნდობაა ცოლ-ქმარს შორის, ასეთი სცენებიც არაა პრობლემა.

**- ერთად უყურეთ იმ სერიას, ლელა მებურიშვილის გმირი რომ ჩაგეხუტათ სახლის კართან?**

- კი, ერთად ვნახეთ. ვინც ამ დროს ნერვიულობას იწყებს, ის მისთვისვეა საზიანო, ოჯახისთვისაც. ექვი ერთ-ერთი მძიმე ავადმყოფობაა, ერთადერთი ავადმყოფობა, რომლითაც დაავადებული შეიძლება შეგეცოდოს. 20 წელია ოჯახი მყავს და ექვიანობის გამო არასდროს გვიჩხუბია.

**- ლამაზი ქალები რომ გიყვართ ამასაც ჩვეულებრივად უყურებს თქვენი მეუღლე?**

- რა თქმა უნდა, მამაკაცი ვარ, ეს ბუნებრივია. მთავარია ერთმანეთი გვიყვარს.

**- მსახიობი ხომ არ არის თქვენი ცოლი?**

- არა. არაბული ენის სპეციალისტია, მაგრამ პროფესიით არ მუშაობს, „რუსთავი 2“-ში „კურიერის“ ტექნიკური პროდიუსერია.

**- გამოდის, უკვე ორივე ამ ტელევიზიაში მუშაობთ.**

- „რუსთავი 2“-თან ჩვენ ოჯახს დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. ჩემი კლასელი იყო ეროსი კიწმარიშვილის ძმა, ბაღიდან ერთად მოვდივართ. მათგან გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. კიწმარიშვილების მამიდა გახლავთ. უბრალოდ, პატარაა ასაკით. ასე რომ, ჩვენი ქორწინების შედეგად ძმაკაცის ბიძა გავხდი.

**- შვილები?**

- ერთი შვილი გვყავს, 20 წლის გოგონა, ჩემს კვალს გაჰყვა, მსახიობობა მოინდომა.

**- მსახიობი მშობლები იშვიათად ურჩევენ შვილს ამ პროფესიას...**

- არც მე მინდოდა. არც ერთი პროფესია არ არის იოლი, მაგრამ არტისტის პროფესია გაცილებით რთულია. რეჟისორზე ხარ დამოკიდებული, როდის ვინ დაგიძახებს, არ იცი. ყველაფერთან ერთად იღბალიც გჭირდება. ქალებისთვის განსაკუთრებით რთულია. მსოფლიო ლიტერატურაში მამაკაცის როლი უფრო მეტია, ვიდრე ქალის. შექსპირიც რომ ავიღოთ, სპექტაკლში თუ არის 20 პერსონაჟი, აქედან 17 - კაცია. თან ყველა რეჟისორს თავისი ფავორიტი მსახიობი ჰყავს.

**- თქვენ ვისი ფავორიტი მსახიობი ხართ?**

- ვიყავი ჩემი პედაგოგის, ჭოლასი, გოგი ქავთარაძის და აქაც, „რუსთაველის თეატრშიც“ მშვენივრად ვგრძნობ თავს.

**- ახლა თეატრში რა სპექტაკლზე მუშაობთ?**

- რობიკო სტურუა დგამს შექსპირის „იულიუს კეისარს“. ციცერონს ვთამაშობ. მარჯანიშვილის თეატრში ვითამაშე ამას წინათ მიწვევით შექსპირის „შეცდომათა კომედიაში“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME

# Time

N18 (319) ორშაბათი, 11 მაისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge




„ცხინვალის“ ფეხბურთელები სტუმრად „ევროპაბეთში“



exclusive ზურა ინგოროყვას სერიალში თამაში ლარის დევალვაციამ გადააწყვეტინა

„დიდი კრედიტი მაქვს, ვერ ვიხდიდი“



## აჩიკო სოლოღაშვილი და ნუცა ქავთარაძე - სამი წელი კრიზისის გარეშე

„ბრავო რექორდსი“ მსოფლიოში ყველაზე დიდი რექორდ ლეიბლების წარმომადგენელი და უფლებადამცველი გახდა





exclusive

# exclusive



„ლექტორებმა მე მგონი ვერ მიცნეს. ჩემს ვიდეოებს გავუგზავნი, ნახონ. იქნებ დამეხმარონ, საგამოცდოდ საგნები არ „შემტენონ“

## ნინი ბრეგვაძე - exclusive

## „X ფაქტორით ხალხის სიყვარული დავიმსახურე“






## „შემთხვევითი პაემნები“ - პრემიერა ორწლიანი დაგვიანებით, რომელიც ღირდა exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება